

# ბუჩქიშ REGION

ყოველთვიური გამოცემა

ფასი 1,50 ლარი

№6 2015 აგვისტო

ჩაის  
ძარბოზოვა  
და ბრძენი  
დარამას  
თქმულა

ალან ლოგაძე -  
საქართველო  
მსოფლიო  
ხალხური მუსიკის  
დედაქალაქია

სანატორიუმ  
მეგობრობაში  
ბევრი  
სიხსტა

ლევან გოთუას  
ვიესა - სამსახეობა  
რინდისა

სიჩუქის გაცემა გავრცელებული სენადაქვეითებული გავრცელები  
ჯადოსნური ფლანკი და გონივრებითი ორგანიზაციის თანხვენი

მოგვლის კურორტები ურანი და გავრცელები იერსახეს იხვლის

# ლიხაურის ეკლესიის კედლის მხატვრობა



მესხეთი - გზა ქართლისა მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი და კულტურული ჯერა .....2

რაც დავიწყებას არ მიეცემა .....5

რანდად დაბადებული .....6

უჩვეულო დღე .....7

ქართული ენა უფლის ენაა .....9

ჩვენ თუ არ ჩავსახლდებით ჩასახლდებიან სხვები .....11

იუვალ და სანდა ფუქსების სტუმრობა გურიაში .....12

საკუთარ თავზე და საკუთარ ჯიბეებზე ზრუნვა - ვის აინტერესებს ხალხი .....13

ჩოხატაურში სასმელო წყალს ისევ არ ენდობიან .....14

სმენის დაქარგვა - გლობალური მასშტაბის პათოლოგია .....15

კურორტ ბახმაროში ბევრი სიახლეა .....17

ურჯი იცნობს ბევრ სასწაულს, თუმცა აბსოლუტურად მართალ ისტორიას .....19

კურორტ ურჯის ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები .....23

ქუჩის სტენდებზე გმირის დაყანგული სახელი და გვარია .....25

ჯავშნოსანი ექიპაჟის საარაქო გმირობა .....26

ლოგენდა ნატანებზე .....28

აღფრთოვანებული ვარ ოზურგეთის თეატრით .....30

საქართველო მსოფლიო ხალხური მუსიკის დედაქალაქია .....31

გურული მელოდია უნიკალურია .....32

წითელი წიგნში შესული ჰონტოს მუხის ხის ქორომები .....33

ერისთავებმა ჰირველმა შექმნეს ჩაის პროდუქტი .....34

წარმატებული თოჯინების თეატრი .....36

ესა ჯალანდაძის პოეზია .....37

დომენტოლო და გაგენოლო - ხანგრძლივი და ჯანმრთელი სიცოცხლისთვის .....38

გურული ხუმრობები .....40

ლიხაურის ჯედლის მხატვრობა .....40

<p>მთავარი რედაქტორი – <b>ლელა სურმავა</b></p> <p>მისამართი: თბილისი, ვ.გაბაშვილის 5</p> <p>ტელ: 558 25 65 50;</p> <p>ელფოსტა: <a href="mailto:Guriaregion14@mail.ru">Guriaregion14@mail.ru</a></p>	<p><b>კვირფასო მკითხველებო!</b></p> <p>მოგვანოდეთ თქვენი პუბლიკაციები, მოთხრობები, ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ თქვენი პრობლემები და მოგვიყვით საინტერესო ამბები. გაითვალისწინეთ, მონოდებული მასალის ჟურნალში განთავსება ფასიანია.</p>
---	---

**ქრნალი თავისუფალი პრესის პრინციპით ხელმძვანალოვს.**

რედაქციაში შამოსული მასალის სიზუსტეა პასუხს აგებს ავტორი, ხოლო სარედაქციო ტექსტა პასუხისმგებლობა რედაქციის შამავეთს ეანისრება.

# მესხეთი – „გზა ქართლისა“ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი და კულტურული ქარა



ქართველთა იერიღამის იმთავრობისა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა თავის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი საზღვრების მოხაზულობის ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფიზიკურ დარაჯად უდგეს. ეს არც ძმობა-ერთობას და არც ყეთილ მეზობლობას დაუშლის იმათთან, ვინც მართლაც ძმობაზე და მეზობლობაზე ფიქრობს და ქართველ ერსაც ყოველგვარ მისალოდნელ ხიფათისაგან გადააჩრჩენს.

ივანე ჯავახიშვილი

ქართლს მიათვლიდნენ, ასევე, ზემო ქართლს, ანუ მესხეთს. „ძულად ეწოდებოდა ზემო ქართლად, ამისთვის, მტკუარი ვინაითგან ქართლს მიმდინარე არს, შესავალ-გამოსავალი ამ ორთა ქუეყანათა დაუბრკოლებელ აქუს“ – განმარტავს ვახუშტი ბატონიშვილი.

მესხეთი ჭოროხის ხეობის აუზსა და მტკვრის ზემო წელს აერთიანებდა; აქ მდებარეობდა: სპერი (ჭოროხის ზემო წელი), ტაო (ჭოროხის შუა წელი მარჯვენა და მარცხენა შენაკადებით: პარხლისწყალი, თორთომი, ოლთისი), კლარჯეთი-შავშეთი და აჭარა (ჭოროხის ქვემო წელი). აჭარა თავდაპირველად აჭარისწყლის ხეობას მოიცავდა; მისი გავრცელება ზღვისკენ უფრო მოგვიანებით ხდება.

მტკვრის ზემო წელზე, მისი სათავეებიდან რომ დავიწყოთ, შემდეგი ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნები იყო განლაგებული: კოლა, არტაანი, ერუშეთი, ჯავახეთი (ნინოწმინდის, ახალქალაქის, ასპინძის მუნიციპალიტეტები; საკუთრივ ასპინძის ხევი ისტორიულად სამცხეს ეკუთვნოდა), სამცხე (ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტები; სამცხესვე ეკუთვნოდა ფოცხოვის ხეობა, რომლის მნიშვნელოვანი მონაკვეთი ამჟამად თურქეთშია) და თორი (ბორჯომის მუნიციპალიტეტი).

მესხეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბასიანიც (მდინარე არაქსის ზემო წელი). არაქსის ზემო წელი, გარკვეულწილად, ქართული სახელმწიფოებრიობის ტრადიციულ საზღვარსაც წარმოადგენდა: აქამდე ვრცელდებოდა ფარნავაზიანთა ქართლი (პერიოდულობით), ბაგრატიონთა „ქართველთა სამეფო“, ერთიანი ქართული მონარქია თუ სამცხე-საათაბაგო.

მტკვრის ხეობის ქვეყნები, სამცხის გამოკლებით, უფრო „მთას“ წარმოადგენდა, ჭოროხისა – „ბარს“, მაგრამ იქ არ არსებობდა ბარის მძლავრი ზონა (როგორც ქართლში, ასევე კახეთში), რომელიც მტკიცედ დააკავშირებდა ამ ორ აუზს. პირუკუ ამ ქვეყნებს, ვახუშტის ნიშანდობლივი დაკვირვებით, „მთა-ბარის“ „ახლორება“ ახასიათებდა („რამეთუ მთა-ბარი ახლორებს ესრეთ, ჟამისა ანუ ნახევარჟამისა სავალთა არს თოვლი და ბართა ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი და ყოველნი ნაყოფნი“), რაც ხელს უწყობდა მათ თვითკმარ ერთეულებად ჩამოყალიბებას.

მესხეთი ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურ-

რის მნიშვნელოვანი კერა იყო. აქ გადიოდა ის უმთავრესი გზები (მათ შორის „გზა ქართლისა“), რომლებიც დანარჩენ საქართველოს მახლობელ აღმსავლეთთან აკავშირებდა, აქედან შემოდოდა და ვრცელდებოდა კულტურული სიახლეები და მონინავე იდეები. შუა საუკუნეებში (და ამაზე უწინარესაც) მტკვრის ხეობის თემების საზაფხულო საძოვრებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეცხოველეობის განვითარებისთვის (წმინდა ნინოს ჯავახეთში შიდა ქართლიდან საბალახედ გადმორეკილი რქოსანი პირუტყვი დახვდა); ამასთანავე, ეს ქვეყნები (განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთი) საქართველოს პურის ბელელს წარმოადგენდა. ჭოროხის აუზი კი განთქმული იყო მეხილეობით, ისტორიის ადრეულ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივ მეტალურგიულ კერებს.

მესხები ისტორიის ასპარეზზე, მართალია, ძვ. წ. XII საუკუნიდან ჩანან, მაგრამ თავად ტერმინი „მესხეთი“ გვიანდელია. „მოსხთა ქვეყანა“ („მოსხიკე“) პირველად ძველ ბერძენ გეოგრაფოს, სტრაბონთანაა (ძვ. წ. 64/63 – ახ.წ. 23/24 წწ.) დამოწმებული. მოსხიკეს პროვინციებიდან ის ასახელებს, აგრეთვე, პარიადრეს კალთებსა (მერმინდელი ბასიანი) და ხორხენეს (გვიანდელი ტაო, კოლა და, სავარაუდოდ, სპერიც). მისთვისვე ცნობილია მოსხური მთები და პარიადრეს მთები. მესხეთის სხვა ქვეყნების სახელები უკვე ადრეანტიკური ხანის ბერძნულ საისტორიო თხზულებებში გვხვდება: „ისტორიის მამად“ წოდებული ჰეროდოტე (ძვ. წ. VI.) სასპერებს (ესე იგი სპერის მკვიდრებს) ასხენებს, მისი უმცროსი თანამედროვე ქსენოფონტე – ტაოხებსა (ტაოელებს) და ფასიანებს (ბასიანელებს).

მესხეთში შემავალი ქვეყნებისა და ტომების სახელები რომ ძველისძველია, ამას ძველალმოსავლური წყაროები მოწმობს. ასურელი და ურარტუელი მეფეები არაერთხელ ასახელებენ დაიან-დიაოხს (ტაოს), ზაბახას (ჯავახეთს), კათარზასა (კლარჯეთს) და სხვა.

ფიქრობენ, რომ საკუთრივ მესხთა პირველსაცხოვრისი სამცხე უნდა ყოფილიყო.

დღეს მესხეთის მიწაწყლის უდიდესი ნაწილი თურქეთის შემადგენლობაშია.

ქართლის აღმოსავლეთით, მდინარე არაგვიდან კახეთ-ჰერეთი იწყებოდა. თავდაპირველად კახეთი მოიცავდა

ივრისა და ალაზნის ზემო წელს. მას ემეზობლებოდა კუხეთი (ტერიტორია ჟინვალთან გარეჯის უდაბნომდე) და ჰერეთი. ეს უკანასკნელი საკუთრივ ჰერეთის (ალაზნის დაბლობი თელავიდან შაქამდე) გარდა ფარავდა სუჯეთს (ტერიტორია ხაშმსა და ბოდბეს შორის) და კამბეჩანს (გვიანდელი ქიზიყი მტკვარსა და ალაზნის ქვემო დინებას შორის). საუკუნეთა განმავლობაში კახეთის საზღვრები თანდათან ფართოვდებოდა კუხეთ-ჰერეთის ხარჯზე. კახეთის სახელწოდების დამკვიდრება მთელ ამ ტერიტორიაზე XVI ს-ის დასაწყისისათვის დასრულდა. ჩრდილოეთით კახეთს ეკუთვნოდა ფხოვი – ასე ეწოდებოდა ფშავსა (ფშავის არაგვზე) და ხევსურეთს (მოიცავდა ხევსურეთის არაგვს კავკასიონის სამხრეთ კალთებზე და კუნემდე – და თუშეთი (ანდი-ყოისუს სათავეები კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე). კახეთს ეკუთვნოდა სამხრეთი დაღესტნის თემებიც: დიდოეთი, ხუძქეთი, ნუქეთი. XVI-XVIII სს. კახეთი რამდენიმე მხარედ იყოფოდა: გარე კახეთი (იორის შუა დინება), შიგნით კახეთი (ალაზნის მარჯვენა სანაპირო), გაღმამხარი (ალაზნის მარცხენა სანაპირო), ელისენი (გვიანდელი ჭარბელაქანი), ქიზიყი.

კახეთი მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო ცენტრს წარმოადგენდა. „ხოლო ქუეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, ვენახითა, ხილითა, პირუტყვითა, ნადირითა, ფრინველითა და თევზითა, არამედ უფროს ჰერეთი, და უმეტესად ალაზნისა და იორის კიდენი, რამეთუ თვინიერ ნარინჯისა, თურინჯისა, ლომინისა და ზეთისხილისა, ნაყოფიერებენ ყოველნი, რომელნიცა აღვსნერენით, აბრეშუმით, ბამბით, ბრინჯით, და ხურმა და ნაბლი იმერეთისაგანცა აქ უმჯობესი არს... ხოლო ხილნი ვიეთნი აქაურნი უმჯობეს არიან ქართლისაგან, და თაფლი იმერეთისა უმჯობეს და უმრავლეს აქაურისა“ (ვახუშტი).



კახეთზე გადიოდა ალბანეთთან და სპარსეთთან დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზები. ეს მხარე განთქმული იყო არა მხოლოდ მევენახეობითა და მეაბრეშუმეობით (სწორედ ქართული პროდუქციის მაღალი ხარისხის გამო ეწოდნენ მის წინააღმდეგ „ეკონომიკურ ომს“ თემურ-ლენგი თუ შაჰ-აბას I), არამედ – ზამთრის საძოვრებით. მძლავრი ბარი მჭიდროდ კრავდა ერთმანეთთან კახეთის სხვადასხვა კუთხეს. თუშეთთან დაკავშირებით, მაგალითად, ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ „კახეთის თუშნი ინახვენ ცხოვართა სიმრავლესა, ვინაითგან აქუთ ზაფხულისა თვისთა მათათა შინა საძოვარი, და ზამთარს ჩამოვლენ გაღმა-მხარსა შინა, და ამით უმეტეს მორჩილებენ კახთა“.

ამგვარი ისტორიულ-გეოგრაფიული კავშირები კარგად ხსნის ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენას. ერთი ასეთი ფაქტის – ბახტრიონის აჯანყების – მიზეზების გაანალიზებისას ქართველი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი წერდა: კახეთის მმართველმა, განჯის ხანმა სელიმმა „სულ რაღაც ორი წლის განმავლობაში... თურქმანთა დიდი ურდოები ჩამოასახლა კახეთში. თურქმანებმა დაიჭირეს ბახტრიონი, ალავერდი და სხვა მნიშვნელოვანი ადგილები. ეს საქმის

დასაწყისი იყო. სელიმ-ხანი მთელი შიგნითა და გარეკახეთის ბარი ადგილების თურქმანებით დასახლებას აპირებდა... კახეთს გადაშენება-მოსპობა ელოდა – თურქმანები მთელ კახეთს თავის ყიშლალ-იალალეზად გადაქცევას უპირებდნენ, როგორც ამბობს ხალხი ლექსში: ბახტრიონს სხედან თათრები, სიტყვას ამბობენ ძნელსაო, ახმეტას ჩაეჭრით ვენახსა, შიგ ჩავასალებთ ელსაო. მაგრამ საფრთხე მხოლოდ კახეთის ბარში მცხოვრებთ როდი უდგა. კახეთის მთიანეთის მოსახლეობა სულთა და ხორციტ ბართან იყო დაკავშირებული. კახეთის ბარი მთიანეთის მარჩენალი იყო: ბარის პურიტა და ღვინით ირჩენდა თავს მწირი მთის მოსახლეობა; ბარის საზამთრო საძოვრებზე იყო დამოკიდებული მთიანეთის მეცხვარეობა; კახეთის ბარი იყო ის ადგილი, სადაც მთის ჭარბი მოსახლეობა სულ მუდამ ესახლებოდა. კახეთში მრისხანე აჯანყება მომნიფდა; საყოველთაო საფრთხემ საყოველთაო აჯანყება შობა... კახი, თუში, ფშავ-ხევსური, მთიულ-მობევე ზვავად მოასკდა და სამინელი დაკვრით ერთბაშად გასწმინდა ჩამოსახლებული უცხოელებისაგან სამშობლო მიწა-წყალი“.

კახეთის დიდი ნაწილი საქართველოს საზღვრებშია და საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებშია გადანაწილებული. ისტორიული კახეთის დასავლეთი კუთხეები, მათ შორის ფშავ-ხევსურეთი, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის მხარეებზეა მიწერილი, მისი აღმოსავლეთი (ზაქათალა, იგივე საინგილო) და სამხრეთი ნაწილი (ყარაიასა და ელდარის სტეპები) აზერბაიჯანის საზღვრებშია.

ლიხის ქედის დასავლეთით დასავლეთ საქართველო იწყება. ანტიკურ ხანასა (შესაძლოა ამაზე უწინარესაც) და ადრე შუა საუკუნეებში მას ეგრისი ერქვა; ბერძენ-რომაელი და ბიზანტიელი მწერლები მას ჯერ კოლხეთს, შემდეგ ლაზიკის სახელით მოიხსენებდნენ. ნამყვანი ტომები მეგრები – მეგრელები იყვნენ. დასავლეთ საქართველოს უდიდეს ნაწილში, კერძოდ, კოლხეთის დაბლობსა და იმერეთის ზეგანზე, ადგილის, მათ შორის, წყლებისა და მთების, სახელები მეგრულ-ჭანური ენის საფუძველზე იხსნება. ეს, თავის მხრივ, მთელ ამ ტერიტორიაზე მეგრთა განსახლებაზე მიანიშნებს.

ეგრისის სამეფოს ბირთვს შიდა ეგრი ქმნიდა. ეს ქვეყანა მერმინდელ სამეგრელოსა და ქვემო იმერეთს მოიცავდა. მის აღმოსავლეთით, დაახლოებით რიონსა და ლიხის ქედს შორის არგვეთი – მარგვეთი (გვიანდელი ზემო იმერეთი) მდებარეობდა. პროვინციის სახელწოდება საკმაოდ ძველია; ის დადასტურებულია უძველეს ქართულ მატია-ნებში, ასევე ძველ ბერძნულსა და სომხურ გეოგრაფიულ ტრაქტატებში. რიონსა და ჭოროხს შორის, გურიის ტერიტორიაზე, ლაზები სახლობდნენ.

ეგრისის სამეფოს ეკონომიკურ ცენტრს კოლხეთის დაბლობის ციხე-გოჯი – ქუთაისის მონაკვეთი ქმნიდა. ძველად მას მოხირისი ერქვა. „მოხირისი – წერს VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი – შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხიდის მიწაწყალზეც ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვი-

ნოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ“. გვიანდელ წყაროებში ამ მხარეს „სამოქალაქო“ ან „ვაკე“ შეესატყვისება. მოხარისი-ვაკე დასავლეთ საქართველოს უმთავრეს სასოფლო-სამეურნეო არედ რჩებოდა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში.

უძველესი დროიდან დასავლეთ საქართველოში აღმოსავლურ – ქართული ტომების განვრცობამ და შერწყმამ დასავლურქართულ ტომებთან, გავლენა იქონია ლინგვისტურ ლანდშაფტზე და, ამასთანავე, უფრო მკვეთრად გამოიყო ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული პროვინციები.

XII ს-დან ქართულ წყაროებში დასტურდება „იმერეთი“. ტერმინი ლიხის ქედის დასავლეთით მდებარე ქვეყანას, დასავლეთ საქართველოს, აღნიშნავდა; ამიტომ მის სინონიმად წერილობით ძეგლებში „ლიხთიმერიც“ გვხვდება. „იმერელიც“, შესაბამისად, დასავლეთ საქართველოს მკვიდრს გულისხმობდა. XIII საუკუნის დასაწყისში შექმნილ საისტორიო თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ნათქვამია, რომ ბასიანის ბრძოლის (1203 წელი) წინ თამარ მეფის მეუღლის, დავით სოსლანის, წინაშე სხვებთან ერთად გამოცხადდნენ „ერთკერძო აფხაზნი და იმერელნი, ერთკერძო ამერელნი“ (ესე იგი აღმოსავლეთ საქართველოს მხედრობა – ავტორი).

თითქმის XV საუკუნემდე ზემო და ქვემო იმერეთის აღსანიშნავად „არგვეთი“ და „სამოქალაქო“ იხმარებოდა.

„იმერეთი“ გარკვეული პროვინციის შესატყვის ტერმინად საქართველოს სამეფოს პოლიტიკური დაშლის (XV ს-ის მიწურული) შემდეგ დამკვიდრდა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „განიყოფის ესე იმერეთი ვაკედ, ფერსათის, კერძოდ, არგვეთად, ოკრიბად, რაჭად და ლეჩხუმად“. ორი

უკანასკნელი დამოუკიდებელი ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული მხარეა, ამიტომ „იმერეთად“ იგულისხმება ტერიტორია ლიხის ქედსა და მდინარე ცხენისწყალს შორის; ჩრდილოეთიდან მას რაჭის ქედი და ასხის მთის მასივი ერტყა, სამხრეთიდან – ფერსათის მთები. ფერსათი არგვეთიდან გამოყოფილი მხარე იყო; ის რიონის სამხრეთით მდებარე მიწებს (დაახლოებით დღევანდელი ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტებსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაწილს) მოიცავდა. ვახუშტი ბატონიშვილი ამტკიცებს, რომ ოკრიბაც არგვეთის ნაწილი ყოფილა. ოდესღაც შეიძლება, ასეც იყო; მაგრამ უკვე XI ს-ის I ნახევრის ერთ-ერთ სიგელში იხსენიება ოკრიბაც და იქ არსებული სოფლებიც: ბობოთი, მუხუერი, სანირე, ნადარბაზევი, ჯუარისა... ისტორიული ოკრიბა თანამედროვე ტყიბულის მუნიციპალიტეტს, ასევე წყალტუბოსა და ხონის მუნიციპალიტეტების ჩრდილოეთ ნაწილებს ფარავდა. საკუთრივ არგვეთი რაჭის, ლიხის, ფერსათის ქედებსა და მდინარე წყალნითელას შორის აღმოჩნდა მოქცეული (დღევანდელი ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტები). არგვეთის აღმოსავლეთით, მდინარე ძირულას ზემო წელზე, კიდევ ერთი მცირე ქვეყანა, ხეფინისხევი, წარმოიქმნა. რაც შეეხება ვაკეს, იგივე სამოქალაქოს, მას წყალნითელასა და ცხენისწყალს შორის ტერიტორია (დღევანდელი ხონის, წყალტუბოსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტები) ეჭირა. იმერეთის ჩრდილოეთით, რაჭის ქედსა და კავკასიონის მთავარ წყალგამყოფს შორის, მდინარე რიონის ზემო წელზე რაჭა მდებარეობდა.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

ზაზა აბაშიძე

საქართველოს პარლამენტი

სახელმწიფო ენის შესახებ

კანონპროექტი დამტკიცდა

საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული აფხაზეთში ქართული და აფხაზური

ივლისი 2015

კანონპროექტი „სახელმწიფო ენის შესახებ“ ადგენს

- ▶ სახელმწიფო ენაზე სკოლამდელი, საშუალო და უმაღლესი განათლების მიღება არის საქართველოს ყოველი მოქალაქის უფლება
- ▶ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ არაქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულოა, ხოლო არასახელმწიფოენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებული არიან შესაბამის კონტინგენტს შესთავაზონ სახელმწიფო ენის შესწავლის სპეციალური კურსი
- ▶ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ოფიციალური საქმისწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე
- ▶ სამართალწარმოებისა და საკანონმდებლო საქმიანობის ენაა სახელმწიფო ენა
- ▶ საქართველოს სამხედრო და გასამხედროებულ ძალებში ოფიციალური საქმიანობა ხორციელდება ქართულ ენაზე
- ▶ რეფერენდუმის, პლემბისციტის და სხვა ოფიციალურ ღონისძიებათა ენა არის სახელმწიფო ენა
- ▶ კონკურსებისა და ატესტაციების ენა არის სახელმწიფო ენა
- ▶ აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ნაშრომის წარდგენა და დაცვა ხდება სახელმწიფო ენაზე

# ჩაშტად დაპირდა ან შიშაშა


XX საუკუნის 50-იანი წლები საქართველოს ისტორიაში უმძიმეს პერიოდად რჩება, თუმცა დაიწყო ერთგვარი ლიბერალიზაციის რეპრესიული პოლიტიკის შერბილების პროცესი. შინაგანი პროტესტის დიდი მუხტის დაცლა 1954 წლიდან მიმდინარეობს და 1956 წელს პიკს აღწევს. იოსებ სტალინის სახელის შებღალვის მძლავრი საპროტესტო ტალღა უნდა მოვიზიაროთ, როგორც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული მანიფესტაცია, ეროვნული ღირსების დასაცავად წარმართული მძლავრი პროტესტი. სწორედ ასე აღიქვა საბჭოთა ხელისუფლებამ ქართველი ერის გამოსვლები და 1956 წლის 9 მარტს სისხლში ჩაახშო. რეპრესიული მანქანა კვლავ გაძლიერდა, თუმცა ხელისუფლების ამგვარი ქმედების შედეგად ქართველი ერის შინაგანი საპროტესტო მუხტი კიდევ უფრო გაიზარდა და ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების პროცესი დააჩქარა.

50-იანი წლების დასაწყისი ის დროა, როცა ჯერ კიდევ აკრძალულია მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი, ტიცინი ტაბიძე, გადასახლებაში იმყოფება ლევან გოთუა. „ხალხის მტრად“ მონათლულ რეპრესირებულ მწერალთა ნაწარმოებებს ქართველი ახალგაზრდობა მალულად კითხულობს.

ლიბერალიზაციის პროცესის დაწყებამ რეპრესირებულ ქართველ მოღვაწეთა რეაბილიტაცია დააჩქარა. საბედნიეროდ, 1955 წლის სექტემბერში საქართველოს დაუბრუნდა ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკში გადასახლებაში მყოფი ლევან გოთუა. ქართველი ხალხის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის, საპროტესტო მოძრაობამ თანდათან მოიკრიფა ძალა. „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ბატონ ლევან გოთუას საქართველოში ჩამოსვლა არ სურდათ, მაგრამ ცნობილია, თუ როგორ მოახერხა ეგრეთ წოდებული თავისუფალი პატიმრობიდან თავის დახსნა. საქართველოში ყინული ღღვებოდა და ბატონი ლევანის დაჟინებულ მოთხოვნას, სამშობლოში დაბრუნების შესახებ, ანგარიში გაუწიეს.

საქართველოში დაბრუნებისთანავე ის აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას შეუდგა. ქართველი საზოგადოება, როგორც სამშობლოს გულანთებულ პატრიოტს, სიყვარულით შეეგება და მისი შემოქმედების მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინა, მაგრამ ოფიციალური ბატონი ლევანი მაინც ყოფილ პოლიტიკურ პატიმრად რჩებოდა, რაც მეტად საგრძნობი 1956 წლის 9 მარტის რეპრესიების შემდეგ უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, ქართველ ახალგაზრდობაში მისი შემოქმედებისადმი ინტერესი უფრო გაიზარდა.

1960 წელს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ბატონ ლევან გოთუას პიესა „სამსახეობა რაინდისა“ დადგა. ჩვენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ღვინის ტექნოლოგიის ფაკულტეტის IV კურსზე ვსწავლობდით. ერთ-ერთმა თანაკურსელმა გიორგი შათირიშვილმა, შემდგომში იყალთოს ღვინის ქარხნის დირექტორმა და იყალთოს შოთა რუსთაველის სახალხო უნივერსიტეტის და იყალთოს აკადემიის დამარსებელმა მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლი „სამსახეობა რაინდისა“ ნახა და ძალიან მოეწონა. მეორე დღით შთაბეჭდილებები გაგვიზიარა და დაჟინებით სთხოვა ჩვენს თანაკურსელს – ენგურ კირთაძეს, შემდგომში ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, სერგო დურმიშიძის სახელობის



ლევან გოთუა

მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის ნამყვან მეცნიერს, სპექტაკლი ენახა და დაენერა რეცენზია. თავდაპირველად, ბატონ ენგურ კირთაძემ თავი შორს დაიჭირა, მკითხველი იფიქრებს, – სად ღვინის ტექნოლოგია, სად თეატრმცოდნეობა და ხელოვნებათმცოდნეობა, მაგრამ გიორგი შათირიშვილმა იცოდა მისი პოტენციური შესაძლებლობები, ჰუმანიტარული ნიჭი, ამიტომ არ მოეშვა. გიორგი ორგანიზატორული ნიჭის პატრონი გახლდათ, ის შემოქმედებითი უნარით გამოირჩეოდა, კარგად იცნობდა ქართულ ლიტერატურას. მას ბატონ ლევან გოთუასათვის საღამოს მოწყობა ჰქონდა ჩაფიქრებული, სადაც ენგურ კირთაძე მოხსენებით უნდა გამოსულიყო. ენგურ კირთაძეში ის პიროვნება დაინახა, რომელიც შესძლებდა ღირსეულად შეეფასებინა ბატონი ლევანის პიესა – „სამსახეობა რაინდისა“. ენგურ კირთაძემ სპექტაკლი ნახა, შემდეგ საქართველოს მწერალთა კავშირში მარჯანიშვილელთა სპექტაკლის განხილვას დაესწრო, თეატრმცოდნეობაში გაეცნო სპეციალურ ლიტერატურას და შეადგინა მოხსენება, სადაც ბატონ ლევან გოთუას პიესა და მარჯანიშვილელთა სპექტაკლი მაღალ პროფესიულ დონეზე იყო განხილული.


ენგურმა გაგვაცნო თავისი ვრცელი რეცენზია, რომელიც 32 ნაბეჭდი თაბახი იყო. ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ საღამოს მოწყობაზე თავი შორს დაიჭირა, თუმცა შემდეგ სტუდენტთა სურვილს ანგარიში გაუწია. მოითხოვეს მოხსენების ტექსტის გაცნობა, რა თქმა უნდა, პარტიულ-კომკავშირული ფილტრი უნდა გაეველო, რაიმე პოლიტიკურად საშიში და მიუღებელი არ გაპარულიყო. ასევე რეცენზია უნდა შემოკლებულიყო. შეხვედრა სტუდენტთა სააქტო დარბაზში შედგა. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ბატონი ლევან გოთუა, მარჯანიშვილის თეატრის მოღვაწეები – ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძე, თეატრის პარტკომი მსახიობი გიორგი ტატიშვილი, სპექტაკლში მონაწილე რამდენიმე ნამყვანი მსახიობი, ინსტიტუტის ხელ-

მძღვანელობა. შესავალი სიტყვის შემდეგ ენგურმა მოხსენების ნაკითხვა დაიწყო. რადგან მოხსენების შემოკლება მოითხოვეს, ტრიბუნაზე ასეთი ტექსტის კითხვა ბატონ ლევანს ყურადღებიდან არ გამორჩენია, წამყვანს რეცენზიის სრულად ნაკითხვა სთხოვა. ბატონ ლევანს თხოვნა შეუსრულეს. შემდეგ ენგურმა განიხილა სპექტაკლის მიმდინარეობა, მსახიობების ოსტატობა და ბერიკების თეატრის აღდგენას მხარი აქტიურად დაუჭირა.

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში პირველი სიტყვა ქალბატონმა ვერიკო ანჯაფარიძემ ითხოვა. მსახიობმა მოხსენებლის გამოსვლას მაღალი შეფასება მისცა. იგივე აზრი გამოთქვეს გიორგი ტატიშვილმა და სხვებმა. განსაკუთრებით აღფრთოვანებული იყო ბატონი ლევან გოთუა. მან ხაზგასმით აღნიშნა, მისი ნაწარმოების ასეთი პროფესიული შეფასება არსად მოუსმენია. პატივისცემის დასტურად, შეხვედრის შემდეგ გიორგი შათირიშვილი და ენგურ კირთაძე სახლში მიიწვია. ენგური კიდევ რამდენჯერმე შეხვდა ბატონ ლევანს. საუბარში გადაწყდა, წარმოდგენილი მოხსენების მოკლე ვარიანტი სტატიის სახით ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ წარედგინათ, რომლის რედაქტორი ნოდარ გურაბანიძე იყო. რედაქტორმა ნამუშევარი მოიწონა, მხოლოდ მოითხოვა, ბერიკების თეატრის აღდგენის იდეის მხარდაჭერა სტატიაში არ შეეტანათ. ასეთი ჟესტი ბატონ ლევან გოთუას წინააღმდეგ წასვლას ნიშნავდა, ენგური არ დათანხმდა და სტატია უკან წამოიღო. როდესაც ეს ამბავი მწერალმა გაიგო, რა თქმა უნდა, არ გაკვირვებია, რეცენზიის ავტორის პრინციპულობა კი მოეწონა – მეც ასე მოვიქცეოდიო, – ბრძანა ბატონმა ლევანმა. გარკვეული პერიოდი გახმაურებული რეცენზია მარჯანიშვილის თეატრის ლიტერატურულ ფონდში და ბატონი ლევანის პირად არქივში ინახებოდა, თუმცა ამდენი ხნის შემდეგ მათი კვალი დაიკარგა.

გულდასაწყვეტია, რომ მოხსენების ტექსტს ვერსად მივაგნეთ. როცა ბატონმა ჯუმბერ ჯიშკარიანმა ლევან გო-

თუას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული კრებულის გამოცემის შესახებ იდეა გაგვანდო, მყისიერად 55 წლის წინ გამართული შეხვედრა გაგვახსენდა. ბატონი ჯუმბერი დაინტერესდა და გვთხოვა, კრებულისთვის მოხსენების ტექსტი, უკიდურეს შემთხვევაში 1960 წელს ჩატარებული საღამოს შესახებ მოგვეზადებინა წერილი. ენგურ კირთაძეს მივმართეთ, მან ბატონ ლევანთან ურთიერთობისა და დაუვიწყარი ღონისძიების მნიშვნელოვანი დეტალები გაიხსენა. გვთხოვა, როგორც დამსწრეს და მონაწილეს, მის მიერ გახსენებული პერიპეტეიების მოშველიებით დაგვეწერა წერილი.



თეიმურაზ ლლონტი

მართალია, იმ საღამოს სულისჩამდგმელი გიორგი შათირიშვილი იყო, მაგრამ საღამოს ტონისა და ღონის შემქმნელი ენგურ კირთაძე გახლდათ. დასაწინაა, რომ ენგურმა არ გაიზიარა ბატონი ლევანის სურვილი, – შემდგომი საქმიანობა თეატრმცოდნეობის მიმართულებით გაეგრძელებინა. ბიოლოგიურმა მეცნიერებამ ენგურ კირთაძის სახით კარგი მეცნიერ-მკვლევარი შეიძინა, მაგრამ ხელოვნებათმცოდნეობამ, კერძოდ, თეატრმცოდნეობამ დაკარგა დიდი პოტენციის მქონე ხელოვნებათმცოდნე მეცნიერი.

55 წლის წინ ბატონ ლევან გოთუას შემოქმედებისადმი მიძღვნილი დაუვიწყარი საღამოს მნიშვნელობა დღემდე განუზომელია. ის, რომ შემოქმედებითი შეხვედრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ქართველი სტუდენტების ინიციატივით ჩატარდა, რაც იმის დასტურია, როგორი მაღალი იყო ეროვნული ცნობიერება და შემოქმედებითი პოტენციალი, ჰუმანიტარული თუ ტექნიკური პროფილის ახალგაზრდები თავისუფალ აზრს გამოხატავდნენ და ვერ ეგუებოდნენ დიქტატს.

**თეიმურაზ ლლონტი**  
**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,**  
**მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო**  
**აკადემიის ნამდვილი წევრი,**  
**ალავერდის მონასტრის მარნის ენოლოგ-კონსულტანტი**

# რანინდად დაბადებული



ჯუმბერ ჯიშკარიანი

ჯუმბერ ჯიშკარიანს აქამდე მხოლოდ პრესაში დასტამბული წერილებითა და ჩემი მეგობრების მონათხრობით ვიცნობდი. (პროფესორი ელგუჯა მალრაძე, აკადემიის წევრ-კორი სარგის ცაიშვილი, პროფესორი სერგი სერებრიაკოვი, პროფესორი სოსო სიგუა, დამსახურებული ჟურნალისტი, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ივანე ჯაფარიძე, პროფესორი ალექსანდრე კალანდაძე, მწერალი ემზარ კვიციანიშვილი და სხვა.

ახლახანს პირადადაც გავიცანი. თუმცა მხედველობის პრობლემები შეექმნა, მაინც სულიერად გაუტეხელი დარჩა, თავის შინაგან მოწოდებას, იღუმალ ხმას ემორჩილება. ამ ცოტა ხნის წინ გაიმართა მისი წიგნის წარდგინება მწერალთა სახლში. კიდევ რამდენიმე წიგნი აქვს გამზადებული დასასტამბად. ასეთი რისკი ვაჟკაცობაა, ვაჟკაცობა კი ყოველთვის პატივისცემას იმსახურებს.

ჯუმბერ ჯიშკარიანმა – მეცნიერმა, სპელეოლოგმა, დამსახურებულმა ჟურნალისტმა რანინდულად იცხოვრა. უფალმა სულიც რანინდული უბოძა.

შეხედავ – რანინდია, მოქმედებებში – რანინდი – მუდამ უშიშარი და გაბედული.

სჯერა როგორც ნებისყოფის სიმტკიცის, ისე – ბედისწერის.

ერისკაცობაში, მეგობრობაში, თანამშრომლობაში უღალატა.

აზროვნებაში, დუმილში, ქირსა შიგან თმენაში, გაუტეხელი.

არაერთხელ მიხილავს მისი ფაქიზი ურთიერთობა ვაჟიშვილთან.

ოდესმე ყველაფერს მოეველება, – ამბობს; ესეც რაინდული იმედია.

სიყვარულში ხომ რაინდია და რაინდი...

ახალი წიგნიც – „ჩვენი ოტია“ რაინდული გვაჩუქა, რომელიც გამოჩენილ მწერალს ოტია იოსელიანს ეძღვნება.

იგი ანალიტიკოსიცაა და დოკუმენტალისტიც. ჰუმანისტური ოპტიმიზმია მისი რელიგია. რწმენა ერთგულებას ითხოვს. საჭიროა სუბსტრატი, რომელსაც შეიძლება ამოუხსნელის პასუხისმგებლობა დააკისრო. მას სწამს ამგვარი ზეარსება. იგი რთული შემოქმედი.

წარსული თავდება მომავლისა. მასთან რაინდული სამყაროს კანონები უცვლელია.

ამ ასაკშიც კვლავ რაინდული, დიდებული, ურყევი რჩე-

ბა ჯუმბერ ჯიშკარიანის გონება, ისევე, როგორც მისი ნერვები. მისი ქმედითი სული არასოდეს ისვენებს, არასოდეს სძინავს და არ თვლემს გულარხეინად ეს ფხიზელი, დაუდგარი გონი.

ჯუმბერ ჯიშკარიანი სინამდვილეს ჭკრეტს არა მხოლოდ გონებით, არა მხოლოდ ჭკუით, არა მხოლოდ გრძნობით, არა ერთი რომელიმე უნარით, არამედ მთელი თავისი არსებით. ჯუმბერ ჯიშკარიანის ცხოვრების სტილი ინტიმური მეტყველებაა სულისა. დაე, იდინოს დრომ და თან მოიტანოს ახალი მოთხოვნილებანი.

ახლა კი ვისურვოთ, რომ ეს საუცხოო ნიჭი დიდხანს ბრწყინავდეს მეცნიერებაშიც, ჟურნალისტიკაშიც და სპელოლოგიაშიც.

ფასი თანადროულობისა ვიცით მხოლოდ წარსულთან ზიარებით.

დრო მიდის, დრო ამტკიცებს ჭეშმარიტებას.

**ლუიზა ბოჩკოვა-ხვიჩია**

**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საპატიო პროფესორი, რედაქტორი ჯუმბერ ჯიშკარიანის ჯერ დაუსტამბავი წიგნისა „ფრაგმენტები ამერიკული დღიურიდან“**

# ურვეუდო დღე

## წერილი ამერიკიდან

ბატონი ოტია იოსელიანს ოცი წლის წინათ შეეხვდი, თუმცა მის შემოქმედებას დიდი ხანია, ვიცნობ.

იმ წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელოლოგიურმა ექსპედიციამ ნყალტუბოს მახლობლად, სოფელ ყუმისთავში მიაკვლია მღვიმეს, რომელიც ბუნების დიდებული ძეგლი აღმოჩნდა.

ორიოდე კვირაში რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელები – ედუარდ შევარდნაძე, ჯუმბერ პატიაშვილი, სხვა ოფიციალური პირები გვეწვივნენ.

სტუმრები აღფრთოვანდნენ ბუნების საოცრების ხილვით, მადლობა გადაგიხადეს, მხარდაჭერა აღგვითქვეს. გადანყდა მღვიმის კეთილმონყობა, რასაც სადირექტივო ორგანოების საგანგებო დადგენილება მოჰყვა.

ბატონი ოტია უმალ ჩვენთან გაჩნდა, ნაბიჯ-ნაბიჯ შემოვატარე მღვიმის ტალანები და ვრცელი დარბაზები.

– აქაურობა გალაკტიონს რომ ენახა, „ნიკორწმინდას“ სხვაგვარად დანერდაო, – ბრძანა...

მალე მშვენიერი ნარკვევი უძღვნა მიწისქვეშეთის მკვლევართ, რომელიც ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა.

იმ დღიდან ბატონი ოტია ხშირად გვაკითხავდა მღვიმეში, ყველა სიახლის საქმის კურსში იყო. როგორც კი დროს გამოვნახავდი, მეც მისი სახლისკენ მივიჩქაროდი. შემდგომ წლებში ჩვენი ურთიერთობა უფრო განმტკიცდა.

იმ დღეს ბატონი ოტიასთან რომ მივედი, სკის ყუთებს კრავდა ალვის ხის ფიცრებისგან. ცოტა ხელი შევაშველე. შებინდებამდე ვიმუშავეთ.

– ალვის ხე სამასალებად სუსტია, მარა ნამეტანი ლამაზია, დიდებული. რაც მთავარია, სკის ოჯახიზა შეუცვლელია; არ ჭიანდება, მსუბუქია, ფიორა, – ამბობს, თან გაპრიალებულ ფიცარს სათუთად, თითქოს მოფერებით უსვამს დაკოჟირლ ხელებს.

ოთხი ყუთი მზადაა უკვე, თავისი სახურავით. ვხედავ,



ოტია იოსელიანი

უჭირს დანყებული საქმის მიტოვება, მაგრამ სხვა გზა არაა, – ქალბატონი ნანა რამდენიმე დღეა, თბილისშია. ამიტომ ეზო-კარი ახლა მას დანავა. პირველ რიგში საქონელი დააბინავა. უცხომ ბოსელს გარედან რომ მიაყურადოს, გაცდება, – ბატონი ოტია ძროხებს ადამიანივით ელაპარაკება. სახელებიც „ადამიანური“ დაურქმევია, – კოჭოია და ბოჩოია... ნეტავ შეგახედათ, პირუტყვი როგორ უსმენს

პატრონს. ზოგიერთ ოჯახში ბავშვი არ არის ისეთი გამგონე და თვინიერი, როგორც ბატონი ოტიას გამოზრდილი საქონელი...

მასპინძელმა ორიოდ საათში მოილია საოჯახო საქმეები.

– ქვეით ბუხართან ვიჯახშმოთო, – მთავაზობს.

ბუხარი ბატონი ოტიას სიამაყეა. აგურის ნახევრადნრიული სასახლის პირველ სართულზე ისეთი ვრცელი ბუხარია, მოზვერი შეიბრანება. ბუხარი, ისევე როგორც ბევრი რამ ამ სახლში, ბატონი ოტიას ნახელავია.

– სულ რამდენიმე კაცი დავრჩით საქართველოში ნამდვილი მეზუხრები, – იტყვის ზოგჯერ დანანებით.

ბუხარში რცხილის ორი მოზრდილი კუნძი შეუკვეთა გარდიგარდმო. კუნძები წვიმისგან დასველებულია, მაგრამ ხმელი, მშრალი ნაფოტები ისე ოსტატურად შემოუნყო, აბრიალდა ცეცხლი. სველი კუნძები შიშინებს.

განიერი ბუხრის წინ, ტაბლაზე, მსუბუქი ვახშამი გაანყო, – ყველი, მჭადი, მწვანილი, მჭავეული, ქოთნით ლობიო. წელში გამოყვანილი, მომცრო ჭიქებით ვწრუპავთ მასპინძლის ხელით დანურულ ადესას.

...ამ ხუთ წელიწადში მრავალი ღვინო დავაჭაშნიკე ამერიკაში, – კალიფორნიული, სუფრის თეთრი და ვარდისფერი კარლოროსი, ლივინგსტონი, ინგლინოკი, ფრანგული კაბერნე, პინო, ბურგუნდი, შარდონე, იტალიური კიანტი, ავსტრალიური შავი გედი, შირაზი... სასმელები ათასნაირი ზომისა და ფორმის ჭურჭელშია, თვალისმომჭრელი, ვარაყიანი ეტიკეტებით; ფასიც სოლიდური ადევთ, მაგრამ რატომღაც ყველას სპორტისა და რალაც წამლის გემო დაჰკრავს თითქოს. ვერც ერთს ვერ შევადარებ ჩვენებურ ღვინოს, მზისა და მიწის სურნელით რომა გაუღენთილი...

ბატონი ოტიას დანურულ, ერთ ბოცა ადესას აქაურ ერთ კონტინერ ღვინოში არ გავცვლიდი, მაგრამ სადღაა...

– ბრიალა ალი კარგა ხანია ჩაინავლა, კუნძების თავები კი ვარდისფრად ღუის. ნაკვერჩხლებს აქა-იქ სილურჯე გადაჰკრავს.

ოცნებამ გამიტაცა... ნახევრადნრიულ, ვრცელ დარბაზს ვიხსენებ...

ხელმარჯვნივ, ბატონი ოტიას ხელით განყობილი წისქვილია. მარცხნივ, კედელთან – ცაცხვის საწნახელი. კედლების გასწვრივ, თაროებზე, – სხვადასხვა ზომის ბოცები, ბოთლები, ქილები. ბოცებში – თეთრი, შავი, წითელი ღვინო. ყველას შესაბამისი ფირფიტა აქვს მიკრული. ქილებში – თაფლი; საზამთროდ დაკონსერვებული ბოსტნეული; კაუჭებზე – ხახვისა და ნივრის გალები; ზაფრანისა და წინაყის გირლანდები; ადესისა და ცოლიკოურის ჩხები; სიმინდის ადლიანი, ნაქურჩალგანასკვული ტაროები, ბრონეულისა და ინდისხურმის დახუნძლული ტოტები. მაგიდაზე – სხვადასხვა ზომისა და ფერის ხოკორა კვახები; ძენწისგან ოსტატურად მოწულ თახჩაზე – ვაშლები, კომშები, გადამსკდარი ბრონეულები, კაკალი, ნაქურჩალიანი თხილი... ისე ლამაზად ალაგია, ხელის ხლება დაგენანება, – დადექი და უყურე! უმალ გურამ თიკანაძის განუმეორებელი ფოტოშედევი – „ნატურმორტი“ გაგახსენდება... გასაოცარია! ბატონი ოტია იშვიათად გადის სახლიდან. თუ ძალიან არ შეანუხებს, სადმე შეხვედრაზე ან რაიმე ღონისძიებაზე არ წაიყვანეს, – სულ ეზოში ტრიალებს, საქმიანობს. ხან მიწას ამუშავებს, ან ლიმონარიუმს არემონტებს; ხანაც დურგლობს, ან ხეხილს სხლავს, საქონელს უვლის... სტუმარი დღეში ათჯერ შემოაღებს ჭიშკარს; ზოგი – რჩევის საკითხავად, ზოგი – შეწვევის სათხოვნელად, ზოგიც – მოსაკითხავად; უბრალოდ, მასთან საუბარი მონატრებითა.

ყველას მიღება-გასტუმრება, პასუხის გაცემა სჭირდება... ღამით გვიან იძინებს, ალიონზე – მზეს ასწრებს ადგომას; და მაინც, ყველაზე ადრე იგებს ქვეყნის სიახლებს...

ერთხელ ჩემმა მეგობარმა, გეოლოგმა და ჟურნალისტმა ივანე ჯაფარიძემ ტელეკომპანიის პროგრამა „ირაოს“ გადამღები ჯგუფი ჩაიყვანა წყალტუბოში. მღვიმის გადაღება სურდათ. ცხადია, ბატონ ოტიასთან შეხვედრის შანსს როგორ გაუშვებდნენ ხელიდან.

– მოდით, დილით ადრე მივიდეთ. სანამ მასპინძელი გაიღვიძებს, სახლს და ეზოს გადავიღებ; თან ინტერვიუს ჩასანერად ადგილს შევარჩევ, – გვთხოვა რეჟისორმა რეზო შალიბაშვილმა.

დილის სისხამზე, ჭიშკარს რომ მივადექით, კუნაპეტით შავი, მოზვერივით ნაგაზი გამოგვენთო. სახელი რომ დავუძახე, ბუხუიამ მიცნო, დანყნარდა, მშვიდად შეხვდა სტუმრებს.

ჟურნალისტები განცვიფრდნენ, – ბატონი ოტია შარვლის ტოტებაკარნახებული, უკვე ყანაში იდგა და სიმინდს მარგლავდა.

ბიჭები დაფაცურდნენ, – აპარატურა გაამზადეს, – ბარემ აქვე გადავიღებთო, უკეთეს ნატურას ვერც ვინატრებდითო...

– ვინ დაიჯერებს, რომ ეს კადრები დადგმული არაა? – თავს იქნევს ვანო ჯაფარიძე.

გადაღება რომ დაასრულეს, ბატონმა ოტიამ ჟურნალისტები სუფრასთან მიიწვია. ბევრ რამეზე ვისაუბრეთ. ისინი გაოცებას ვერ მალავდნენ, – წინა დღით თბილისიდან ჩამოსულ სტუმრებს დედაქალაქის ახალ ამბებს უყვებოდა მასპინძელი...

ყველაზე უფრო ის მიკვირს, მთელი დღის ნაჯაფარი, წერას როდისღა ასწრებს? არადა, ქალბატონი ნანა მისი ხელნაწერების ბეჭდვას ვერ აუღის...

– უკვე ყოველდღე ველოდები მეუფე ისაიას ჩამობრძანებას, – მითხრა ბატონმა ოტიამ დამშვიდობებისას, – გული მიგრძნობს, მალე უნდა ჩამობრძანდეს.

მისი ყოვლადუსამღვდელოესობა, მეუფე ისაია ნიქოზისა და ცხინვალის მთავარეპისკოპოსია. ჯერ არ შეხვედრივარ, მაგრამ ბატონმა ოტიამ იმდენჯერ მიხსენა, ისეთი პატივისცემით საუბრობს მასზე, რომ მეც მოუთმენლად ველოდები.

ბატონი ოტიას სახლიდან სანატორიუმ „საქართველოს“ კოტეჯამდე, სადაც დროებით ვცხოვრობ, ხუთი წუთის სავალია. კოტეჯში შუალამეს დავბრუნდი.

დილაადრიან კვლავ ბატონ ოტიასთან მივდივარ, როგორც წუხელ დავთქვით. ეზოში უცხო მანქანა შევნიშნე.

– მეუფე ისაია ჩამობრძანდა მორჩილთან ერთად! – მახარა ბატონმა ოტიამ.

სასტუმრო ოთახიდან მთავარეპისკოპოსი გამობრძანდა. ბატონმა ოტიამ წარმადგინა. ხელზე ვეამბორე. პირველივე წუთებიდან მოწინებით აღვივსე. მეტად უშუალო ბრძანებულა.

– წუხელ გვიან ჩამოვედითო, – ბრძანა მეუფემ, – ალბათ პირველი საათი იქნებოდა, ზარი რომ დავრეკეთ.

ბატონი ოტია აივანზე გადმოდგა.

– მეუფე ისაია ვარ-მეთქი.

– ოჰ! აგაშენოთ ღმერთმა! – თქვა და გამოგვეგება. გელოდებოდითო!

– აქ ყოველთვის გვიან გვინებს ჩამოსვლა, მაგრამ ბატონი ოტია მუდამ გულთბილად, სიხარულით გვხვდება; ამიტომ ჩვენც მასთან მოგვიხარია, – ბრძანა მეუფემ, – მოზარდებს პატარაობიდანვე უნდა ჩავუნერგოთ ღვთის სიყ-

ვარული, ათი მცნება, რათა ჯანსაღი სულის ადამიანებად ჩამოყალიბდნენ, – ბრძანებს მეუფე; ბატონი ოტია მთელი სიცოცხლე ამას ქადაგებს. უფრო სწორად, თავისი ცხოვრების წესით ამკვიდრებს, რომ გიყვარდეს სამშობლო, გიყვარდეს შრომა, გიყვარდეს ადამიანი...

ბატონი ოტია სასტუმრო დარბაზში, საუზმეზე გვეპატიჟება.

მეუფე ისაიამ სუფრა აკურთხა. ჩემს ცხოვრებაში მეორედ ვზივარ უმაღლესი მღვდელმთავრის ნაკურთხ სუფრასთან.

რამდენიმე წლის წინათ ბატონმა ოტიამ, მისმა მეგობრებმა და თანამდგომებმა იავარქმნილი გვიშტების ეკლესია ალადგინეს, რომელიც ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემ აკურთხა.

მასპინძლებმა ეკლესიის კურთხევაზე მობრძანებული მრევლის პატივსაცემად ტრაპეზი გამართეს.

სუფრაც მეუფე კალისტრატემ აკურთხა.

– ეროვნულ ცნობიერებანაშლილ, ვიღაც ჯგერენაიებს, ჭიბერაშვილებს, ტიკიბერაშვილებს თუ სხვა ათასი ჯურის შვილებს იმ სუფრაზე დასწრების პატივი რომ ჰქონოდათ, თავად დარწმუნდებოდნენ, თუ რატომ უნოდებენ ქართულ სუფრას აკადემიას, თუმც ეს სხვა საუბრის თემაა.

ის დღე სამუდამოდ დამამახსოვრდა.

დღეს, ირგვლივ, ყველაფერი უჩვეულოდ მეჩვენება.

ამ ვრცელ დარბაზში ბევრჯერ შევსწრებივარ ხალხმრავალ სუფრებს, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეების, მეცნიერების, ხელოვნების მუშაკების, მაღალი რანგის უცხოელი სტუმრების მონაწილეობით, მაგრამ დღევანდელი დღე

ჩემთვის გამორჩეულია, განსაკუთრებული...

ბატონი ოტია ჩაცმა-დახურვისადმი და კოპნიაობისადმი გულგრილია, მაგრამ დღეს ახალი ფეხსაცმელებითა და შარვალ-ხალათით გამოგვეცხადა...

მე და მორჩილი სმაგაკმენდილები ვზივართ სუფრასთან. ჭარმაგი გვიშტებელი მინდია და ახალგაზრდა, ერთ-ერთი უმაღლესი მღვდელმთავარი, რომელსაც სახეზე ნათელი გადასდის, დინჯად საუბრობენ ქვეყნის სატკივარზე...

...გლობალისტები გააფთრებით უტევენ მართლმადიდებლობას, რომელსაც უკანასკნელ ზღუდედ მიიჩნევენ ერთიანი მსოფლიოსკენ მიმავალ გზაზე, მაგრამ ამაოა მათი განწმამება, – დღეს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ძლიერია, როგორც არასდროს! შენდება ახალი ტაძრები, მონასტრები, ღვთის სახლები, მორწმუნე მრევლს ვერ იტევს; არსდება ახალი ეპარქიები, რაც სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მოღვაწეობას უკავშირდება.

საუბარში ისეთი ურთიერთპატივისცემა იგრძნობა, სული სიამით მევსება...

მას შემდეგ თითქმის ხუთი წელი გავიდა, მაგრამ ვიდრე სული მიდგას, ის უჩვეულო დღე არასდროს დამავიწყდება...

*ჯუმბერ ჯიშკარიანი,*

*„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ.კორ.*

*ფლორიდა, აშშ.*

*„საქართველოს რესპუბლიკა“, №30-31.*

*11 თებერვალი, 2006 წელი*

# ქართული ენა უფლის ენაა...

ამას წინათ საშუალება მომეცა გავცნობოდი წმინდა ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვრის ილუმენია დედა ქეთევანის კოპალიანი ნაღვანს.

წიგნი ეძღვნება უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II საიუბილეო თარიღს.

მსურს მოკრძალებული აზრი გამოვთქვა 2013 წელს მცხეთა სამთავროში დასტამბულ დედა ქეთევანის ლექსზე „ქართული ენა“.

დედა ქეთევანი ლექსში „ქართული ენა“ ღმერთს უგალობს. მუხლმოყრილი ლოცულობს.

„ქართული ენა“ პოეტის სულის აღსარებაა. თითოეული სტროფი ლოცვაა. შთაგონებული შემოქმედი ღვთიური ექსტაზით თხზავს:

**„ქართული ენა სამშობლოს ხმაა,  
კავკასიონით ცის კამარამდე,  
საქართველოა, იბერიაა –  
ნიკოფსიითგან დარუბანდამდე“.**

სიტყვებთან ჭიდილი შემოქმედისათვის სიამოვნებაა. ასეთ ბრძოლაში გასამარჯვებლად ესაჭიროებოდა რწმენა! საკუთარი თავის რწმენა კი, ღვთისაგან აქვს მომადლებული.



*სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვართა ილუმენია ქეთევან კოპალიანი*

ახალი აზრი ისეთ დიდ ფენომენზე, როგორც ქართული ენაა, შეუძლებელია ერთბაშად შექმნილიყო. შთაგონებას პოეტი დაკვირვებადმდე მიჰყავს:

**„ქართული ენა უფლის ენაა,  
დაბადება და სახარებაა,  
ათი მცნება და ნეტარებაა,  
გოლგოთაა და ამალღებაა“.**

ყოველი სტროფი უცნობი ნაცნობია. თითოეული საერთოს განსაზღვრებაა:

**„ქართული ენა ქართლის გულია,  
ზენაარისა კურთხეულია,  
ნატიფია და კეთილქმნულია  
იასპია და იაგუნდია.“**

დედა ქეთევანისათვის ღმერთი მარადიულად არსებობს, როგორც წმინდა აზრი, როგორც სისრულე. მან ინტელექტს, ნებელობას, ემოციებს, ხასიათს მოქმედებაში გამოვლენის საშუალება მისცა:

**„ქართული ენა საგანძურია,  
ოქროპირია, მოციქულია,  
ბერი სალოსის სიტყვათქმულია:  
„ღმერთი არისო სიყვარულია.“**

პოეტი ღრმა ფიქრის უნარიანაა დაჯილდოებული, ფილოსოფიური კატეგორიებით აზროვნებს. პრობლემასთან დიალექტიკურად მიდის. დედა ქეთევანი ამბავში ისეა, როგორც ზეარსი ბუნებაში – ყველგან ვგრძნობთ, მაგრამ ვერ ვხედავთ. შეხედულებებსა და განცდებს თავს არ გვახვევს. ტენდენციები მოქმედებიდან გამომდინარეობს. ქართული ენის არსებობის სიღრმე არეკლილია, როგორც სარკეში:

**„ქართული ენა საღმრთო მადლია,  
უფლის კვართია, მეფის ბაღია,  
წმინდა ნინოს ვაზის ჯვარია,  
მაყვლოვანია, ტალავარია.“**

იგრძნობა გულწრფელობა. არა ჩანს პოეტი. იგი მთხრობელია. გარეგანში სულიერ სამყაროს აყალიბებს. ყოველ სტროფში ზოგადის აღმოჩენას ლამობს:

**„ქართული ენა დედოზარია,  
ფსალმუნთქნარია, ნიავექარია,  
მთის ჩანჩქერივით შმაგი, მარდია,  
გერგეტია და დარიალია.  
ქართული ენა მზისადარია,  
„თამარ ქალია, ქვეყნის თვალა.“  
მეფეთ მეფისა იადგარია,  
ვარძიაა და ოპიზარია“.**

როცა ილუმენია ყვება, სუნთქვა არ ისმის. დინჯად, მიუყვება საფეხურებს. შორს წვდება თვალი.

სტროფებზე მუშაობისას ვგრძნობთ, როგორ აუჩქარებლად, თუმცა მღელვარედ თხზავდა. პოეტის შემოქმედებითი ფანტაზია სიყვარულია. ეფუძნება როგორც ისტორიის ზუსტ დოკუმენტებს, ისე გულის საიდუმლო ხვეულებს.

**სიყვარული...**

ეძიე სიყვარული, აჩუქე სიყვარული და თავადაც ესწრაფე მას. გიყვარდეს, ვიდრე სიყვარული შეგიძლია:



**„ქართული ენა სიყვარულია,  
აღსარება და სინანულია,  
ქრისტეს შობისა სიხარულია,  
„ალილოა“ და „ალილუია“.**

თითოეული სტროფი ავტონომიური ქმნილებაა. თავისთავადი გუნება-განწყობილებით, კილოთია დამუხტული. ერთბაშად გვაყენებს თემის მაგისტრალურ ხაზზე. ეს სახეები მთელ საქართველოს განასახიერებს. სტროფების შედარება ცალკეულში ზოგადის აღმოჩენის საშუალებაა, იმ ნიშანს გამოყოფს, რითაც იგივეობრივნი არიან:

**„ქართული ენა წეს-განგებაა,  
სიმდაბლეთა და მორჩილებათა,  
ასაბია და ქორწინებაა,  
ბერობაა და ქალწულებათა.  
ქართული ენა ივერონია,  
საღმრთო ცეცხლია, საფლავის ქვაა,  
არაგვია და იორდანეთა,  
გეთსიმანია, ათონის მთაა“.**

არც ერთი მთავარი სტროფი არაა. რასაც ერთი ამბობს, ან აკეთებს, ამბობს და აკეთებს მთელი ერი. ლექსის ბოლოს ხდება განწყობილების პროექცია.

სიუჟეტი ცხოვრებისეული ძაფითაა ნაქსოვი. შემზადებული, დახვეწილი, ამოქარგული, ნონასწორობაში მოყვანილი.

განცდათა რეალობაში რწმენის გარეშე სიცოცხლე შეუძლებელია. პოეტის შთაგონება სულის ტანჯვაა.

სულისკვეთების ძალა და ძლევამოსილება, ლოცვის კეთილსურნელოვნება, წყნარი ფიქრორეულობა, რწმენა – ზოგადად. ასე წარმოგვიდგენია „ქართული ენა“:

**„ქართული ენა ქართლის გენია,  
უზენაესი ფენომენია,  
ძველთაძველია,კვართის ფერია,  
სვეტიცხოველი, ალავერდია.  
ქართული ენა ქართლის ხვედრია,  
უნმინდესია, ხვეისბერია,  
პორფირია და მეფის კვერთხია,  
ოქროვანია, ოქროს ვერძია“.**

ლექსი ქართველი ერის ისტორიის აზრი და სულია. ხასიათებს, პათოსს პოეტი ხმამაღლა აფიქსირებს. ფიქრი კი თვალსაზრისის გამოხატვას მოითხოვს.

დედა ქეთევანი მიწის მარადიული ძალებით იკვებება. მეფური სიდიადით დგას. მაღლა მიიწევს ღრმად ფესვგადგმული. მოთმინებით იხდის ღმრთისაგან ბოძებულ ვალს. ამ სიტყვების დასტურია ეპიგრაფად წამდგვარებული კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის ილია II შეგონება: „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“.

ილუმენია ქეთევანის ცხოვრება – დიდი ცხოვრებაა. მისი წმინდა ცხოვრება ვრცელი რელიგიური პორტრეტია. თავს მდაბლად ვხრი და მუხლს ვიყრი მისი პიროვნების წინაშე.

**ლუიზა ბოჩკოვა-ხვიჩია  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
საპატიო პროფესორი**

# ჩვენ თუ არ ჩავსახლდებით, სხვები ჩასახლდებიან...

მთიანი რეგიონის მცხოვრებლებს ეკონომიურად ძალიან უჭირთ. მმართველმა გუნდი დარწმუნებულია, მთის კანონის სრულყოფილი პაკეტი მთის გადარჩენის ერთ-ერთი საფუძველი იქნება. კანონპროექტი 2017 წლის ნაცვლად, 2016 წელს ამოქმედდება. საქართველოს 2/3-ის, მთიანი რეგიონების სოფლები დაცლილია, ადგილობრივები დედაქალაქში მასობრივად ჩამოდიან, მძლავრია მიგრაცია და დემოგრაფიული ანექსიის საფრთხე. იმ ფონზე, როდესაც შობადობა დაბალია, განსაკუთრებით მთაში, ყოველი ახალდაბადებული პირველი და მეორე, ერთი წლის განმავლობაში მიიღებს 100 ლარიან დახმარებას, ხოლო მესამე და შემდგომი ბავშვი 2 წლის განმავლობაში 200 ლარიან დახმარებას. სახელფასო დანამატს მიიღებენ პედაგოგები, მასწავლებლებზე იქნება დანამატები, პენსიონერები კი მიიღებენ 20%-იან დანამატს. მმართველ გუნდი იმედოვნებს, რომ ასეთი ქმედებით საქართველოს მთას გადაარჩენს, რაც ეროვნული უსაფრთხოების ტოლფასია.

მთის კანონით ადგილობრივებს რამდენად შეუძლებელია ბათი ყოფა, ამას დრო გვიჩვენებს, საქართველოს რეგიონებში და დედაქალაქში კომპანია „ენერგო-პრო-ჯორჯიას“ სემეკში შეტანილია განაცხადმა სოციალურად დაუცველ თუ „დაცულ“ ფენას ახალი თავსატეხი გაუჩინა. მთავრობის გადამწყვეტილებით, რეგიონებში სოციალურად დაუცველ 200 ათას ოჯახს და დედაქალაქში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფებს ტარიფის მომატება არ შეეხებათ. ამისთვის სუბსიდირებას მიიღებენ. რეგიონებში მცხოვრებლები 4 თეთრით მომატებულ ტარიფს აგვისტოს თვიდან გადაიხდიან. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები სემეკის სხდომას ესწრებოდნენ, ისინი მარეგულირებლის გადამწყვეტილებას უკანონოდ მიიჩნევენ. გარდაიღი ტარიფი წლის ბოლომდე იმოქმედებს, შემდეგ ისევ გადაიხედება. „ენერგო-პრო-ჯორჯიაში“ ვარაუდობენ, რომ ახალი წლის შემდეგ მარეგულირებელს ტარიფის გაზრდა კიდევ მოუწევს.

ხელისუფლება არ ასაჯაროებს ინფორმაციას ქულების დათვლის ახალი წესის ამოქმედების შემდეგ საქართველოში რამდენი ოჯახი დარჩა სოციალური დახმარების გარეშე.

ქულების დათვლის ახალი წესი რეალურად არ ამოქმედდა, ისევ ძველი მეთოდით მიმდინარეობს დათვლა და ბევრად გართულებული ვითარებაა, ადგილობრივი მცხოვრებლები ლატაკის სტატუსის მინიჭებისთვის სოციალური აგენტების მიერ ქრთამის აღებაზე საუბრობენ.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის ზაზა სოფრომაძის ინფორმაციით, სოციალური დახმარების ახალი სისტემა მაისის თვიდან საპილოტე რეჟიმში ამუშავდა. ამ ხნის მანძილზე ახალი სისტემაზე მონიტორინგი მიმდინარეობდა და ანალიზის შედეგად დადგენილი იქნა, რომ გარკვეულ კორექტირებას საჭიროებს. ახალი სისტემა ძირითადად ორიენტირებულია მრავალსულიან და ბავშვთა ოჯახებზე, ეს გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაცია იყო. ეს სისტემა, პირველ რიგში, მარტოხელა პენსიონერების გარკვეულ ნაწილს აზარალებს. ამიტომ პროგრამის სუსტი ნაწილები იქნება იდენტიფიცირებული. მთავრობის სხდომაზე დამტკიცების შემთხვევაში, 1 აგვისტოდან შევა ძალაში. ახალი ცვლილების შედეგად გაიზრდება პენსიონერის შეფასების კრიტერიუმი, რაც საშუალებას მოგვცემს, დახმარება იმ პირებს აღუდგინოთ, რომლებსაც დროებით შეუჩერდათ. სახელმწიფო აუნაზღაურებს მარტოხელა პენსიონერებს იმ თვეების თანხებს, რა დროსაც მათ საარსებო შემწეობის მიღება შეჩერებული ჰქონდათ.

მომატებული ტარიფი აისახება სამომხმარებლო პროდუქტებზე, მათ შორის პურის ფასიც გაიზრდება. დენის ტარიფი ნებისმიერი საქონლის მდგენელია, ეკონომიკური ექსპერტები ფასების ზრდას აგვისტოს თვიდან ელოდებიან. სუბსიდირება ისედაც შემცირებულ ბიუჯეტს კიდევ უფრო დააზარალებს.

სემეკის გადამწყვეტილებით ქვეყნის მასშტაბით აბონენტებს ტარიფი უკვე გაეზარდათ. ხოლო მთის კანონპროექტი 2016 წელს ვის სად ჩაასახლებს, ან ემიგრანტ ქართველებს კიდევ სად გადაასახლებს, უცნობია. ახალგაზრდებს სოფლებში აღარ სურთ ცხოვრება, რადგან რთული ეკონომიური მდგომარეობაა, თავისუფალი აზრის გამოხატვა თანდათან შეუძლებელი ხდება. ასე ესმის ადგილობრივ ხელისუფლებას დემოკრატია.

ლელა სურმავა



## სოციალური და ეკონომიკური შედეგები მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისთვის



-  კანონის ამოქმედების შემდეგ დაბადებულ პირველ და მეორე ბავშვზე, 1 წლის განმავლობაში ყოველთვიური 100 ლარიანი დახმარება, მესამე და შემდგომ ბავშვზე 200 ლარიანი დახმარება 2 წლის განმავლობაში
-  ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი თავისუფლად საშემოსავლო გადასახადისაგან საშუალოდ 6 000 ლარამდე
-  მწარმოებელი ფირმები თავისუფლად საშემოსავლო გადასახადისაგან 10 წლის ვადით
-  სანარმოები ქონებისა და მომსახურების გადასახადებისაგან თავისუფლად 10 წლის ვადით
-  10 წლის მანძილზე საშემოსავლო გადასახადისაგან ბათავისუფლად მთაში მუდმივად მცხოვრები პირები
-  მთაში მუდმივად მცხოვრები პირების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საშუალოდ თავისუფლად ქონების გადასახადისაგან
-  საკომპანია და მაღალმთიანი რეგიონებში მდებარე პროფესიული საბუნებისმეტყველო დაწესებულებებზე ვაჭარის გზრდა



-  ექიმებისათვის დანამატი სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობით, ხოლო მეტყველებისათვის - სახელმწიფო პენსიის ოდენობით
-  დანამატი სახელმწიფო პენსიაზე და სოციალური პაკეტის მიმდებარე პირებისათვის 20%-ის ოდენობით
-  ზამთრის პერიოდში ბათობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა
-  მასწავლებლებისთვის (სკოლისა და პროფესიული საბუნებისმეტყველო დაწესებულებების) სახელფასო დანამატი არანაკლებ 35%-ის ოდენობით
-  საპარტოვალოს განათლებისა და მაცნობარების საბუნებისმეტყველო პროგრამებში მონაწილე მასწავლებლებზე დამატებითი ანაზღაურება ხელფასის არანაკლებ 50%-ის ოდენობით

ამოქმედდება 2016 წლის 1 იანვრიდან

ამოქმედდება 2016 წლის 1 სექტემბრიდან

# იუვალ და სანდა უმჯობეს სტუმრობა გურიაში



გურიის ისრაელის საგანგებო და სრულფუნქციონირებელი ელჩი საქართველოში ბატონი იუვალ ფუქსი ქალბატონ სანდა ფუქსთან ერთად სტუმრობდნენ. ბატონი ელჩის ვიზიტის მიზანი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია SHALOM CLUB GURIA-ს წევრებთან შეხვედრა.

საზოგადოებრივი კავშირი SHALOM CLUB GURIA გურიაში დაფუძნდა 2003 წელს. კლუბის დამფუძნებელია ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს MASHAV-ის ცენტრის კურსდამთავრებული ბატონი ზაურ ოსეფაიშვილი. კლუბის წევრები ისრაელის სასწავლო ცენტრების კურსდამთავრებულები და საზოგადოების ღირსეული და ცნობილი პიროვნებები არიან, რომელთა კლუბში გაერთიანება განაპირობა ებრაელი და ქართველი ხალხის საუკუნეების წინ დაწყებულმა ურთიერთობებმა, ისინი საკუთარი დანაზოგებით და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ახორციელებენ პროექტებს, ეწევიან საქველმოქმედო საქმიანობას. კლუბში 100-მდე წევრია, მათ შორის 20 ისრაელის მოქალაქეა.

კლუბის მიზანია ისრაელში მიღებული გამოცდილებით ადგილობრივი თვითმმართველობის, სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანდაცვის, სპორტის, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. ერთ-ერთი მიმართულებაა სოციალური პროგრამა. კლუბი აქტიურად მუშაობს შშმ პირთა და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის პრობლემებზე. კლუბის ასოცირებული წევრია ტერიტორიულ ორგანოთა და მუნიციპალურ საწარმოთა ასოციაცია „ტოა“, მათ ერთად აქვთ განხორციელებული პროექტები. მათ შორის აღსანიშნავია თექისა და კერამიკის ხელოვნების სწავლების ორგანიზება ჩოხატაურის სახელოვნებო სკოლაში. აქვე ისრაელის საელჩოს დახმარებით მოეწყო ისრაელში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ბავშვთა ნახატების გამოფენა „სიცილი მშვიდობისათვის“, გამოფენა მთელ მსოფლიოში მოგზაურობს.

ებრაელი პროფესორების მიერ თვალის უფასო ოპერაციები გაუკეთდა 20-მდე ჩოხატაურის მოქალაქეს.

საბიბლიოთეკო გაერთიანებაში გამგეობის თანადაფინანსებით შეიქმნა შშმ პირთა მომსახურების ცენტრი. ისრაელის ელჩის ბატონი იუვალ ფუქსის დახმარებით ინვალიდთა ეტლები გადაეცათ შშმ პირებს.

შალომ კლუბის პროექტით ასოციაცია „ელკანა“-ს და პოლონეთის კრეატივობის ფონდის დახმარებით გურიიდან პოლონეთში იმყოფებოდა დელეგაცია სოფლის ტურიზმის გაცნობის მიზნით.

გურიის ტურიზმის ასოციაციასთან ერთად კლუბმა აქტიურად იმუშავა გურიის რეგიონის ევროპის რეგიონთა ასამბლეაში გასანერვინებლად. გერმანული ორგანიზაციის G.T.Z-სთან თანამშრომლობით გურიის დელეგაცია, მათ შორის კლუბის დამფუძნებელი ზაურ ოსეფაიშვილი გამგზავრა ფინეთში გე-

ნერალურ ასამბლეაზე, სადაც გურია გახდა ევროპის რეგიონთა ასამბლეის წევრი.

SHALOM CLUB GURIA-ს რეკომენდაციით სხვადასხვა დროს 12 ჩოხატაურელი იმყოფებოდა ისრაელში კვალიფიკაციის ასამაღლებლად 25 დღიან სწავლებაზე.

კლუბი რამდენჯერმე დაეხმარა შეჭირვებულ მოსახლეობას ტანსაცმლით, კვების პროდუქტებით. აქტიურად ეხმარება გრიგოლ ხანძთელის ეკლესიასთან არსებულ უფასო სასადილოს საკვები პროდუქტებით. კლუბი აწყობს საქველმოქმედო კონცერტებს შშმ პირთა დასახმარებლად.

SHALOM CLUB GURIA აქტიურად მუშაობს ტურიზმის განვითარების კუთხით. კლუბის მიერ შემუშავებულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტურისტული მარშრუტები, რომელსაც ებრაელი, გერმანელი პოლონელი სტუმრები სტუმრობდნენ.

კლუბის შესახებ ინფორმაციები გადაიცა ტელეკომპანია იმედით. სტატიები გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში ისრაელში ქალაქ აშდოდში. გამომავალ ჟურნალებში „ერა“, „აშდოდელები“. კლუბს სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ ისრაელის ელჩი ბატონი შაფთაი ცური, ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს MASHAV-ის განყოფილების დირექტორი ბატონი ევი ჰერმანი, ისრაელის ქალაქ მოდეინის ხალხური ცეკვის ანსამბლი „მენელოტი“

ბატონი იუვალ ფუქსი ჩოხატაურში შეხვდა მუნიციპალიტეტის გამგებელს ირაკლი კუჭავას, SHALOM CLUB GURIA-ს, გამგეობის და კლუბის წევრებს. შეხვედრაზე კლუბის წევრებმა ისაუბრეს განხორციელებულ პროექტებზე, მადლობა გადაუხადეს ისრაელის საელჩოს და პირადად ბატონ იუვალ ფუქსს მხარდაჭერისთვის და დახმარებისთვის, ისაუბრეს სამომავლო გეგმებზე. ბატონ ელჩს კლუბის დამფუძნებელმა სოციალური საწარმოს შექმნაში დახმარება თხოვა, სადაც პრიორიტეტი შშმ პირთა და მათი მშობლების დასაქმება იქნება. შეხვედრის ბოლოს ბატონ ელჩს საჩუქრად გადასცეს თექაში შესრულებული ისრაელის დროშა. მოინახულა შშმ პირთა მომსახურების ცენტრი, რომელიც ამჟამად გამგეობის დაფინანსებით ფუნქციონირებს, სადაც შშმ პირები სწავლობენ კომპიუტერულ პროგრამებს, სარგებლობენ უფასო ინტერნეტით, ცენტრი მათ უწევს უფასო იურიდიულ კონსულტაციას, ეხმარება დასაქმებაში, სწავლობს შშმ პირთა საყოფაცხოვრებო პირობებს და ეხმარება მათ სხვადასხვა პრობლემების გადაჭრაში. ბატონი ელჩი დაესწრო ქართულ ხალხურ ანსამბლ „ნართის“ კონცერტს, მოისმინა გურული და ებრაული ხალხური სიმღერები, რომლებმაც უდიდესი მოწონება დაიმსახურა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სტუმრებზე ჩოხატაურის სახელოვნებო სკოლაში სტუმრობამ. ისინი ეწვივნენ მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, დაათვალიერეს უნიკალური ექსპონატები. სპეციალურად კლუბის მიერ გამართულ ვახშამზე ბატონმა იუვალმა მონაწილეობა მიიღო გიგანტური გურული ღვეხელის დაჭრის ცერემონიაში.

ბატონმა ელჩმა უდიდესი კმაყოფილება გამოთქვა გურიაში სტუმრობით და აღნიშნა, რომ SHALOM CLUB GURIA მართლაც, იღწვის ქართულ-ებრაულ ურთიერთობების კიდევ უფრო განვითარებისათვის. ისრაელის საელჩო კვლავ მხარს დაუჭერს მათ ამ საქმიანობაში, ვფიქრობთ, ეს თანამშრომლობა ორივე მხარისათვის სასარგებლო იქნება, – ჩვენ განვიხილავთ კლუბის ინიციატივას სოციალური საწარმოს გახსნის შესახებ, ვეცდებით, შესაძლებლობების ფარგლებში დავეხმაროთ – აღნიშნა ისრაელის ელჩმა.

ქეთევან კუკულავა

# საკუთარ თავზე და საკუთარ ჯიბეებზე ზრუნვა – ვის პინსუნიკებს ხალხი?!



სოფელ ერკეთში სასამელი წყლის პრობლემა სამი წელია აქტიურად საკითხად რჩება. სოფელი, ფაქტობრივად, ხშირ შემთხვევაში უწყლოდ არის დარჩენილი. ამის მიზეზად ადგილობრივები გაფუჭებულ წყლის მილებს ასახელებენ, რომლის „შეკეთება“ თუ „გამოცვლა“ სამი წელია უშედეგოდ მიმდინარეობს.

ერკეთის მცხოვრებლების გამოკითხვა სოფლის ცენტრიდან დაიწყო. ენაკვიმატობით გამორჩეული გურულები რატომღაც პასიურნი გახდნენ მას შემდეგ, რაც გაიგეს ჩემი სტუმრობის მიზეზი.

პირველი, სოფლის ცენტრში შემხვდა სამარშუტო ტაქსის მძღოლი, რომელმაც ღიად დაიწყო წყლის პრობლემაზე საუბარი – მთელი სოფელი უწყლოდაა დარჩენილი. წყლის მილები გაფუჭებულია. შეკეთება კი ჯერ არ დაუწყიათ.

თუმცა, როცა დაინახა, რომ მისი საუბრის ჩანერა დაიწყო, მაშინვე „შეალამაზა“ აღიარებული სიმართლე და სახელიცა და გვარიც საგულდაგულოდ დამიმალა – გააკეთებენ. ამ დღეებში იწყებენ გაკეთებას. მე ვერაფერს გეტყვით. აი, მიგასწავლით გამგებლის სახლს. აქვე ცხოვრობს და მიდით, იმას ჰკითხეთ. ყველაფერს დეტალურად მოგიყვებათ. არ გამოაქვეყნოთ, რაც გითხარით, პრობლემები არ მინდა.

იმავე პასუხით გამომისტუმრა სამარშუტო ტაქსის ერთ-ერთმა ხანდაზმულმა მგზავრმა. უარი განაცხადა გამოკითხვაში მონაწილეობაზე. მიზეზად კი ის დაასახელა, რომ არასასურველი კომენტარის შემდეგ მას პრობლემა შეექმნებოდა.

სოფლის ცენტრიდან ცოტათი ზევით გადავინაცვლე. ყველა, ვინც გზაზე შემხვდა, უარი თქვა ინტერვიუზე. თუმცა მოვახერხე და ორი ადგილობრივი მცხოვრები ჩავწერე, იმ პირობით, რომ მათ სახელსა და გვარს არ გავასაჯაროებდი.

კ.პ: – აპირებენ წყლის პრობლემის მოგვარებას. უკვე მოიტანეს მილები და ერთ-ერთი ოჯახის ეზოში დააწყვეს. თუმცა სახელმწიფოს ხარჯებით არ კეთდება. ჩვენ ვაკეთებთ – ადგილობრივები. გამგებამ მართო მილები მოგვცა და ტრაქტორით დახმარებას დაგვპირდა. მე ამ წყლით არ ვსარგებლობ. თავიდანვე ტაძრის ეზოდან მქონდა ნაკურთხი წყალი გამოყვანილი მილით. თუმცა ვერ ვიყენებ აბაზანისთვის, რადგან დიდ სიმაღლეზე ვერ ადის.

ზ.დ: – ამ წყლის მილების გაკეთება სამი წელია მიმდინარეობს. სამი წელია „კეთდება“ და არ აკეთებენ. არ აწყობთ გაკეთებას. ის მილებიც, რომლებიც მოგვცეს, ძალით ნავართვით. ტრაქტორიც უნდა გამოუშვან, რომ დაიწყონ გაკეთება.

ველოდებით. დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ... აჭიანურებენ. მიზეზი მმართველ ორგანოებში უნდა ვეძებოთ.

ჩვენ უნდა ვიმუშაოთ და აღმოვფხვრათ ეს წყლის პრობლემა. თან უფულოდ. ჩვენივე ძალისხმევით. მხოლოდ მილები მოგვცეს და ტრაქტორს გამოუშვებენ. სხვა ვერაფერი ვერ გამოვტყუეთ. ფაქტობრივად, ენთუზიაზმით მოგვინვეს მუშაობა.

მე ძველი ამბების გამოძიებას არ დავინწყებ, რადგან აზრი არ აქვს, მაგრამ რამდენიმე დღეა ველოდებით ტრაქტორს. გუშინნინ გაფუჭდა, გუშინ გაფუჭდა, დღეს გაფუჭდა. ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება – არ აწყობთ.

როგორც ვიცი, კარგი ხარისხის მილების შერჩევა დაიწყო სოფლის რამდენიმე მცხოვრებმა. ადგილზევე, ქარხნებში და ათვალეერეს. შეარჩიეს. მოგვიანებით კი, როცა შეკვეთისთვის დარეკეს, უარი უთხრეს. ამ ყველაფერში კი მმართველი ორგანოების ხელი ურევია.

შემდგომში მილების გარანტიით მოტანა მოსთხოვეს, ამიტომ იძულებულები გახდნენ კარგი ხარისხის მოეტანათ.

არ აწყობთ პროექტის გაკეთებას, რომ მის ფარგლებში წყლის პრობლემა აღმოიფხვრას. არასდროს გაკეთებულა აქ პროექტი. არ აწყობთ, რადგან პროექტიდან უნდა მიიღონ სარგებელი (საკუთარ ჯიბეებისთვის ზრუნავენ), მაგრამ როცა პროექტი სარგებელს არ იძლევა, მაშინ არც აკეთებენ. ყველა ხელისუფლების დროს ასე იყო.

მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა, ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებში მაინც დარჩნენ წინა მთავრობის წარმომადგენლები (ერთი მაინც), რომლებმაც ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებს ასწავლეს ის, რასაც ისინი მთელი მათი მოღვაწეობის პერიოდში აკეთებდნენ. შესაბამისად, საკუთარ თავზე ზრუნავენ, საკუთარ ჯიბეზე. ხალხი არ აინტერესებთ.

გამოკითხვის შემდეგ სოფლის ერთ-ერთი მკვიდრი გამყვა წყლის ბასეინის დასათვალისწინებლად. ერთი შეხედვით ანტისანიტარია არ შეინიშნება, გამომდინარე იქიდან, რომ ბასეინში ნორმალურად წყლის დანახვა, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ამკარაა, რომ ხალხი დაშინებულია. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები თავიანთ მონოპოლიურ აზროვნებას ამკვიდრებენ საზოგადოებაში და შესაბამისად, შემოსავალიც გარანტირებული აქვს მათ ჯიბეებს.

ეკა კალანდაძე



# ჩოხაზაურში სასმელ წყალს ისევ არ ეწოდებიან

**– როგორ წყალს მოვიხმართ სასმელად?**

ამ კითხვით ჩოხატაურელებს მივმართეთ. ჩვენ დავინტერესდით მათი ინფორმირებულობით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუ რამდენად დაცულია ადგილობრივების ჯამრთელობა სასმელი წყლის უვნებლობიდან გამომდინარე და მიენოდათ თუ არა ინფორმაცია სასმელი წყლის ვარგისიანობის შესახებ.

**თავაძე ნელი** – გამორიცხულია წყალი სასმელად ვარგისი იყოს, იმდენად შეფერილი ჩანს ჭიქაში. არც არავის გაეფურთხილებივართ, სასმელად ნუ მოიხმართო. ამაზე დიდი დანაშაული ჩემი აზრით არ არსებობს, იმ კომპანიამ, რომელმაც აღნიშნული სამუშაო ჩაატარა, ხალხი უნდა გაეფურთხილებინა.

**ბედინიშვილი ანზორ** – ადამიანების ბედი არავის ადარდებს. გამოუშვეს წყალი და მორჩა. მე ვერაფერს დავამტკიცებ, მაგრამ ინერება ამაზე და ალბათ ასეცაა. ჯერჯერობით ვერ ვენდობით, სასმელად არ ვიყენებთ, ისევე ჭის წყლის მოხმარება გვიწევს, რომელსაც საკმაოდ შორი მანძილიდან ვეზიდებით. შეღავათი ის არის, რომ სარეცხი გასარეცხი წყალი მაინც გვაქვს ეზოში.

**საჯავია ნელი** – რა ვიცი აბა, ამბობენ სამუშაო ბოლომდე მიყვანილი არააო. ალბათ ყველაფერს რომ მორჩებიან, მერე მივიღებთ სუფთა წყალს.

**თავაძე ზინა** – არაფერი ვიციოდი, ჟურნალ-გაზეთებიდან გავიგე, რომ წყალი რალაც საფრთხის შემცველი იყო, თუმცა ამდენი ხნის მანძილზე მოვიხმარდით სასმელად და საჭმელის გასაკეთებლად. მას შემდეგ რაც გავიგე, რომ სასმელად უვარგისია, მისი მოხმარება შევწყვიტე, მხოლოდ სარეცხისთვის ვიყენებ, მაგრამ ვიცი, რას გამოიწვევს უვარგისი წყლის ამ ხნის მანძილზე მიღება ჩვენს ორგანიზმში.

**რატომ ეკიდებიან ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს ასე უგულისყუროდ, ალბათ ყველასთვის გაუგებარია. რატომ გაურბიან პირდაპირ პასუხებს კომპანიის წარმომადგენლები, რატომ არ აქვთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრესსამსახურს და ტელევიკურ პერსონალს ერთიანი და მართებული მოსაზრება. სასმელად უვარგისი წყლის მოხმარება ხომ პირდაპირ კავშირშია ადამიანების ჯამრთელობასთან.**

*ირინა რამიშვილი*

**მოზურბეთისკენ მიმავალ გზაზე არსებული 700 000 ლარის ღირებულების წყალმომარაგების სისტემა.**

**კომპანიამ დაქისრებული ვალდებულება ვერ შეასრულა.**



# სმენის დაზიანება – გლობალური მასშტაბის კოორდირებული

სმენადაქვეითებული ბავშვები ჰეპტებს მაგონებენ, პირველად ისინი სრული სიჩუმის გარეშე არიან გახვეულები, რომელიც თავად არ შეუქმნიათ, ხოლო შემდეგ, როცა ხმები და სიყვარულის რიტმები მათ არსებამდე აღწევენ, ისინი თავიანთ ინდივიდუალურ ფერებში იმოსებიან, რომელიც თბილი ან ხასხასაა.

შევა გრიფიტსი



**2006 წლიდან დღემდე 250 000-ზე მეტ ახალშობილს და პირველკლასელს აქვს სმენა სკრინინგულად გამოკვლეული, რაც აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრის და პროფესორ ზურაბ ქვეანიშვილის დამსახურებაა. ამ პროგრამამ ქალაქი ბათუმი მოიცვა. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეს პროექტი საქართველოს მასშტაბით განხორციელდეს.**

სმენის დაკარგვა შესაძლოა იყოს თანდაყოლილი ან განვითარდეს მუცლადყოფნის პერიოდში დედის მიერ გადატანილი ნიოთურას, მშობიარობის დროს გართულებების, ზოგიერთი ინფექციური დაავადების (როგორცაა მენინგიტი), ყურის ქრონიკული ინფექციების, ოტოტოქსიკური მედიკამენტების, გადამეტებული ხმაურის და სიბერის გამო.

სმენადაკარგული ადამიანებისთვის შესაძლოა სასარგებლო იყოს ისეთი მონყობილობები, როგორცაა სასმენი აპარატი, და კოსლერული იმპლანტები და სხვა დამხმარე საშუალებები. ასევე, სუბტიტრები, ჟესტური ენა, სოციალური მხარდაჭერა და მხარდაჭერა სწავლის პროცესში.

სმენის დაკარგვა აისახება ადამიანის საკომუნიკაციო უნარებზე, ურთიერთობის შესაძლებლობის აღკვეთა მის ყოველდღიურ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას. ინვესტ მარტობის, იზოლაციისა და უიმედობის განცდას, განსაკუთრებით ასაკოვან ადამიანებში.

თანამედროვე კოსლერულ იმპლანტს ყრუ ადამიანისთვის მოაქვს სმენა. იმპლანტმა განსაკუთრებული ეფექტი მოიტანა ბავშვებისთვის. ადრეული ჩარევა გადამწყვეტად მნიშვნელოვანია. ორმხივი იმპლანტი სასარგებლოა არა მარტო სმენის გასამდიდრებლად, არამედ მეტყველების ლოკალიზაციისთვის ხმაურიან გარემოში. ასევე, შედეგანია იმპლანტისა და სასმენი აპარატის სინერჯიზმი. მეცნიერებამ ყრუ ადამიანებში ბგერის სამეფოსთან იზოლირების ბარიერები დაამსხვრია. საქართველოში მედიცინის ეს დარგი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

სმენის დაზიანების მქონე ბავშვთა მშობლების ორგანიზაცია ფონდ აურესმა საქართველოს მასშტაბით არსებულ სკოლებში ჩაატარა კვლევა, ერთ-ერთი დიდი მაჩვენებელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი იყო, იქ სასკოლო ასაკის 11 სმენადაზიანებული ბავშვი გამოვლინდა. რა აერთიანებს ორგანიზაციის წევრებს, რომლებმაც რთული გზა გაიარეს, თუმცა ბავშვების გადასარჩენად დღემდე დაუღალავად იღვწიან. ეკა თორთლაძე ამ პერიპეტივებზე მოგვიყვება.

– ფონდ აურესში ყველა იმ ბავშვების მშობლები ვართ, რომლებსაც სმენის პრობლემა აქვთ. ჩემი ქალიშვილი, თათია დათაშვილი უკვე 19 წლის არის. როცა გავიგე, კომპეტენტური ინფორმაცია არ მქონდა, არ ვიცოდი, როგორ უნდა მემოქმედა, თითქოს სასწაულს ველოდებოდი, თუმცა ვგრძნობდი, დროს როგორ ვკაგავდი. სმენის პრობლემის მქონე ბავშვებში რეაბილიტაციის პროცესი საქართველოში ყოველთვის რთული იყო, სამწუხაროდ, დღემდე ასე გრძელდება. მშობელი არ უნდა ვეძებდე გამოსავალს, პირიქით მათ უნდა მიპოვონ, მოვიდნენ და მითხრან, შენ არ ხარ მარტო, ასეთი ბევრი მშობელია. კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგა, რომ შედეგს მიაღწიო. ამ პროცესში მნიშვნელოვანია სახელმწიფოს თანადგომა, განვითარებულ ქვეყნებში პრობლემის დაძლევა მაღალ დონეზე მიმდინარეობს, ასევეა რუსეთშიც, იქ რეაბილიტაციის საკმაოდ ძლიერი სკოლაა. XXI საუკუნეში დიდი რესურსი არსებობს, რომ სმენის პრობლემის მქონე ადამიანის უფლებები დაცული იყოს, მისი სმენა და მეტყველება განვითარდეს და ჩვეულებრივ ადამიანად იქცეს.

### – რატომ არის რთული მათი ოცნებების რეალიზება?

– ის სტიგმა, რომ სმენის პრობლემა აქვს და ვერ განვითარდება, უნდა გადაილახოს. ასეთი ბავშვი არ შეიძლება საზოგადოებიდან იზოლირებული იყვნენ. მას ხომ მარტო ერთი ორგანო აქვს დაზიანებული, თუმცა სრულფასოვანი განათლების მიღების, დასაქმების საშუალება არა აქვს. მას შეუქმნეს ეს ბარიერი და ეუბნებიან, – ამის იქით არ ნახვიდე. ამ ბავშვმა თავისი თანატოლის მსგავსად უნდა დაგვეგმოს მომავალი. ხოლო სახელმწიფომ აქედან ქმედითი მოქალაქე მიიღოს, რომელიც დასაქმდება, გადაიხდის გადასახადს და სამონყალო პენსიაზე არ იქნება დამოკიდებული.

### – ეკა, თათიამ მიიღო კოსლერული იმპლანტი?

– დიახ, აქ იყო გაუარესებული სმენა, თუმცა, მას ჰქონდა სმენითი გამოცდილება, მთელი ცხოვრების მანძილზე სასმენ აპარატებს ატარებდა. ამიტომ გადამწყვეტილება მივიღეთ, რაც ჩვენთვის და თათიასთვის დიდი საჩუქარია იყო. ახლა ადაპტაციის პერიოდს გავდივართ. ამ პროცესს ისიც ამარტივებს, რომ ჩემი ქალიშვილი უკვე 19 წლის არის და ცნობიერად ეკიდება, ვიდრე პატარები.

### – რა დრო სჭირდება ბავშვს რეაბილიტაციისთვის?

– სწორ შემთხვევაში, როცა პრობლემა გამოვლინდება, მასთან მუშაობა დაბადებისთანავე იწყება, ინტენსიური პერიოდი არის 3-5 წლები. განვითარებულ ქვეყნებში, თუ ბავშვს მარტო სმენის პრობლემა აქვს, თითქმის 100%-იან





შედეგს აღწევენ.

**– რა ვითარებაა საქართველოში, ამ ბავშვების მიმართ სახელმწიფო იჩენს ყურადღებას?**

– ჩვენ ქვეყანაში უცნაური მოდელი დაინერგა, ასეთი ბავშვები ჩვეულებრივ სკოლებში გაუშვეს, თუმცა ინკლუზიის თვალსაზრისით სათანადო სერვისს ვერ სთავაზობენ. სკოლებში მათ არა აქვთ გარემოს ადაპტაცია. სამწუხაროდ, ქართველებს ადაპტაციის პროცესი პრიმიტიულად გვესმის, თითქოს სადღაც მარტო პანდუსი უნდა იყოს. სახელმწიფომ კარგად არ იცის, კონკრეტული პრობლემა, როგორ უნდა გადაწყვიტოს. ბუნებრივია, ისინი მოიმიზეზებენ, რომ საკმაოდ დიდი დაფინანსებაა საჭირო.

**– რატომ არ შეიძლება უცხოური გრანტი მოიპოვონ და სოლიდური თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ დაფინანსდეს?**

– რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით უნდა იმუშაონ. სწორედ აქ ჩადებული თანხა, სამომავლოდ საშუალებას მისცემს, ეს ბავშვები სრულწლოვანების შემდეგ სრულფასოვანი მოქალაქეები გახდნენ. ისინი საღალატო ადამიანები არიან, უბრალოდ, მათ არ ესმით.

**– ეკა, რა გაერთიანებთ ფონდ აურეს მშობლებს?**

– ზოგადად ჩვენი შვილების პრობლემა გვაერთიანებს. კიდევ ბევრი ბარიერის გადალახვა მოგვინევს. მშობლების ნაწილი არაინფორმირებულობის გამო, რწმენადაკარგულები არიან. ჩვენ უნდა დაგვარწმუნოთ, რომ არსებობს რესურსი, ამიტომ მიზანი უნდა დაისახონ და სასურველი შედეგი გარდაუვალი იქნება. განსაკუთრებულს არაფერს ვითხოვთ, ჩემი შვილი 19 წლის ასაკში გაცილებით მეტს მიაღწევდა, ის ქართულ გარემოში რომ არ იყოს. ეს ბავშვები ბედის ანაბარა არიან მიტოვებული. სახელმწიფოს გრძელვადიანი სტრატეგია კონცეპტუალურად უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული. მხოლოდ 1200 სასმენი აპარატის მიღება საკმარისი არ არის. ბავშვებს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული აპარატი უნდა მისცენ. ჩვენი ჯანდაცვის პროგრამის მიხედვით აპარატს ერთ ყურზე უკეთებენ, რაც ნიშნავს, რომ ტვინის ნახევარი სფერო ვითარდება და არა მთლიანად, მეორე ნაწილი აუცილებლად იჩაგრება. ოპერაციის დანიშვნაზე მუდმივი რიგია, პროგრამა 6 წლამდე ბავშვის დაფინანსებას ითვალისწინებს, ერთი წლიდან ოპერაციის ჩატარება იდეალური ასაკია, მაგრამ მომლოდინეთა რიგში ის ყოველთვის უკან რჩება, რადგან 6 წლის ასაკის არის დასაკმაყოფილებელი, რომ პროგრამიდან არ ამოვარდეს.

**– რას ითვალისწინებს რეაბილიტაციის პროცესი?**

– ეს არის გუნდური მუშაობა, მშობელიც ამ პროცესის თანამონაწილეა. სპეციალისტი აძლევს მიმართულებას,

შემდეგ ვიზიტამდე, მან იცის, როგორ უნდა მოიქცეს. ბავშვის მთელი ღვიძილის პერიოდი რეაბილიტაციაა. მშობელი სმენის და მეტყველების განვითარებაზე ბუნებრივად მუშაობს. ჩართულია საუბარი, მუსიკა, ბავშვს ასწავლი სმენას, როგორც კი ეს უნარი ხდება, შემდეგ მის განვითარებას იწყებ. ბავშვი მუდმივად კომუნიკაციაში უნდა იყოს, შემოვიდეს დიალოგში, გარდა ამისა ჩართულია ფსიქოლოგი, სხვადასხვა თერაპევტი. ყოველივე ამას კომპლექსური რეაბილიტაცია ეწოდება.

**– ფონდმა საქართველოს რეგიონების სკოლებში ჩაატარა კვლევა. რა მდგომარეობაა იქ?**

– რეგიონებში ყველა მიმართულებით რთული ვითარებაა. სასკოლო ასაკის ბავშვების მონაცემების შეგროვება მოვახერხეთ. გაჩნდა ბაზა, საქართველოს მასშტაბით სკოლებში 340-მდე სმენადაზიანებული გამოვლინდა. შემდეგ ეტაპზე თითოეულის მდგომარეობა და საჭიროება ადგილზე უნდა ვნახოთ, თუ როგორ გარემოში იმყოფებიან. თუნდაც ოზურგეთში რატომ არის 11 სმენადაზიანებული ბავშვი, რა არის ამის გამომწვევი მიზეზი. ქვეყანაში არ გვაქვს სრულყოფილი სტატისტიკა, ასევე არ ვიცით, რამდენი გვყავს სკოლამდელი ასაკის ბავშვი.

**– არსებობს თუ არა სხვა ორგანიზაცია, რომელიც მათ უფლებებს იცავს?**

– ეგრეთ წოდებული ყრუთა კავშირი საბჭოთა კავშირის დროს არსებულის მემკვიდრე, თუმცა ჩვენი პრიორიტეტი მკვეთრად გამოკვეთილია, ფონდი აურეს სმენის და მეტყველების განვითარებაზე ორიენტირებული. ეს არ არის ახირება, უამრავი კვლევა არსებობს, რომ ეს ბავშვები რეალიზებულ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ. XXI საუკუნეში სამედიცინო ტექნოლოგიები ისე სწრაფად ვითარდება, ნამდვილად არსებობს რესურსი, ისინი სმენის დაზიანების გამო არ დაიჩაგრონ. საქართველოში ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვების მდგომარეობის შესაცვლელად დიდი ძალისხმევაა საჭირო.

**ლელა სურმაჯა**

**ჩვენ გვჯერა, რომ ნებისმიერ ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვს უნდა ჰქონდეს სმენისა და მეტყველების განვითარების, ასევე საზოგადოებაში ჩართვის შესაძლებლობა თავისი სმენიანი თანატოლებით.**



# კურორტ ბახმაროში ბევრი სიასლეა



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა EBRD-ის ფორუმზე განაცხადა, – რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად მზადდება სამი მილიარდი ოდენობის მნიშვნელოვანი საინვესტიციო პორტფელი მომავალი წლების ინვესტიციებისთვის. ამ მიმართულებით ვითანამშრომლებთ იტალიურ კომპანიებთან, რადგან იტალიას აქვს მთიანი რეგიონების დაგეგმარების კარგი გამოცდილება. ვიდრე ხელისუფლება მთიანი რეგიონების დაგეგმარების უცხოურ გამოცდილებას გაიზიარებს და 3 მილიარდიან პორტფელს აამოქმედებს. ჩვენ იმ ადგილების პრობლემებს გავეცნობით, სადაც ზამთარში გაუსაძლისი პირობებია, ზაფხულში კი ბუნება სავალალო მდგომარეობაშია.

მოგზაურობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტიდან კურორტ ბახმაროს მიმართულებით დაინყო. სამარშუტო ტაქსის მძღოლის გულახდილობა თავიდანვე თვალშისაცემი იყო.

– თქვენ ფიქრობთ, სახელსა და გვარს არ გეტყვით?

– რატომ უნდა ვიფიქრო?

– არ ვიცი, მე ჯერმალ ირემადე ვარ.

– როცა ჩვენ საუბარს ჟურნალში ნაიკითხავენ, შეიძლება პასუხიც მომთხოვონ, თუმცა მზად ვარ. არ მსურს, ჩემი სოფლის მიმართ გულგრილი ვიყო, ამიტომ თავისუფლად ვისაუბრებ.

– სად მიდიხართ?

– ბახმაროში.

– მართალია, მომავალი წლიდან ბახმარო ზამთრის კურორტი იქნება?

– მართალია.

– ძალიან კარგი, ამ სოფლებისთვისაც შელავათია.

– უკვე ნაბელლავი-ქვაბლის სოფლებს მივუახლოვდით.

– ამ მონაკვეთს სათევზეს ტერიტორიას, ალიონს ეძახიან.

– აქ არ ჩანს „ალიონი“?

– ალიონი ხეებში იმალება.

– ეს ხეები ძალიან მუქად არის შეფერილი.

– დიას, ნიგვზის ხეებს მაგლი დაესია, თხემლები გახმა. სად არის ამ დროს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო?

– შევატყობინოთ, ჩვენი მოვალეობაც ეს არის.

– შეხედეთ, რა მდგომარეობაშია ახალგაზრდა ხე, აქაურობას პატრონი არ ჰყავს. ბახმაროში პიკაპის მანქანებით რომ დადიან, ვინმემ ხე არ მოჭრასო, აქ ჩამოვიდნენ და ნახონ რა ხდება, ხეები სულ გაშავებულია.

– ადგილობრივი ხელისუფლება არ იჩენს ყურადღებას?

– ზამთარში 4 მეტრ თოვლს ასუფთავებენ, მარტო ამოსვლას რა აზრი აქვს. მთის რეგიონის მცხოვრებლებს განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროებათ.

– საუბრის დასაწყისში აღნიშნე, შეიძლება რაიმე ფორმით მეც შემეხონ. როგორ?

– შეიძლება შეშის მოჭრის უფლება არ მომცენ, მაგრამ სხვა გზაც ვიცი. თქვენ აქ ზამთარში უნდა მოხვიდეთ, ადგილობრივები ისეთ პრობლემებზე გესაუბრებიან, გაკვირვებული დარჩები.

ჩვენ საუბარში ახალგაზრდა აჭარელი მგზავრი ჩაერთო.

– ჯერმალ იმდენს ნუ ისაუბრებ, ამ სამარშუტო ტაქსიდან ჩამოგვან.

– ეს კერძო მფლობელობაშია, ამ ხაზს ვერავინ გამოიქმებს. თუ ყველა გავჩუმდით, ჩვენი სოფლები ვინ უნდა დაიცვას?!

მძლოლი უფრო გაგულისდა და ახლა სოციალურად დაუცველებზე დაინყო საუბარი, იკითხეთ, სოფელ ჩხაკოურაში რამდენ ადამიანს დაუნიშნეს სოციალური დახმარება. ვინც თურქეთში წავიდა სამუშაოდ, ყველას





მოუხსნეს. ზოტში ბევრად უკეთესი მდგომარეობაა.

– ჯემალ, შევთანხმდით, ამ სოფლებზე ჩვენ ვრცელ რეპორტაჟს მოვამზადებთ, რაც მთავარია, დავეხმარებით, მომავალი წლიდან ზამთრის კურორტი ამ ადგილების სამსახურშიც ჩადგება.

– ძალიან კარგი. დამიკავშირდით, ადგილობრივების პრობლემებს გაგაცნობთ.

მგზავრები ბახმაროში მივედით. ფერისცვალების სახელობის ეკლესიასთან კურორტის დირექტორს, დავით საჯაიას გავესაუბრე.

– რა საიხლებია კურორტზე?

– კურორტს ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნის მიზნით, ევროსტანდარტის ბუნკერები და დასუფთავების ახალი მანქანა მოემსახურება. სულ მალე მრავალფუნქციური ბუღდოზერი ეყოლება, რომელიც ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მონესრიგებაზე იმუშავებს, შესაბამისად, ყველა პრობლემა მოგვარდება. ბახმაროში დამსვენებელთა უსაფრთხოების მიზნით, მეველეები ყველა უბანში ზედამხედველობას განახორციელებენ და ადგილობრივებს ცხოველების მავნე ზემოქმედებისგან დაიცავენ. ჩოხატაურის საკრებულოში ამოქმედდა ლეგალიზაციის კომისია, 2007 წლამდე აშენებული შენობა-ნაგებობების მესაკუთრეთა მიწების დაკანონება მოხდება და პრივატიზაციის საკითხიც გადაწყდება. კურორტს უახლოეს მომავალში 16 ტონიანი წყლის ავზი ექნება, რაც ცალკეულ უბნებში – ინგოროყვას, ვაკიჯვრის და დავითიანის ქუჩებზე წყალმომარაგება გაუმჯობესდება. მიმდინარეობს შიდა გზების მონესრიგება. მომავალ წელს იგეგმება აბონენტების გამრიცხველიანება, სამუშაოები დაწყებულია. ტაძრის მიმდებარე და საბავშვო პარკებში მაღალი სიჩქარის უფასო ინტერნეტი ვაიფაი დამონტაჟდა, დამსვენებლები ამ სერვისით უკვე სარგებლობენ. ბავშვებისთვის საიხლებია, დავამონტაჟეთ ახალი საბავშვო ატრაქციონები. კურორტს კლინიკა მამქოლის მაღალკვალიფიციური მედპერსონალი ემ-

სახურება. 19 აგვისტოს ფერისცვალების დღესასწაულზე ტრადიციული დოლი გაიმართება, დამსვენებლებს და მონვეულ სტუმრებს ბევრი საიხლე ელოდებათ.

ჟურნალმა გურია REGION-მა მკითხველებს პირველმა გააცნო პრეზიდენტის №660 2007 წლის 24 ნოემბრის ბრძანებულება პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილის ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე. წესის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ ობიექტებისა და მათი ნაწილების მიმართ, რომელთა მშენებლობა ბრძანებულების ძალაში შესვლის დროისათვის დასრულებულია. ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის საექსპლუატაციოდ ვარგისად აღიარებას და მის ექსპლუატაციაში მიღებას.

ამ ინფორმაციის ნაკითხვის შემდეგ ბახმაროში არსებული სახლების მფლობელებმა ჩოხატაურის საკრებულოსთან არსებულ ლეგალიზაციის კომისიას და მის თავმჯდომარეს მალხაზ ჩხიკვაძეს უკვე მიმართეს, ისინი საკუთრების მართლზომიერი მფლობელები გახდებიან.

მთავარი დოკუმენტის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მომზადების შემდეგ, რომელიც ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ დაუკვეთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 60 ათასი ლარის ღირებულების გეგმა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს საჩუქრად მოუმზადა, შემდეგ ადგილობრივ თვითმმართველობას რეგულირების გეგმის ინიციატივა უნდა გამოეჩინა, თუმცა მუნიციპალიტეტის საკრებულო დღემდე პასიურობს.

ჩვენი საუბრის დასასრულს ისევ იმ ადგილთან მივედით, სადაც ბახმაროს პროექტი მალე განხორციელდება და მომავალი წლიდან ზამთრის კურორტი გახდება.

ლელა სურმავა



# ურეკი იხნოგს ბევრ სანაულ, თუმცა აგსოლუბურად მართალ ისტორიას

მაგნიტური სილა ბევრ ქვეყანაშია – არგენტინაში, ბულგარეთში, სლოვენიაში, რუსეთში, უკრაინაში, იაპონიაში და სხვა, მაგრამ მაგნეტიტის შემცველობა მხოლოდ ურეკში აღწევს 70%-ს, რაც ერთიორად მაღალია, ვიდრე სხვა ადგილებში. გეოლოგიური გარემოებების უნიკალური თანხვედრის შედეგად, ურეკის პლაჟი მსოფლიოში შავი მაგნიტური სილის ერთადერთი სანაპიროა. ურუნალი გურია REGION-ი ურეკის აღმოჩენის ბედნიერი შემთხვევით და მისი სამკურნალო ფაქტორების კვლევებით დავინტერესდით. ყველაზე მაღალ მაგნიტურ ველში, იქ სადაც სანატორიუმი მეგობრობა მდებარეობს, შუქრი თავართქილაძეს შევხვდით. ჩვენი გაცნობის ინიციატორი ქალბატონი ცისანა კაკალა-მეგრელიშვილი იყო. ბატონმა შუქრემ არქიტექტორ გივი თოთიბაძის მომზადებული მომავალი კურორტის მაკეტი მაჩვენა. ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შედეგად გენერალური გეგმა და მშენებლობის დეტალური დაგეგმარება ფურცლებზე დარჩა, ურეკში წლების მანძილზე ქაოტური ვითარება შეიქმნა.

### – რა პროფესიის ბრძანდებით?

– ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის წოდება მაქვს. ურეკის სამკურნალო ფაქტორების გამოკვლევებისა და პრაქტიკაში დანერგვის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე ვარ. 15 კაციან საბჭოში მედიცინის სხვადასხვა დარგის პროფესორებია გაერთიანებული. ნევროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ალექსანდრე ცისკარიძე, ინგლისურენოვანი სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი და დამფუძნებელი, ლევან ტვილიდიანი, უროლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი გურამ ქარაზანაშვილი, სამედიცინო უნივერსიტეტის კლიმატოლოგიის კათედრის გამგე, ელიზბარ ელიზბარაშვილი და სხვები.

### – ურეკის კლიმატურ ფაქტორებს 35 წელი იკვლევთ, საკმაოდ დიდი დროა. რას საქმიანობთ ახლა?

– კურორტ ურეკის სამკურნალო ფაქტორების შესწავლა მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიის მეცნიერ თანამშრომელთა მიერ პროფესორ გ. უშვერიძის თაოსნობით პანსიონატ მეგობრობის ბაზაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა კურორტის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი სამეცნიერო ფაქტორების პირველი მკვლევარი ნიკა ქარცივაძე. გამოცემული გვაქვს სამეცნიერო ნაშრომი, ასევე წიგნი და არაერთი სტატია საქართვე-

ლოში და მის ფარგლებს გარეთ. სხვადასხვა საერთაშორისო სამედიცინო კონფერენციებზე მოხსენებებით გამოსვლამ დიდი აღიარება ჰპოვა და ურეკის ცნობადობა იმ მიჯნაზე მივიდა, რომ საერთაშორისო მასშტაბით მსოფლიოში საუკეთესოდ მოიხსენიება. 2012 წლის 17 მაისს ქალაქ ნოვოსიბირსკში ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, შავი მაგნიტური სილის სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნებით გამოყენებას დადებითად გამოეხმაურნენ.

### – როგორ წარმოიშვა შავი სილა?

– ბუნების საოცრება გეოლოგიური გარემოებების უნიკალური თანხვედრის შედეგია. მაგნიტური სილა ზღვაში საუკუნეების განმავლობაში ჩამოჰქონდა მთებიდან ორ პატარა მდინარეს – კუჩხის აბანოს და სეპას, რომლებიც ურეკზე გაედინება. არცთუ იშვიათი შტორმების დროს ზღვა სილას უკან, სანაპიროზე გამორიყავდა, ხოლო ორი დიდი მდინარე ურეკის საზღვრებზე – სუფსა და ნატანები – მას სანაპიროზე უფრო შორ მანძილზე გაერცვლებს საშუალებას არ აძლევდა. ამიტომ ინტენსიური შავი სილის პლაჟის ზოლი სულ ორიოდე კილომეტრზე გრძელდებოდა, რომელსაც უკანასკნელ სანტიმეტრამდე იკავებდნენ განკურნების მსურველი მოაგარაკენი.

### – როგორ აღმოჩნდა ურეკი?

– ურეკი ნიშნავს ადგილს, სადაც ნახირის გარეკვა არ შეიძლება, გაუვალ ბარდნარს. მართლაც, გასული საუკუნის 40-იან წლებამდე აქ არაფერი იყო. ურეკში დღემდე შემორჩა პირველი სახლი, რომელიც 1944 წელს შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სამხედრო ტყვეების ბარაკების წინ იდგა (სანაპიროს ქუჩის რაიონში). გარშემო მხოლოდ ეკალბარდები და მაგნიტური სილის მაღალი დიუნები იყო.

1944 წელს საქართველოს გეოლოგებმა უმაღლესი დავალება მიიღეს – ქართული მეტალურგიისათვის სარესურსო ბაზა უნდა ეპოვათ. დიდხანს არ უძებნიათ, მაღლეე მიაგნეს მაგნეტიტის მაღალი შემცველობის სილა, მზა ნედლეული მეტალურგიისთვის. მადნის „მოსაპოვებლად“ და ტვირთის გასაგზავნად სამხედრო ტყვეების ბანაკი მოაწყვეს, ტყვეები მაგნიტურ სილას ნიჩბებით ყრიდნენ სატვირთო ვაგონებში, რომლებიც რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში იგზავნებოდა. ბევრისთვის ცნობილია ფონ ბრაუნის – გერმანიის სარაკეტო იარაღის ფუძემდებლის, რაკეტა „ფაუ“-ს გამომგონებლის შესახებ, რომელიც დიდ ბრიტანეთს ემუქრებოდა. იგი 1945 წელს ამერიკის საოკუპაციო ზონაში აღმოჩნდა, რის შემდეგაც უდიდესი წვლილი შეიტანა ამერიკის სა-



შუქრი თავართქილაძე



რაკეტო ტექნოლოგიების განვითარებაში. მის მოადგილეს – ერის ფონ ანდერეს, ნაკლებად გაუმართლა და ბერლინში საბჭოთა საოკუპაციო ზონაში მოხვდა. სამაგიეროდ მოახერხა თავისი სახელისა და რანგის დამალვა, თავი რიგითად გაასალა და შემთხვევით საქართველოში, ურეკის სამხედრო ტყვეთა ბანაკში გამოგზავნეს. ერისს გულ-სისხლძარღვთა სერიოზული დაავადება და მძიმე ართრიტი სტანჯავდა. მან შეამჩნია, რომ დაავადებული ძროხები ცდილობდნენ სანაპიროზე მოსულიყვნენ და მაგნიტურ სილებში ჩანოლილიყვნენ. იგი გონიერი და განათლებული ადამიანი იყო, ცხოველებს მიჰბაძა, თავადაც წვებოდა სილაში და გარკვეული დროის შემდეგ შეამჩნია, რომ ტკივილები თანდათან მოეხსნა.

**– როგორ მოიქცა გერმანელი არისტოკრატი?**

– ანდერე მსუბუქი რეჟიმის ბანაკში იმყოფებოდა, რაც ნიშნავს, რომ სამხედრო ტყვეებს იქ მცხოვრებლებთან ურთიერთობა შეეძლოთ. ისინი ხელნაკეთ ნივთებს ადგილობრივ ბიჭებს პურზე და სხვა საჭმელზე უცვლიდნენ. ფონ ანდერე წერილს ბიჭებს აძლევს, რომლებიც მას ბათუმი-მოსკოვის მატარებლის გამცილებელს გადასცემენ და წერილი (უკვე არავინ იცის, როგორ) იოსებ სტალინთან ხვდება. დღეს ხომ წარმოუდგენელია ამგვარი ისტორია. ერთი თვის შემდეგ ურეკში ქალაქ მოსკოვის კურორტოლოგიის ინსტიტუტიდან 12 კაციანი კომისია ჩამოდის. მათ შორის იყო აკადემიკოსი ნეო უმივაკინი. მაგნიტური სილა მოსკოვში ჩაიტანეს და გასინჯეს, აღმოჩნდა, რომ სამედიცინო გამოყენების მქონე იყო. სტალინის გარდაცვალების შემდეგ საქართველოსთან მიმართებაში ყველა ეკონომიკური პროექტი გადაიხედა. ნიკიტა ხრუშოვმა ჩათვალა, რომ პროტექციონისტული იყო, ამიტომ დააკონსერვეს.

**– რა ეწერა წერილში?**

– ერის ფონ ანდერე საბჭოთა კავშირის მეთაურს სწერდა: საბჭოთა კავშირის მიერ მაგნიტური სილის მეტალურგიული კომბინატისთვის ნედლეულის სახით გამოყენება იგივეა, ბარაკები ოქროს უნიტაზებით რომ აღჭურვოთო, უნიკალური სილა შავიზღვისპირეთის კლიმატურ პირობებთან ერთად საშუალებას აძლევს, ურეკში განსაკუთრებული კურორტი შეიქმნას, რომლის მსგავსი მსოფლიოში არ იარსებებსო. 1949 წელს გამოვიდა მთავრობის დადგენილება, მიიღეს გადაწყვეტილება, ფოთიდან ქობულეთამდე საკურორტო ზონის განვითარების თაობაზე. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა თავიანთი საქმიანობა შეცვალეს და ბიჭვინთური (რელიქტური) ფიჭვების დარგვა დაიწყეს – შავიზღვისპირეთში მხოლოდ ეს სახეობა იზრდებოდა და ზღვის მარილიან

ანაორთქლს უძლებს.

დარგული ფიჭვები 13 წელი იზრდებოდნენ, ურეკზე საერთოდ აღარ იყო საუბარი. როცა კოსმონავტები კოსმოსში გაფრინდნენ, მათ უწონადობის პირობებში გლუვი მუსკულატურის მქონე ორგანოების ატროფია ემართებოდათ, სტიმულატორებით მკურნალობენ, თუმცა ეს მეთოდი სხვა ორგანოებს აზიანებდა. ამიტომ ცდილობდნენ, ბუნებრივი პირობებით სტიმულაცია მოეხდინათ, შეიქმნა კოსმოსური მედიცინის ინსტიტუტი, ნეო უმივაკინი უკვე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი იყო, ის კოსმოსურ ინსტიტუტში გადაიყვანეს. სწორედ მან ურჩია ურეკი.

70-იან წლებში ურეკში კოსმოსური სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნა გადაწყდა. დამუშავდა სპეციალური სამსართულიანი ფუნდამენტის მქონე 20-სართულიანი შენობის პროექტი. ფუნდამენტი ცნობილმა გერმანულმა ფირმამ ააშენა, სახელმწიფოს მისი აგება 60 მილიონი დოლარი დაუჯდა, სამწუხაროდ, საქმე ამით დამთავრდა... თუმცა კოსმოსური რეაბილიტაციის ცენტრის პროექტის პარალელურად დაიწყო თავად კურორტ ურეკის განვითარებაც. აშენდა დიდი სანატორიუმები – კოლხეთი, მთის ბროლი, მეგობრობა და სხვა. 1972 წელს საკავშირო ბანაკის – არტეკის გადმოტანისა და დიდი ბავშვთა გამაჯანსაღებელი დაწესებულების შექმნის გადაწყვეტილება მიიღეს. თუმცა ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეს ინიციატივა არ დაუშვა.

**– როგორ განვითარდა მოვლენები?**

– ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ბნელი ხანა დაიწყო. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ შეწყდა დიდი სანატორიუმების დაფინანსება, ურეკში აღარ ჩადიოდნენ პაციენტები და ტურისტები რუსეთიდან, დაიწყო „ველური“ პრივატიზაცია. საბჭოთა ინფრასტრუქტურა დაინგრა მთელ ურეკთან ერთად და მხოლოდ ცოტა ხნის წინათ დაიწყო დაბაში არაორგანიზებული მშენებლობები, სოკოებივით მომრავლდა პატარა კერძო სასტუმროები. 20-სართულიანი კოსმოსური ცენტრის ნაცვლად სამსართულიანი ფუნდამენტზე მცირე ზომის კერძო სამსართულიანი სასტუმრო აღმოცენდა.

**– ყურნალის მკითხველებს დავპირდით, ურეკის შესახებ პრაგმატულად მოვუყვებით. კურორტზე გაუმართავია ინფრასტრუქტურა. რა ქმედით ნაბიჯებს დგამს სახელმწიფო?**

– ურეკში ყოველგვარი დაგეგმარების გარეშე დაიწყო განაშენიანება. დღემდე არავითარი ინფრასტრუქტურა არ არის – ეკალი, ტალახი, გველი, ბაყაყი, სანოლი და ზღვა. ბოლო სამი წელი სანაპიროს განსაკუთრებით ასუფთავებენ. თქვენი მეშვეობით, მსურს, მადლობა გუთხრა ბატონ ბიძინა ივანიშვილს. მისი დაფინანსებით ყოველ 700 მეტრში 4-5 საშხაპეები და ტუალეტები დაიდგა, თავისი მომსახურე პერსონალით. ასევე უფასო სანაგვე ურნები. რომ არა მისი დახმარება, ურეკს ფეკალიები წალეკავდა. შეკვეთილი-ურეკის ახალი გენერალური განაშენიანების გეგმა 3 ეტაპად იყოფა. პირველი – ზოგადი დაგეგმარების მოსამზადებელი ეტაპი დასრულებულია. მეორე ეტაპი – ივნისის, ივლისის და აგვისტოს თვეში დეტალურ დაგეგ-

მარებაზე ანუ რეგულირების გეგმის სამუშაოებს არქიტექტურული კომპანია არს სტუდია ასრულებს. აგვისტოს ბოლოს მოხსენებას როგორც ოზურგეთის საკრებულო, ასევე ეკონომიკის სამინისტრო გაეცნობა. მესამე ეტაპი არის ორთვიანი შემაჯამებელი მოხსენება. ოქტომბერში ეკონომიკის სამინისტროს კოლეგიაზე გავა, ჯერ ეკონომიკის მინისტრი, შემდეგ პრემიერ-მინისტრი მოაწერს ხელს და კანონის ძალას მიიღებს. ურეკი-შეკვეთლის განაშენიანების გენერალური გეგმისთვის რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში 65 მილიონი ლარი არის გათვალისწინებული. სოლიდური თანხის 90%-ი მაგნეტიტის უბანზე დაიხარჯება. გეგმის ერთ-ერთი თანამომხსენებელი მეც ვარ, ჩვენი მიზანია, კურორტი ამ დამძიმებული მდგომარეობიდან გამოვიყვანოთ. ჩვენ გვსურდა, 300 მეტრი სანაპირო ზოლის განთავისუფლება, თუმცა სახელმწიფოს ამ ნაგებობების საბაზრო ფასად გამოსყიდვა არ შეუძლია. ასეთ კომპრომისზე წავიდა, 100 მეტრი ზოლის განთავისუფლების ნება დაგვართო. რაც დიდი პროგრესია. ზღვასთან ახლოს მოეწყო ბულვარი. მოგეხსენებათ, სეზონი ორი თვე გრძელდება. ამიტომ აკვაპარკი კურორტის აუცილებელი ატრიბუტიკაა. წვიმის დროს იქ მივლენ და დასვენების პერიოდი გახანგრძლივდება, დაწესებულებებიც რენტაბელური გახდება, მენეჯერები ვალდებული იქნებიან, არსებული პირობები მოაწესრიგონ.

– **თქვენ ბრძანეთ, ურეკი იცნობს ბევრ სასწაულს, თუმცა აბსოლუტურად მართალ ისტორიას.**

– ურეკის ბუნებრივი მონაცემები გარდაისახება სამკურნალო თვისებებში. ქვიშის მახასიათებლებში მრავალი ფუნქცია შედის, დაწყებული ქვიშის მარცვლების ზომიდან, რომელიც ადამიანის კანში არსებული ფორების თანაზომადი უნდა იყოს, ქვიშა შეიცავს სასარგებლო მინერალებს – თიხას, მტვერს და სხვა. არავინ იცის დაბეჯითებით, რატომ ხდება განკურნება, მაგნიტური სილა ადამიანის ორგანიზმზე დადებითად მოქმედებს: იცვლება ქიმიური პროცესები შიგნით, ორგანიზმში წყალბადი უფრო კონცენტრირებული ხდება, სისხლი სწრაფად დედება, ხოლო სხვა ბიოლოგიური

პროცესები შესამჩნევად ჩქარდება. ამგვარი სილის მაგნიტურ ველს ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი აქვს და ქსოვილებს აღდგენაშიც ეხმარება. მაგნიტური სილა ხელს უწყობს გულ-სისხლძარღვთა, საყრდენ-მამოძრავებელი და ნერვული სისტემების დაავადებების მკურნალობას. ასევე ბავშვთა დაავადებების, როგორცაა ცერებრალური დამბლა, დამბლა, რაქიტი და სამშობიარო ტრავმები, ქრონიკული უროგენიტალური დაავადებების მკურნალობას, რომელიც არცთუ იშვიათად ხდება უნაყოფობის მიზეზი. ეს სილა ეხმარება ადამიანს სწრაფად გამოჯანმრთელდეს მძიმე ოპერაციების, როგორცაა მოტეხილობების თუ სხვა ტრავმების შემდეგ.

– **ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები პირველ ადგილზეა დედამიწაზე მცხოვრებლების ავადობისა და სიკვდილიანობის სტრუქტურაში.**

– ურეკი გრილ კურორტს მიეკუთვნება. შუადღისას აქ 25<sup>0</sup> ტემპერატურაა. გულ-სისხლძარღვთა და საყრდენ-მამოძრავებელი დაავადებების სამკურნალოდ საკმაოდ ეფექტურია, რაც მთავარია, არა აქვს უკუჩვენებები. კლასიკურმა მედიცინამ მედიკამენტოზური თვალსაზრისით თავისი შესაძლებლობები ამოწურა, ამიტომ ბუნებრივ რეაბილიტაციაზე გადავიდნენ. აქ არსებულ ანომალიურ მაგნიტურ ველს დიდი პოტენციალი აქვს. ასე რომ, თამამად შეიძლება ითქვას, ურეკი მომავლის კურორტია, რომელსაც კიდევ ბევრი სასწაულის მოხდენა შეუძლია. ჩვენი მიზანია ურეკი დაცულ ტერიტორიად გამოცხადდეს და ბუნების ძეგლის სტატუსი მიენიჭოს. დაცული ტერიტორიის ეროვნული სააგენტო ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული. იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიას ურეკიც შეემატება და მისი მასშტაბურობა უფრო გაიზრდება.

– **ბატონო შუქრი წარმატებებს გისურვებთ. ურეკის ცნობადობის გაზრდაში ჩვენც მივიღებთ მონაწილეობას.**

– მაძლობთ.

ლელა სურმავა



# კურორტ ურეკის გუნებაში საექსპლუატო უპრობლემა



ურეკის სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნების განხილვა კურორტული მკურნალობით დაინტერესებას იწვევს, ამ შესაძლებლობების კომპლექსური შესწავლა სამედიცინო ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს. კურორტოლოგია სწრაფ რეანიმირებას საჭიროებს, ამიტომ სახელმწიფომ ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას.

ურეკში არსებული სანატორიუმი მეგობრობა დღემდე ფლაგმანის როლს ასრულებს, რომლის ხელმძღვანელი ზღვისპირა კურორტის ერთ-ერთი დამაარსებელი და სამედიცინო ფაქტორების პირველი მკვლევარი ნიკა ქარცივაძე იყო.

ამ ტრადიციას ქალბატონი ცისანა კაკალა-მეგრელიშვილი აგრძელებს. ის ურეკში დაიბადა და გაიზადა. პრო-

ფესიით ეკონომისტი. 1969 წლიდან სანატორიუმ მეგობრობაში მუშაობს, ხოლო 2004 წლიდან დაწესებულების მენეჯერია.

– პირველი კვლევა მთავარმა ექიმმა ნიკა ქარცივაძემ ჩაატარა. მან სხვადასხვა დარგის სპეციალისტები მოიწვია. პლაჟზე სამედიცინო ოთახი მოვანყვეთ, ქვიშის აბაზანების მიღებამდე, ექიმები დამსვენებლებს წნევას და პულსს უსიჯავდნენ. პროცედურის შემდეგ აკვირდებოდნენ, ორგანიზმში როგორი ცვლილებები მიმდინარეობდა. სანატორიუმში დამსვენებლები მთელი წლის მანძილზე გვყავდა. კარგად მახსოვს, ყოველდღიურად 700-ს ვატარებდით, ახალ წელს 350 იყო, სახლებში არ მიდიოდნენ.

– აქ ძალიან თბილი გარემოა, ასეთი გულისხმიერი დახვედრა პირველ რიგში თქვენი დამსახურებაა. რა გეგმები გაქვთ?

– სანატორიუმ მეგობრობას კაპიტალური რემონტი ჩაუტარდეთ. შევცვალეთ პანდუსები, ეტლით მოსარგებლეთათვის დავამატეთ ზღვაზე გასასვლელი ბილიკი, ათივე ოთახი გავარემონტეთ. შევცვალეთ კარები, დავაგეთ მეტლახი, სამკურნალო კაბინეტებისთვის ახალი ინვენტარი შევიძინეთ. ჩვენი მზარეულები გემრიელ კერძებს ამზადებენ, დამსვენებლები ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს მიირთმევენ. კეთილმოწყობილია სანატორიუმის ეზო. ყველა ოთახს აქვს დამოუკიდებელი აივანი. პირდაპირ ზღვის ხედით. გვსურს, სააბაზანო კორპუსში წყალქვეშა მასაჟის აპარატი მოვანყვით.

სამედიცინო მიმართულებით სიახლეებია, თითქმის ყველა პროფილის ექიმი გვყავს – ნევროპათოლოგი, პედიატრი, თერაპევტი, სტომატოლოგი, ექიმი ლაბო-





რანტი, კარდიოლოგი. ნელს დაემატა ფსიქოლოგი, რე-  
აბილიტაციის დროს ბავშვებს მისი დახმარება ესაჭი-  
როებათ. 24 საათიანი სამედიცინო მომსახურება და  
პროფესიონალი ექიმები სანატორიუმ მეგრობრობის  
მთავარი ნიშაა.

**– ჩვენი მიზანია ურეკის სამკურნალო ფაქტორების პოპულარიზაცია.**

– ურეკის პოპულარიზაციით ძალიან დაინტერესებუ-  
ლია ბატონი შუქრი თავართქილაძე. მისი ხელმძღვან-  
ლობით ჩავატარეთ მაგნიტური ველის გაზომვა, 1974  
ნელთან შედარებით სამჯერ არის გაუმჯობესებული.  
საკმაოდ ძვირადღირებული კვლევაა, 50 000 ლარი  
ღირს, ჩვენ თანხის გადახდის სანაცვლოდ სანატორიუმ-  
ში დასვენება შევთავაზეთ. სადაც ახლა ვიმყოფებით, ამ  
მონაკვეთში ყველაზე მაღალი მაგნიტური ველია.

კურორტზე აქვს მინის ნაკვეთი, მისი რეალიზაციის  
შემდეგ ვგეგმავთ ახალი სამკურნალო კორპუსის აშენე-  
ბას. ძველი შენობა დაინგრევა და დამსვენებლებს კომ-  
ფორტულ გარემოს შევთავაზებთ.

**ლალი ხომერიკი, სამკურნალო ფიზიკულტურის მეთო-  
დისტი.**

– გვყავს ქრონიკული პაციენტები, 2-3 წელი საკმა-  
რისი არ არის, ამ ბავშვებთან სისტემატიური მუშაობაა  
საჭირო, ისინი ჩვენს თვალწინ გაიზარდნენ. 29 წელი აქ  
ვმუშაობ, ამ დროის მანძილზე იმდენი სიკეთე მინახავს,  
როცა 5-6 წლის ბავშვი ფეხს ურეკში აიდგამს, გახარე-  
ბული მშობელი პირველ რიგში ჩვენ გვირეკავს.

**– რა დაავადებების ბავშვებია ძირითადად?**

– ცერებრალური დამბლები, პოსტტრავმული შემ-  
დგომი პერიოდის რეაბილიტაცია, აუტიზმით დაავა-  
დებული ბავშვები. მყავს ისეთი პაციენტი, რომელიც  
მსოფლიოში შვიდია. ეს არის იშვიათი დაავადება მე-  
ლანიუმური მიოპათია, გვარად აგურაშვილი, 10 წლის  
არის და თავისი დაავადების თვალსაზრისით ხანდაზ-  
მულია. დედა 7 წლამდე ზონდით კვებავდა, აქვს პრო-  
გრესი, უკვე საკვები დაღეჭა და გადაყლაპა. მშობელი  
ხშირად ამბობს, – მას ურეკით უდგას სულიო. მიუხედა-  
ვად იმისა, რომ ასეთ პაციენტებთან მუშაობა რთულია,

ჩვენ მათი სიყვარული გვაძლიერებს. რაც სანატორიუმში  
მეგობრობა დაარსდა, ასეთ ბავშვებზე და ადამიანებზე  
მუშაობს. თუ ვინმეს კვალიფიციური ცოდნა და სათა-  
ნადო გამოცდილება აქვს, ეს მეგობრობის მედპერსონა-  
ლია, ყოველთვის ერთ გუნდად ვართ შეკრული, რა თქმა  
უნდა, ქალბატონი ცისანა ჩვენი მთავარი დასაყრდენია.

**ქეთევან მელიქაძე, პედაგოგი** – 1996 წლიდან ურეკ-  
ში ვმუშაობ. ძირითადად მოდიან საყრდენ-მამოძრავე-  
ბელი სისტემის დაავადების მქონე ბავშვები, რაქიტის  
ნარჩენი მოვლენები, რაქიტის ქვემწვავე მიმდინარეო-  
ბის, ცერებრალური დამბლის ზოგიერთი ფორმა. გან-  
საკუთრებით, სადაც კუნთების ტონუსია შემცირებული.  
აუტისტ ბავშვებთან მომიწია პროგრამით მუშაობა, რო-  
მელიც სანატორიუმ კოლხიდაში მიმდინარეობდა. თბი-  
ლისელ ნევროლოგებთან ერთად 18-24 საათიანი კურსი  
ჩაფუტარეთ. კარგი შედეგები დავდეთ. მაგნიტური ველი  
ქმნის სერიოზულ პირობას არა მარტო ცენტრალური  
ნერვული სისტემა, არამედ ქსოვილების კვებაც გაუმ-



ანა ალთუნაშვილი



ჯობესდეს. ქვიშასთან კონტაქტის დროს დადებით შედეგს იღებენ. ურეკი საუკეთესოა გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვითი და ნერვული სისტემების, პერიფერიული სისხლძარღვების დაავადებებისას, კურორტული ფაქტორებით მკურნალობა ახდენს ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას, იწვევს დაზიანებულ სახსარში ტკივილის შემსუბუქებას ან მის გაქრობას და მოძრაობის ამპლიტუდის ზრდას. მაგნეტიტური ქვიშის აბაზანები გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიების, ფილტვების დაავადებების, ნევრასთენიის, ალიმენტური სიმსუქნის, უშვილობის, ჩიყვზე სამკურნალოდ. ერთადერთი უკუჩვენებაა სიმსივნურ დაავადებებზე, როგორც ავთვისებიან, ასევე კეთილთვისებიან სიმსივნეებზე, ქვიშა და მზის სხივები უარყოფითად მოქმედებს. არსებობს ძვალსასხროვანი სისტემის დაავადება პერტესი, დაჭიმვების შემდეგ ურეკში რეაბილიტაცია საუკეთესო შედეგს გვაძლევს.

2009 წელს ანა ალთუნაშვილი ავარიამი მოყვა, სისტემატიურად ურეკში მკურნალობს, პირველ წელს ზღვაში ფეხებით და ხელებით შეიყვანეს, მეორე წლიდან

თავისით შევიდა. ასეთი შედეგი ზღვისპირა კურორტის დამსახურებაა. წელს ანაკლიაში წასვლაზე მშობლებმა უარი თქვეს და ისევ ურეკში ჩამოვიდნენ, ისინი სამკურნალო ფაქტორების გათვალისწინებით, შვილის გამოჯანმრთელების იმედს არ კარგავენ.

ქალბატონი ცისანას სამუშაო კაბინეტში ყაზახეთიდან ჩამოსულმა დედამ ეტლში მჯდომი 6 წლის პაციენტი შემოიყვანა. მაგამეტამ აღნიშნა, – ჩემი შვილი დაბადებიდან ტრავმირებულია, ვერ დადის და ვერ ლაპარაკობს. 17 დღე სანატორიუმ კოლხიდაში გვყავდა, დამსვენებლებმა მეგობრობაზე მომიყვეს, დამინტერესა, აქ როგორი მკურნალობის მეთოდი აქვთ. ყაზახეთში მსგავსი პრობლემის მქონე ბევრი ნაცნობი მყავს, მათ ვურჩევ, სანატორიუმ მეგობრობაში ჩამოვიდნენ. აქ ფასები ხელმისაწვდომია, 30 დოლარი (ექვივალენტი ლარში). თუმცა ყველაზე მთავარი ურეკის სამკურნალო თვისებებია, ინტერნეტში კარგი გამოხმაურებებია. ვფიქრობ, კიდევ ჩამოვალ და ბავშვს სანატორიუმ მეგობრობაში მოვიყვან.

ლელა სურმავა



## ჩოხატაურს ავსტრიელი სტუმრობდა, ბახმაროდან ჩოხატაურს

ავსტრიელ მხატვართა ჯგუფი ბახმაროს სტუმრობდა, ბახმაროდან ჩოხატაურს. ესენი იყვნენ: კატრინ ბოლფი, გოგი ოქროპირიძე, ვენელ მხატვრების წყვილი პრინცგაუ/პოდგორშეკ. მეგზურობას მათ ნინო სეხნიაშვილი უწევდათ. მათი ნამუშევრების გამოფენა 21 ივნისს გაიხსნა თბილისის სამხატვრო გალერეა ნექტარში და გაგრძელდება 20 აგვისტომდე.

ირინა რამიშვილი

# ქუჩის სტენდებზე გვირის დაქანებული სახელი და გვარია

ზაურ თენიეშვილი მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალული. ის არა მარტო ქვეყნის ღირსეული ჯარისკაცი, არამედ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საუკეთესო მოქალაქეც იყო. მისი მეგობრები და ნაცნობები გვირის დადებით თვისებებზე დღემდე საუბრობენ, 21 წლის ახალგაზრდამ სითბო და სიყვარული მოიპოვა, ამიტომ დიდი თუ პატარა, ყველა მას მისტირის.

ჟურნალ გურია REGION-ს ზაურის დეიდაშვილი ეკა ვეფხვაძე დაგვიკავშირდა და მოგვიყვა, როგორ პატივს მიაგებს გვირის ოზურგეთის ხელისუფლება.

ზაური ვაზიანის 43-ე ბრიგადაში მსახურობდა. 2008 წლის აგვისტოს ომამდე, ორი კვირით ადრე გადავიდა, ავლანეთში წასასვლელად ემზადებოდა. სწორედ ის ბატალიონი შევიდა ცხინვალში პირველი, ყველაზე დიდი მსხვერპლი მათ ჰყავდათ. ზაურმა 8 აგვისტოს დაგვირეკა, გვითხრა, – არ ინერვიულოთ, ყველაფერი კარგად არის. ომის შემდეგ მისი კვალი გაქრა, თავდაცვის სამინისტრომაც არ იცოდა, ეს ბიჭები სად იყვნენ. როდესაც საპატრიარქომ 16 გარდაცვლილი ჯარისკაცი გადმოასვენა, მათ შორის ერთ-ერთი ზაურიც იყო.

– ეკა, ზაურის დედამ და თქვენმა სანათესაომ დიდი ტკივილი გადაიტანეთ.

– ნუნუ თენიეშვილს ომში ერთადერთი შვილი დაეღუპა. ის დაბადებიდან ინვალიდია, ზაური დედის მიმართ მოსიყვარულე და ყურადღებიანი იყო. სულ ეუბნებოდა, – დედა შენ არ იმუშაო, მოვალ და მოგივლიო. ნუნუს ეს ტრაგედია ძმამ, დიშვილებმა და ძმიშვილებმა გადაატანინა.

– რა მიზეზით დამიკავშირდი?

– ორი კვირის წინ ყველა ომში დაღუპულ მშობლებს თავდაცვის მინისტრთან, თინა ხიდაშელთან ჰქონდათ შეხვედრა. მან განაცხადა, – თუ რამე გჭირდებათ, ჩვენ მზად ვართ დაგეხმაროთ. ჩვენს პრობლემაზე საუბრისგან თავი შევიკავეთ. ოზურგეთში იმ ქუჩას, სადაც ზაური გაიზარდა (ყოფილი გაგარინის), მისი სახელი დაერქვა. ხოლო №1 საჯარო სკოლამ, სადაც სწავლობდა სტენდი მოაწყო, სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები მის დაბადების დღეს ყოველთვის აღნიშნავენ და იხსენებენ. რაც შეეხება, სკვერს, 7 წელი მარტო დაპირებებით გვისტუმრებენ.

– ეკა, ვინ არიან ეს თანამდებობის პირები?

– ქალაქის ვიცე-მერი ალექსანდრე ბურჭულაძე, საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე. სამი წელია ამბობენ, – ტენდერი უნდა გავათამაშოთო. წინა ხელისუფლება 4 წელი მატყვილებდა, ესენი 3. პირდაპირ მითხრან, ბიუჯეტში თუ თანხა არ აქვთ. უფრო გაგებით მოვეკიდები, ვიდრე მუდმივად დამპირდნენ. 9 აგვისტოს ზაურის გარდაცვალების დღეა, მითხრეს, მანამდე ყველაფერს მოვასწრებთო. როცა გელა კობალაძეს ტელეფონით დაუკავშირდი, უარი მივიღე. მაინტერესებს, ომში დაღუპულ გვირს ეკუთვნის თუ არა სკვერი?! ეს ადგილი, იმ ახალგაზრდებს და უბანს დარჩება, სადაც მომავალი თაობა იზრდება.



– რა თანხა საჭირო სკვერის მოსაწყობად?

– 3000 ლარს არ გასცდება. მარტო პროექტის მომზადება და ზედამხედველის დანიშვნა საჭირო. მუშახელში ფული არ დაეხარჯებათ. მთელი უბანი და ზაურის მეგობრები ფეხზე დგანან და ელოდებიან. ერთი პერიოდი მიწას იმიზეზებდნენ. შარშან გელა კობალაძეს შევხვდი, ერთი მანქანა ხრეში მოიტანა. შემდეგ ჩემი ბიძა დარაჯობდა, რომ არ მოეპარათ. რატომ მოჰქონდათ ხრეში, თუ სკვერს არ მოაწყობდნენ, გაუგებარია. უბრალოდ, თვალი აგვიხვიეს.

– გვირის დედის მიმართ მუნიციპალიტეტი თუ იჩენს ყურადღებას?

– როცა ზაური დაიღუპა, 1500 ლარი მისცეს, ერთხელ – 200 ლარი, შარშან 100 ლარი გამოუგზავნეს. სხვა ყურადღება ნუნუს არ ახსოვს. ოზურგეთში დავიბადე და გავიზარდე, მრცხვენია, ასე რომ გვექცევიან, რომ მცოდნოდა, ყოველ თვე 10 ლარს გადავდებდი და ამ საქმეს მოვავგარებდი. უბრალოდ, ადგილობრივი ხელისუფლების წინ არ წავიდი. ახლა კი ამდენი ტყუილის შემდეგ ვითხოვ, გამცენ პასუხი. ქუჩაზე ორივე სტენდზე გვირის სახელი და გვარი დაჟანგულია. მათი შეღებვაც მე შევახსენე, თვითონ ვერ მოიფიქრეს. მედიისთვის არასდროს მიმიმართავს, თუმცა სხვა გზა არ დამიტოვეს. ნუნუ დეიდამ ჟურნალი ქალაქ რუსთავში იყიდა და სახლში მოგვიტანა.

ოზურგეთში ზაურ თენიეშვილის სახელობის ფეხბურთის ჩემპიონატი ჩატარდა. მეგობრებმა 10-10 ლარი შეაგროვეს, 200 ლარი დარჩათ, გვირის სახელზე ერთ-ერთ მონასტერს შეწირეს. შეჯიბრისთვის დარბაზი დაგვითმეს, ლიხაურის გუნდმა გაიმარჯვა. წელს ქალაქის მერიაც ჩაერთო, დაგვიპირდნენ, – მომავალი წლიდან ბიუჯეტში ჩემპიონატის თანხა გათვალისწინებული იქნება. ამ ადამიანების მიმართ მაღლობის მეტი რა შეთქმის.

ლელა სურმაჯა

## გ ა ს ს ე ნ ე ბ ა



9 აგვისტოს ზაურ თენიეშვილის გარდაცვალებიდან 7 წელი სრულდება. ჩვენო დიდო ტკივილო, ძალიან ენატრები დედას, ბიძას, დეიდებს, შენს ბიძაშვილებს, დეიდაშვილებს და მამიდაშვილებს. ნუნუ დეიდას ამ დარდს ვუმსუბუქებთ, ყველანი მის გვერდით ვართ, მაგრამ შენ ვერავინ შეგცვლის. ოზურგეთელებში დიდი სიყვარული და სითბო მოიპოვე. შენს ხსოვნას არასდროს დავივიწყებთ.


# ჯავშნოსანი ეკიპაჟის საარაკო გვირობა

ჟურნალ გურია REGION-ის ივნისის ნომერში დაიბეჭდა ქართველი მხედრობისა და ჯავშნოსანმატარებლის ეკიპაჟის შეთანხმებული და გააზრებული მოქმედება. ქვეყნის ტერიტორიის მთლიანობის აღდგენაში მათ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს. საქართველოს ტერიტორიული პრეტენზიები დღესაც სიმძაფრით გამოიხატება. ამიტომ ისტორიიდან საინტერესო ეპიზოდები ხშირად უნდა გავიხსენოთ. ქართველი მხედრების, მათ შორის გურულების თავდადებაზე ჩვენ კიდევ ერთხელ გიამბობთ. ასეთ გაბედულ ქმედებებში განსაკუთრებული როლი სარდალს, ვალოდია გოგუაძეს მიუძღვის.

ვალოდია ბაქო-აჯიკაბულის სარკინიგზო ხაზზე ვაგონის გამცილებლად მუშაობდა და სოციალ-დემოკრატიის პარტიის (მენშევიკები) ლიდერებთან დაახლოებამ, პარტიულ საქმიანობაში აქტიურმა ჩართვამ, მას პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლისა და აქტიურად მოქმედების შესაძლებლობა მისცა. ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მიერ რეგიონალური შეიარაღებული რაზმების შექმნა და მის მეთაურად ვალოდია გოგუაძის დანიშვნა — მიზნად ისახავდა: ა) მუშებისათვის იარაღის ხმარებასა და სამხედრო საქმის სწავლებას; ბ) მეფის ხელისუფლების დამხობისათვის შესაბამისი საფეხურის მომზადებას; გ) რკინიგზაზე სოციალ-დემოკრატიების კონტროლის დანერგვას; დ) პოლიციის მალაჩინოსანთა დაშინებას, დასმენა-ჯაშუშების, ყაჩაღებისა და მძარცველების მიმართ უმკაცრესი ღონისძიებების გატარებას. სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკები) გურიის რეგიონალური კომიტეტის მუშაობაში 1910 წლიდან ვალოდია გოგუაძის მონაწილეობამ, მისი როგორც პოლიტიკური მოღვაწის ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი შეასრულა. გურიაში თავმჯდომარეული ყაჩაღ-მძარცველთა წინააღმდეგ ვალოდიას ხელმძღვანელობით განხორციელებულმა პრაგმატული ხასიათის ღონისძიებებმა, ადგილობრივებში მისი ავტორიტეტი გაზარდა. იგი გურიის გლეხკაცობაში ბანდიტების, ქურდებისა და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ პიროვნებად იყო აღიარებული.

რუსეთში სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ განვითარებული მოვლენების ფონზე, ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა, მოსალოდნელი საფრთხისაგან რეგიონის დაცვას ითვალისწინებდა. რუსული ჯარის ნაწილებში ბოლშევიკებისგან ამიერკავკასიის მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდა, რეგიონის მოსახლეობის მიმართ ჯარისკაცთა გალიზიანებაზე იყო გათვლილი და ამიერკავკასიის გასაბჭოების მიზანს ისახავდა. ამიერკავკასიის კომისარიატის ინიციატივით ალექსანდროპოლიდან და სარიყამისიდან ტყვიამფრქვევის ვაზნებისა და ზარბაზნის ჭურვების ჩამოტანა, ამიერკავკასიის რეგიონში არსებული ჯავშნოსანი მატარებლის თბილისში თავმოყრა და მისი ეროვნული გვარდიის მთავარი შტაბისადმი დაქვემდებარება. საქართველოს გასაბჭოების ბოლშევიკური გეგმის საწინააღმდეგო ბარიერის შექმნას და რეგიონისათვის უსაფრთხოების საფეხურის მომზადებას ითვალისწინებდა. ერზინჯანში ხელმონერილმა დროებითმა ზავმა (1917 წლის 5 დეკემბერი) და ბოლშევიკური რუსული სამხედრო შენაერთისაგან ოსმალეთის ფრონტის თვითნებურად მიტოვებამ, თბილისი განსაკუთრებული საფრთხის წინაშე დააყენა. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და ქართველი სოციალ-დემოკრატიების (მენშევიკები) მიერ დროულად მიღებულმა პრაგმატულმა გადაწყვეტილებებმა, ბოლშევიკური რუსული სამხედრო შენაერთებისაგან თბილისი აოხრებას და გაძარცვას გადაარჩინა. ამ საქმის შესრულებაში ლომის წილი ევგენი აფხაზავას და ვალოდია გოგუაძეს მიუძღვით. მათი საზრიანი მოქმედების შედეგად მიღებული სწორი გადაწყვეტილებებით, რკინიგზამ შეუფერხებლად იმუშავა და ემელონებიც ორგანიზებულად იქნა გატარებული აზერბაიჯანის მიმართულებით. მოსკოვის მხრიდან ბოლშევიკებისადმი მიცემული დაკვეთის შესრულება — თბილისის აღება და საქართველოს გასაბჭოება — შეუძლებელი გახდა. ეს ფაქტი, ამიერკავკასიის რეგიონში რუსი და ქართველი ბოლშევიკების იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მარცხს წარმოადგენდა.

საბჭოთა რუსეთის მიერ ბრესტის




საზავო ხელშეკრულებით ოსმალეთისათვის საქართველოს კუთვნილი ტერიტორიების გადაცემამ და ამ ნადავლის დასაუფლებლად ოსმალეთის ხელისუფლების სწრაფვამ, ბათუმის დაცვის უზრუნველყოფა ყველა პოლიტიკური მიმდინარეობის (ბოლშევიკების გარდა) ზრუნვის საგანი გახდა. „რევოლუციისა და სამშობლოს დაცვის გურიის კომიტეტის“ მიერ რეგიონში გამართული ხალხმრავალი მიტინგები, ფრონტზე წამსვლელ მოხალისეთა გამოვლინებას და 221-ე ყოფილ პოლკთან ქართული ბატალიონის ჩამოყალიბების პროცესის დაჩქარებას ითვალისწინებდა. ქართველი ბოლშევიკების და ოსმალთა აგენტების ანტიქართული საქმიანობა, ქართული სამხედრო შენაერთების ზურგის მოშლას და ბრესტის საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების — ოსმალეთის სასარგებლოდ შესრულებას ისახავდა მიზნად. ამ ფონზე, გურიის 4 კაიანი დელეგაციის აჭარაში მცხოვრებლების ორიენტაციის (ქართული თუ ოსმალური) გარკვევა და დანარჩენი საქართველოს მკვიდრების მისი ოფიციალურად გაცნობა წარმოადგენდა. ზემო აჭარისაგან განსხვავებით, ქობულეთელების მიერ პროქართული ორიენტაციის ოფიციალურად დადასტურებით არსებული პოლიტიკური გამოცდა მათი მხრიდან მაღალ დონეზე იქნა ჩატარებული. ბათუმის ფრონტის მონაწივე ხაზის გაუმართავმა მოქმედებამ, (ქაოსი და ყველაფრის თვითდინებაზე მიშვება) საბრძოლო პოზიციებზე მდგომი ჯარისკაცების მიერ ფრონტის მონაწივე ხაზის თვითნებურად მიტოვებამ, ოსმალთა ასკერების ბათუმისკენ წინნამოწევის შესაძლებლობა მისცა. ამ ურთულეს სიტუაციაში განსაკუთრებული როლი ჯავშნოსანმა მატარებელმა შეასრულა. მხედველობაში

გვაქვს ბათუმის დეპოში და რკინიგზის სადგურში არსებული ქონების (ორთქმავლები, ვაგონები, იარაღი...) მტრისადმი არდატოვების მიზნით, მისი გამოტანის ორგანიზაცია. ამ საპასუხისმგებლო საკითხის მოგვარება, ჯავშნოსანი მატარებლის მეთაურის ვალოდია გოგუაძის და მისი ეკიპაჟის თავდადებისა და ბრძოლის შედეგი იყო.

ბათუმთან განცდილი მარცხის ზემოქმედებიდან გამომდინარე, ქართული ჯარის ფსიქოლოგიურად დემორალიზებული მდგომარეობიდან გამოყვანაში და მისთვის ბრძოლისუნარიანობის დაბრუნებაში, განსაკუთრებული როლი ორმა ფაქტორმა შეასრულა: ა)პრესაში მაღალ დონეზე განხორციელებულმა სააგიტაციო-პროპაგანდისტულამა საქმიანობამ (ჯარისკაცთა წერილებში სამშობლოს დაცვისკენ მოწოდებებმა) და ბ) ქართული სამხედრო შენაერთების სარდლად გენერალ გ. მაზნიაშვილის დანიშვნამ. მის მიერ ჩოლოქ-ნატანების ხაზზე თავდაცვითი და შეტევითი ღონისძიებებმა, სამხედრო ხელოვნების მოთხოვნათა ყველა საფეხურს, ქართველი ჯარისკაცის ფსიქოლოგიურ მომენტს და რეგიონის ბუნებრივ რელიეფს ითვალისწინებდა. ჩოლოქის ბრძოლის წინა დღეს, 7 აპრილს, ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერების — ნ.ჟორდანიას, ირ. წერეთელი და ვლ. მგელაძე... ნატანებში შეიარაღებული ფორმით „პატრონტაყებით“ ჩასვლა და ბრძოლის მოწინავე ხაზზე გასვლა, დიდ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ დატვირთვას ატარებდა. ამ ფაქტით ბოლშევიკთა ტყუილზე დაფუძნებულ პროპაგანდას ნილაბი ჩამოეხსნა. ჩოლოქის ბრძოლამ, რომლის მთავარი გმირი ჯავშნოსანი მატარებელი №4-ის ეკიპაჟის მეთაური ვალოდია გოგუაძე იყო, ქართველთა დიდებული წინაპრებისადმი დამახასიათებელი საოცარი თავდადებისა და სიმამაცის შესახებ არსებული ლეგენდა — სინამდვილედ აქცია. საბედისწერო მომენტში, ჯავშნოსანის ეკიპაჟის ყველა წევრის შემართებამ და თავგანწირვამ, გვარდიის ნაწილების უმაგალითო რისკზე წასვლამ, აშკარად წარმოაჩინა; რკინიგზური დისციპლინის მოყვარული და ქართველ ჯარისკაცთა ფსიქოლოგიის მაღალ დონეზე მცოდნე გონიერი სარდლის ხელში, რა საარაკო გმირობის ჩადენა შეუძლია ოკუპანტების წინააღმდეგ მებრძოლ მცირერიცხოვან ქართველობას. ჩოლოქის ბრძოლამ

(1918 წლის 8 აპრილი) დიდი როლი შეასრულა მეზობელი რეგიონებისკენ ოსმალთა ასკერების წინსვლის შეჩერებაში, ქართული ჯარის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაში. ჩოლოქის ბრძოლა, წინაპართა გმირული ეპოპეის ღირსეული გამოძახილი იყო. ამ ბრძოლაში ჯავშნოსანი მატარებელი №4-ის სარდალის ვალოდია გოგუაძისადმი „რევოლუციის პირველი მხედარის“ საპატიო წოდების მინიჭება, სამშო-



ვალოდია გოგუაძე

ბლოს წინაშე ქართველი ჯარისკაცის თავდადების ღირსეული დაფასების დადასტურებას წარმოადგენდა.

რუსულ სამხედრო ნაწილებში სამსახურგამოვლილი ქართველი ჯარისკაცების მიერ ბოლშევიკური აგიტაციის შედეგად მოწყობილი ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლები, ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნას ემსახურებოდა. უცხო ძალის ზემოქმედებით რეგიონებში დაწყებული ქაოსის სალიკვიდაციოდ, ჯავშნოსანი მატარებლის ეკიპაჟის წევრების გმირობა ქვეყანაში წესრიგის აღდგენას ემსახურებოდა. აზერბაიჯანელი შეიარაღებული მძარცველებისგან ქართული სოფლების დასაცავად, ჯავშნოსანის ეკიპაჟის მეთაურის ვალოდია გოგუაძის ხელმძღვანელობით ჩატარებული საბრძოლო ოპერაციები, საქართველოს საზღვრისპირა ზოლის გამაგრებასთან ერთად, ქვეყნის ხელისუფლების სიძლიერის დემონსტრირება იყო. დაყვავებისა და ადამიანური ურთიერთობის ფორმების გამოყენების პარალელურად, ვალოდია გოგუაძის მიერ სიტუაციის შესაბამისად მკაცრი ღონისძიებების გატარება, კანონიერების აღდგენას ემსახურებოდა და ქართული სახელმწიფოს ინტერესებში სრულად თავსდებოდა. სომეხ-

თართთა ურთიერთდაპირისპირებით განპირობებული მსხვერპის ასაცოლებლად, ჯავშნოსანის ეკიპაჟის მიერ ორივე მხარის განიარაღება და ხელმძღვანელთა სანიმუშოდ დასჯა, ქვეყანაში კანონიერების დამკვიდრებასა და წესრიგის დამყარების გამოვლინება იყო. მდინარე ხრამზე ოსმალთა ასკერების დამარცხებით, ქართული ჯარის სადახლოში შესვლით და დამპყრობლებისგან მისი განთავისუფლებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. ამ საქმეში ჯავშნოსანთა ეკიპაჟს და ვალოდია გოგუაძეს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით.

ევროპის სახელმწიფოს მიერ 1919 წელს საქართველოსადმი შეპირებული დახმარების (შაშანები, ვაზნები, შორსმსროლელი ქვემეხების ჭურვები...) დროულად ვერმიღება, საქართველოს შეიარაღებული ძალების გადაიარაღების და ახალი სამხედრო შენაერთების შექმნის ხელშემშლელი ფაქტორი გახდა. საქართველოს შეიარაღებული ძალები, რუსული წარმოების ვაზნებისა და შორსმსროლელი ქვემეხების ჭურვების ნაკლებობას განიცდიდა. XI არმიის თავდასხმის დროს (1921 წლის 16 თებერვალი) ვალოდია გოგუაძის ჯავშნოსანმა მატარებელმა საბრძოლო ოპერაციების ჩატარებით, ფოილოს ხიდის დაცვისა და სარკინიგზო მაგისტრალის გაკონტროლებით წარმატებას მიაღწია. ემიგრაციაში მყოფი ვალოდიას და მისი მეუღლის ნამეტიას ყოფა, პირველ ეტაპზე მძიმე ეკონომიურ სიდუხჭირესთან იყო დაკავშირებული. დიდი შრომის შედეგად, მხოლოდ XX საუკუნის 30-იან წლებში შეძლეს „წელში გამართვა“ და ნორმალურ ცხოვრებისეულ კალაპოტში ჩადგომა. ლევილის ქართველთა პანთეონის შექმნისა და დაარსების ინიციატორი, მისი სულის ჩამდგმელი ნამეტია ბერძენიშვილი-გოგუაძისა იყო, რომელმაც ქართველ ემიგრანტთა ისტორიაში „ლევილის დედის“ სახელით დაიმკვიდრა თავი.

**რედაქციისგან:** მართალია, ჩოლოქის ბრძოლა წინაპართა გმირობის ღირსეული გამოძახილი იყო, მაგრამ ჯავშნოსანი ეკიპაჟის თავდადება სათანადოდ არ არის დაფასებული. ახალგაზრდებისთვის სინამდვილედ ქცეული ლეგენდა საუკეთესო მაგალითია, ქვეყნის მთლიანობის საკითხში, როგორი შეურიგებელი უნდა იყვნენ.

შოთა ვადაჭკორია

# ღებინდა ნაბანებზე

დიდო თავადო, ეგ რა მოგვსლია, განა ასული დაჰკა- გეთ? – ტირილით შემოვიდა დარბაზში შავოსანი დედაბე- რი და ბატონს მუხლებში ჩაუვარდა.

– ჩემი ღვთაება და საფიცარი, ცის ანგელოზი და სა- თნო. ჰო დედოფალო, შენ ახლა მოკვდი. მე შეგისრულე დანაპირი, აღვზარდე შენი ნატა ასული, მაგრამ რომ გახ- და იგი ქალწული, ვაი, რომ მაშინ სადღაც გაფრინდა. წი- ნასწართქმული ღმერთო ასრულდა.

– რა ასრულდაო, ნუთუ გადაივ ნინასწარ გრძნობა გქონდა საზარი?

– ვაი რომ ყველა ღვთის შვილები ვართ, ყველას წერა გვაქვს ჩვენი სადარი.

– რის წერას ამბობ, ნუთუ გადაივ ცოდვილი იყო ჩემი ასული?

– რისი ცოდვილი, მას- ზე უმანკო ანგელოზე- ბიც არ იყო ცაში, მაგრამ რაც წერა ჰქონდა თქვენს ასულს, სჩანს ის ასრულ- და, ვაიმე ბედკრულს.

– გადასა სიტყვებმა მთლად დააბნია გურიე- ლი, იგი უფრო მორჩილი, თვინიერი გახდა. მტერზე სისხლის ალების ფინი გაუ- ქრა. შიშმა მოიცვა – თურ- მე აქ კაცი არაფერ შუა- ში არ ყოფილა, ღმერთს დაუსჯია ჩემი ასული – ამოიხრა ბოლოს გუ- რიელმა და ისევ გადასა მიუბრუნდა.

– სთქვი, რაღას უცდი, ჩემი ცოდვები ალბათ ჩემს ასულს ატვირთა ღმერთმა.

– თქვენი ასული რომ დაიბადა, ციდან მოფრინდა თურმე ფერია – მგალობელ მონაზონივით დაიწყო გადაიმ – და შენს პატარას დააბედა, იყავ ჭკვიანი და დღეგრძე- ლი, მაგრამ მდაბიო ხალხში იცხოვრებ, ვით მთვარე ბა- დრი დაცურავს ცაში. შენზე ლეგენდებს იტყვიან ხალხში, მაგრამ მშობლიურ კერას დაკარგავ, ვერას იცხოვრებ იქ განცხრომაში.

– ოჰ კუდიანო, ეშმაკის კერპო, ვინ შთაგაგონა ეს ბე- დისწერა, ან თუ იცოდი ესე ყოველი, რად არ მაუწყე, არ გამიმხილე, რომ ღმერთთან ლოცვა-კურთხევით, ხვეწნით დამეხსნა ჩემი ობოლი შვილი.

– შენ მართალი ხარ დიდო ბატონო, მაგრამ განა მე ადრე ვიცოდი? რომ მცოდნოდა მე ნატას ხვედრი, განა მე მისთვის თავს დავზოგავდი. ეს ამბავი მაუწყა მისან- მა თვითმხილველმა, როს ნატას გატაცება გაიგო, თურმე თქვა, ასრულდაო უფლისა ნება და ჩემთან ხლება თავად ინება.

– ვბრძანებ, ახლავე მომგვარეთ ის კუდიანი მისანი, აფრინეთ კაცი – ბრძანა გურიელმა და სავარძელში მძი- მედ ჩაესვენა. დამშვიდდა, სახეზე წყრომისა და რისხვის ნაქვთები გაუქრა, თვალეებში ცრემლი გაუშრა, თითქოს მიაგნო გამოსავალს, სულ მალე ყველაფერს გაიგებს.

შვილსაც იპოვნის და მტერსა და მოყვარეს საკადრისს მიუზღვევს.

– მაღლობა ღმერთს, მგონი გვეშველა, ჩურჩულით წარმოთქვა მოურვამა და დარბაზიდან ჩუმად გავიდა.

– ის კუდიანი ბრძენია, ბრძენი იგი ყველაფერს წვრი- ლად გვაუწყებს - დაამშვიდა სახლთუხუცესმა ბატონი.

– ყველანი ნადით, მარტო დამტოვეთ მე და გადია - ბრძანა ბატონმა და ხელით ანიშნა, ყველანი გასულიყვნენ.

გურიელის ბრძანებაზე ყველანი დაუყოვნებლივ გავიდა დარბაზიდან. დარბაზში დარჩა გურიელი და გადია. მარ- ტო დარჩენილი გადია მთლად ცახცახებდა, შიშმა აიღო, ვაითუ ბატონმა ყველას ჯვარი ჩემზე იყაროს, მან ხომ პირველმა აუწყა ბატონს, შვილის გარდასული უბედურე- ბის ამბავი. ალბათ სწორედ ამისათვის დაიტოვა გოროზმა

ბატონმა კუდიანი ეშმაკის კერძი დედაბერი, მაგრამ იგი ხომ მართალია, მას სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია. მთელი მისი სიცოცხლე ობოლ ნატას შეაღია, გაზარდა, სიბრძნე და სიყვარული ასწავლა, დედობა გაუწია. იცის ეს გოროზმა ბატონმა, იცის, რომ იგი კუდიანი არ არის. კეთილი და სანდო დედა- ბერია, მაგრამ რა ქნას, არ იცის, როგორ მოიქცეს, ვის დასჯის, ვის სახლ- კარს ადინოს მტვერი.

მყუდროება სადარბა- ზოს კარების უხეშმა ჯა-

ხანმა დაარღვია. დარბაზში ილაჯგანყვეტილი, ტანსაც- მელშემოხეული მდევარი შემოვიდა და ბატონს მიეახლა.

– მთლად მოვიარეთ მთელი ღუნი, ტყესა და ღრეებს არ მოვერიდეთ, მაგრამ ვერსად ვიპოვეთ კვალი, ვერც კაცისა და ვერც ჭინკა ალის. ორი ვაჟკაცი თან შეიწირა პალიასტომის უძირო წყალმა. იმბათის ქარმა მოუსწრო ბედკრულს და ჩაიყოლა უძირო ტბაში.

უბედურება უბედურებას კვლავ ემატება კიდევ საზა- რი, შემოაბრუნეთ ყველა მდევარი, ვნახოთ, რას იტყვის იგი მკითხავი, ნუთუ ასე გამწირა ღმერთმა, რაი მაქვს მასთან მე დანაშაული.

– ღმერთს ნუ უწყენ დიდო ბატონო, იკურთოს მისი წმინდა სახელი – ვედრებით წამოიწყო გადაიმ – იგია ახლა ნატას მფარველი, მან უნდა მისცეს იმას საშველი, ღმერთო ძლიერო, ცაში ასულს შემოქმედის ჯვრის ხატის ჯვარცმულო, შენ დაიფარე ჩემი გაზრდილი.

ნაკაშიძეც დაბრუნდა დავით თავის მდევრებით განბი- ლებული – შიშნარევი ხმით მოახსენა მსახურმა ბატონს.

– განბილებული ბრუნდება ყველა – დაიღრიალა მოთ- მინება დაკარგულმა ბატონმა.

– შერვაშიძე სადაა ნეტავ, რად იგვიანებს მისი მდევა- რი? – ჩურჩულით იკითხა გადაიმ.

– სწორედ მისი მაქვს მხოლოდ იმედი, განბილებული ის აქ არ მოვა – რიხით წარმოთქვა ბატონმა და სარკმლი-



დან ეზოში დაინყო მზერა. ეზოში უამრავი ხალხი ირეოდა, ახლად დაბრუნებული მდეურები დამხდურთ ამბებს უყვე-ბოდნენ, მეჯინიბენი გაოფლილ ცხენებს დაატარებდნენ ეზოს ბოლოში. ვილაცხები ხელახალი ძებნისათვის ემზადებოდნენ და რჩეულ მხედრებს დაეძებდნენ. მოულოდნელად ალაყაფის კარები გაიღო, წინ მოურავი და შაოსანი კაცი გამოჩნდა. მსახურმა მოხუცს მიეშველა, ფრთხილად ჩამოსვა ცხენიდან და სასახლისაკენ წაუძღვა.

დარბაზში შემზარავი სიჩუმე ჩამონვა, მოხუცის მოსვლამ ყველანი შეაკრთო, შეაშინა, იგი ხომ სიმართლეს იტყოდა, მის სიტყვაზე ვილაცა უნდა განწირულიყო, მრისხანე ბატონი არავის დაინდობდა, არავის შეიბრალებდა, ოღონდ რაიმე საბაბი მისცემოდა. მტყუანს და მართალს არ განიკითხავდა, საშინელ რისხვას დაატეხდა თავს.

ყველაზე მეტად დინჯი, აუჩქარებელი ბატონი ლელავდა, შიშობდა, თითქოს ახლა მის წინ უბრალო ბერი კი არ იყო, არამედ ყოვლისშემძლე ქურუმი, რომელსაც შეეძლო დაებრუნებია შვილი მამისთვის, ან წაერთმია იგი სამუდამოდ. თითქოს ამ ჩია, მომაკვდავ მოხუცს შესწევდა ძალა ღმერთისა და კაცის წინაშე სასწაული მოეხდინა. თითქოს მას ისეთი თილისმის ძალა ჰქონდა, რომ შეეძლო ნატას გამოცხადება, ჯოჯოხეთიდან გამოყვანა თუ ის ჯოჯოხეთში იყო. ციდან ჩამოყვა, თუ ცოურ სამოთხეში იყო. ციხეკოშვიდან გამოყვანა, თუ ციხის ცხრაკლიტულში იყო ჩაკეტილი. ამიტომ იყო, რომ ყველა ხმაგაკმენდილი მიმტერებოდნენ დარბაზში ახლად შემოსულ მოხუცს.

მოხუცი კი მთლად გაფითრებული, გონებადაბნეული იდგა მათ შორის. ხალხს მისი ეშინოდა, მას კი ხალხის და მრისხანე ბატონის.

– უბედურება შემემთხვა დიდი – ამოიოხრა ბოლოს გურიელმა და მოხუცი თავისკენ მიიწვია, რბილ სავარძელში ჩააჯინა – მავედრე ღმერთთან, უზენაესთან, მე მუდამ ვიყავ მასზე მლოცველი, არ გამიტეხავს წესი და რჯული, უზენაესი იყოს მსაჯული. თუ ცოდვა-ბრალი რამე მიმიძღვის, მე დავისაჯო ღმერთის სასჯელით. ოღონდ ასული საბრალო ჩემი იყოს უვნებლად, სვებედნიერი, განა არ ეყო ობლობა მწველი, მას ხომ დედის არ ახსოვს ხელი.

– განა ყოველი არ გაუწყე, გადიას პირით შემოგითვალე, რაც შენს ასულს ეწერა ბედი, ის არის მისი ცხოვრების ხვედრი, ღმერთის განაჩენს ვერ გავქცევით, იკურთოს მისი წმინდა სახელი.

ღმერთო, ძლიერო, წმინდა მარიამ შენ შეიფარე ჩემი გაზრდილი – აქვითინდა გადია, ყველანი შიშმა და ძრწოლამ მოიცვა.

– მითხარი მოხუცო, ღმერთმა რატომ განირა ჩემი ასული, ჩემმა საბრალო უმანკო შვილმა, ნეტა ასეთი რა სცოდა ღმერთსა.

– არა, თავად რის ცოდვა-ბრალი, განა თვით ქრისტე იყო ცოდვილი, მან ხალხისათვის იწამა თავი, მან ხომ იცოდა, რაც მოელოდა, მაგრამ წამებას არ მოერიდა, იყო მორწმუნე, მქადაგებელი, ვერ შეუცვალეს მას რწმენა ქველი, ღმერთისგან იყო იგი დაცული, მაგრამ ხომ მაინც გახდა ჯვარცმული. დღეს, კი შენს ასულს მოელის ხალხი, მან უნდა მისცეს მათ შვება-მადლი. ღმერთმაც ამიტომ მას დააბედა, რომ იყოს ხალხის მზრუნველი დედა, ასე ინება უფალმა ღმერთმა.

– მაინც რა ბედი მიუზღო ღმერთმა ჩემს საბრალო შვილს – შეევედრა გურიელი მწირს – ახლა ის უბრალო

მოხუცი კი არ იყო, ღმერთი იყო, ცხოველი ღმერთი კაცის წინაშე მკაცრი განაჩენის მაუწყებლად მოსული.

– ალბათ, გაუწყათ ჩემი ნათქვამი გადიამ მაშინ რაც დავაბარე – როცა ასული გაჩნდა თქვენს სახლში, ანგელოზები მოფრინდნენ ციდან და როგორც ყველა კაცს აქვს წერა, თქვენს ასულს მაშინ ეს დენერა

ულამაზესი იქნები ბრძენქალა, ქალო ნატაო, მაგრამ დედითა ობლობა შენ შუბლზე დაგეხატაო, ხალხს ეყვარები, ლეგენდებს შენზე შეთხზავენ, ნატაო, მაგრამ ტოლ-სწორებს დაჰკარგავ, შენ იქ არა გაქვს ბინაო,

დაჰკარგავ მამის მამულებს, ვერ აღზევდები შინაო.

– ვაიმე, შვილო! წამოიძახა შემინებულმა გურიელმა და საბრალო ცრემლმორეული თვალებით დაუნყო ცქერა ხან გადიას, ხან სახლოთუხუცესს და ასე სათითაოდ ყველა იქ მყოფს. თითქოს ყველას ევედრებოდა მიშველეთ, მირჩიერთ რამეო.

გადიამ ვერ გაუძლო მამის ასეთ გამწარებულ მზერას და გულამომჯდარი აქვითინდა.

– იყურე, ჩუმად იყავ, ნუ სტირი, განა არა გყვავს ჩვენი ასული – იმედიანი ტონით დაამშვიდა სახლოთუხუცესმა გადია.

– ეგ რა ყოფნაა, თუ ვერ ვიხილავ ჩემს სათნო ასულს, ჩემს ცის ანგელოზს.

– იქნება ცდები ბებერო, დიდი მთავრის წინ სიფრთხილე გმართებს – მკაცრად წარმოთქვა მოურავმა და მწირს თვალებში რისხვით ჩახედა.

– ეგ სიმართლეა, მე არ ვცდები, დამშვიდებით უპასუხა მისანმა და სავარძლიდან წამოდგა, წასასვლელად მოემზადა, მოურავი ბერის განზრახვას მიხვდა, მკლავეში ხელი ჩუმად ჩაავლო და სავარძელში ჩასვა.

– მერე ვის უნდა მწარე სიმართლე, განა ამისთვის ჩამოგიყვანე! ცრუ მკითხავივით მოყევი ჭორებს, თითქოს ზეციდან ხარ მოფრენილი, მამა ღმერთისგან მოვლინებული.

– მე ჩემი ნებით აქ არ მოვსულვარ, შენ თავად ძალით წამომიყვანე, რომ ბატონისთვის მეთქვა ყოველი, რასაც ღალადებს ხატი ცხოველი. ისევ წამოდგა მწირი, ისევ დააპირა წასვლა, ამჯერად გურიელმა შეაჩერა ბერი, იგი მორჩილი შეგირდივით მივიდა ბერთან.

– ყური დამიგდე კეთილო კაცო, ისმინე ჩემი ხვეწნა-ვედრება, თუ გინდა მოგცე ოქრო და ვერცხლი, მოგცე მამული, სახნავ-სათესი, მიმკითხავე, მომეცი შველა, იქნებ მისნობით, ან სხვა თილისმით, მითხრა, სად არის ჩემი ასული, რომ ერთხელ მაინც შევავლო თვალი, ვნახო, სად არის, რა მოუვიდა, ვინ აურია მას გზა და კვალი.

– მე მკითხაობა არ შემიძლია, არა მაქვს ამის ცოდნა-უნარი.

– სტყუი ბებერო – წასასვლელად გამზადებულ მისანს წინ გადაუდგა მოურავი – შენ არ იყავი დაბლა ვაკეში მურზაყან ჯაყელს რომ უმკითხავე, შენი ნათქვამი ხომ უმალ ახდა, შენ ნათქვამს მისი ვაჟი ვერ აცდა და მოაკვდინა იგი ძმისწულმა, ბილნმა ყაჩაღმა, ბოროტმა სულმა.

მოურავის სიტყვებზე მისანი შეკრთა, თითქოს რალაც დიდ დანაშაულზე შეასწრესო, სწრაფად წამოდგა სავარძლიდან და კარებისაკენ გაემართა, ახლა კი მას წინ გადია გადაელობა.

გაგრძელება მომდევნო ნომერში

ნიკოლოზ თოიძე

# ალფროვანელი ვარ ოზურგეთის თეატრით

ოზურგეთის ალ. წუნუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრში რეჟისორმა გურამ ბრეგაძემ ორი სპექტაკლი განახორციელა. ესენია საბავშვო წარმოდგენები „ჯადოსნური ზღაპარი“ და მიხეილ მოსულიშვილის ტრაგი-ფარსი „ბონიფაციუსი.“ ორივე სპექტაკლმა მასწავლებლის დიდი მონონება დაიმსახურა. გურამ ბრეგაძეს სხვადასხვა თეატრებში დადგმული აქვს სპექტაკლები: კარლოს გოროსტისას „სუპერ მელიოდა,“ მარიუს მაიენბურგის „ცივი ბავშვი,“ მაქს ფრიშის „ბიდერმანი და ცეცხლის ნამკიდებლები,“ შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ და სხვა. შესრულებული აქვს როლები: მარის უფროსი – შალვა დადიანის „გუშინდელი,“ იაკობ ვინდიში-პატრიკ ზიუსკიდის „კაფე რინი“ და სხვა.

ანტონ ჩეხოვის სახელობის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, დასახელდა საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორად სპექტაკლისთვის „სუპერ მელიოდა.“ ასევე გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრში გამართულ კომედიის ფესტივალზე წარმოდგენილი მოზარდმასწავლებელთა თეატრში განხორციელებული სპექტაკლი „სამეფო ძროხა“ საუკეთესო რეჟისორულ ნამუშევრად დასახელდა.

**– გურამ, თქვენ ხელოვანების ოჯახში დაიბადეთ, ალბათ ამან განაპირობა თქვენი თეატრისადმი სიყვარული და დაინტერესება.**

– დიახ, ჩემი მშობლები ვაჟა ბრეგაძე და ნელი შურღია ცნობილი თეატრმცოდნეები გახლავთ. ბუნებრივია, თეატრისადმი სიყვარულის გაღვივებაში ოჯახმაც მოახდინა ზეგავლენა. ბავშვობიდან თეატრალურ სამყაროში ვტრიალებდი. ყველა გამოჩენილ მსახიობს ვიცნობდი, სისტემატურად

დავდიოდით სპექტაკლებზე. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავაბარე საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტში, იმ წელს სარეჟისოროზე არ იყო მიღება და სამსახიობო ფაკულტეტზე ჩავირიცხე შალვა განერელიას ჯგუფში მოვხვდი. ბატონი შალვა გენიალური პედაგოგი და თავისი საქმის პროფესიონალი იყო. იგი სტუდენტებს მისთვის ჩვეული ოსტატობით თეატრისადმი ზემოქმედებულ სიყვარულს უღვივებდა. სამსახიობოს დამთავრების შემდეგ ჩავაბარე სარეჟისორო ფაკულტეტზე, ჯგუფის ხელმძღვანელი გახლდათ გიზო ჟორდანიას. მოგეხსენებათ ბატონი გიზო ნოვატორი რეჟისორია, მისგან ბევრი რამ ვისწავლე. ჩემთვის დიდი ბედნიერება, 8 წლის მანძილზე ვმუშაობდი ისეთ დიდი მესტროსთან როგორცაა ბატონი რობერტ სტურუა. ვიყავი ამ გენიოსი რეჟისორის ასისტენტი და თანარეჟისორი.

**– თქვენ ძალიან მცირე დროში ოზურგეთის თეატრში ორი საინტერესო სპექტაკლი განახორციელეთ, რას იტყვით გურულ ხელოვანებზე?**

– მე პირველად მომეცა საშუალება, რეგიონში დამეგა სპექტაკლი. მინდა გითხრათ, რომ ალფროვანებული ვარ ოზურგეთის თეატრით. საოცრად საინტერესო შემოქმედებით ჯგუფთან მომიწია მუშაობა. ძალიან ნიჭიერი ხალხია გურულები. უზომოდ კმაყოფილი ვარ მსახიობებით. ოზურგეთის თეატრს ასევე ჰყავს არაჩვეულებრივი ხელმძღვანელები. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ბატონი ვასიკო ჩიგოგიძე. სწორედ მან მოგვინვია აქ ორი ახალგაზრდა რეჟისორი და მოგვცა საშუალება სარისკო სპექტაკლებით ახალი სტილისტიკა



გურამ ბრეგაძე

შემოგვეტანა თეატრში. ამით მრავალფეროვანი რეპერტუარი იქმნება, მსახიობები ოსტატდება, მასწავლებელი იზრდება. ახლახან წარმატებით წარდგა დასი თეატრალურ ფესტივალზე, რომელიც ფოთში ჩატარდა, მისარია, რომ ჩემი მეგობრის ლევან ხვიჩიას მიერ დადგმულმა სპექტაკლმა „აურზაური არაფრის გამო“ თეატრმცოდნეებისა და მასწავლებლის დიდი მონონება დაიმსახურა. ოზურგეთის თეატრის წარმოჩენაში, კულტურის ამ კერის აღორძინებაში, სწორედ ბატონ ვასიკოს მიუძღვის უდიდესი წვლილი და მას ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ.

ოზურგეთის თეატრს ასევე ჰყავს არაჩვეულებრივი დირექტორი ბატონი ზაზა ჯინჭარაძე. იგი თეატრზე ფანატიკურადაა შეყვარებული, ამის შედეგია ის, რომ სპექტაკლზე მუშაობისას მაქსიმალურადაა ჩართული შემოქმედებით პროცესში. მუდამ მსახიობების გვერდითაა, მათი ცხოვრებით ცხოვრობს. ჩემი აქ ჩამოსვლის დღიდან ეს ადამიანი არ მომშორებია და ნებისმიერი შემოქმედებითი თუ ტექნიკური პრობლემის მოგვარებაში თავდაუზოგავად მუშაობდა.

ასე რომ, ძალიან ბედნიერი ვარ, ოზურგეთში გავიცანი ასეთი ნიჭიერი, შრომისმოყვარე, ლალი იუმორის მქონე ადამიანები და მჯერა, რომ ისინი კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევენ და ოზურგეთის თეატრი ერთ-ერთი ძლიერი კულტურის კერა იქნება საქართველოში. მოხარული ვიქნები, თუ კიდევ მომეცემა ამ არაჩვეულებრივ შემოქმედებით ჯგუფთან მუშაობის საშუალება.

წარმატებებს გისურვებთ. მაღლობა ოზურგეთს საუკეთესო მასპინძლობისთვის.

ქეთევან კუკულავა



# საქართველო მსოფლიო ხალხური მუსიკის დედაქალაქია

ალან ლომაქსი ამერიკელი მწერალი, მეცნიერი, პოლიტიკოსი. ისტორიკოსი, რეჟისორი უპირველესად ცნობილია, როგორც უდიდესი ფოლკლორისტი და ხალხური მუსიკის მკვლევარი და კოლექციონერი. მას აქვს წარმოთქმული ისტორიული ფრაზა – „საქართველო მსოფლიო ხალხური მუსიკის დედაქალაქია“. სწორედ ალან ლომაქსის რჩევით გაგზავნეს ამერიკელებმა კოსმოსური ხომალდით, დედამიწის ცივილიზაციის გასაცნობად, ბეთჰოვენის მე-9 სიმფონია, ჩიტების ჭიკჭიკი და „ჩაკრულო“ ილია ზაქაძისა და როსტომ საგინაშვილის შესრულებით.

ეროვნული მუსიკალური ენის იმ სტილურ თავისებურებებს შორის, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ქართული მუსიკალური აზროვნების თვითმყოფალობასა და ნაციონალურ იერსახეს, უპირველეს ყოვლისა, მისი მრავალხმიანობა უნდა დასახელდეს. ცხადია, მრავალხმიანი მღერა მარტო ქართველებისათვის არ არის დამახასიათებელი, მაგრამ ქართულ ხალხურ მუსიკაში სპეციალისტთა ყურადღებას იქცევს მრავალხმიანობის არაჩვეულებრივად მრავალფეროვანი ფორმების არსებობა და თითოეულ მათგანში ხმათა ურთიერთკავშირის დროს წარმოქმნილი ურთულესი ჰარმონიული, თუ კონტრასტული შეხამების არაორდინალურობა. ბ. ასაფიევის სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართული მრავალხმიანობა «განსაცვიფრებელ და ქართველი ხალხის მუსიკალური გენიის წინაშე ქედმოხრის შთამაგონებელ მოვლენად» აღიქმება. შეიძლება ითქვას, მრავალხმიანობა და გუნდურობა ქართული მუსიკალური აზროვნების ყველაზე უფრო ნიშანდობლივი თავისებურებებია.

ქართული მრავალხმიანი სიმღერები (ორ, სამ და ოთხხმიანი) დიდი ფაქტურული მრავალფეროვნებით ხასიათდება. შემოვიფარგლებით ქართული მრავალხმიანობის მხოლოდ ძირითადი ფორმების ზოგადი აღწერით.

ქართულ ხალხურ მუსიკაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა ჰომოფონიური მრავალხმიანობაა. აქ თანხლების ფუნქციას გაბმული – ბურდონული ბანი, ან მრავალჯერადად გამეორებადი მოკლე ინტონაციური ფორმულა ასრულებს. რაც შეეხება მაღალ, მელოდიურ ხმებს, იგი ხან ურთიერთმონაცვლეობის, ხან პარალელიზმის, ხან კი პოლიფონიური (კონტრასტული) შეხამების პრინციპებზეა აგებული. ჰომოფონიური მრავალხმიანობის ფორმა ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებისთვის, განსაკუთრებით კი ქართლ-კახური მუსიკალური დიალექტებისთვის არის დამახასიათებელი.

დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ კალთებზე შეფენილი ეთნიკური ჯგუფების – რაჭველებისა და განსაკუთრებით სვანების მეხსიერებამ შემოინახა მრავალხმიანობის არქაული და ორიგინალური ფორმა, სადაც სამივე ხმის მოძრაობა რიტმული სინქრონიზმითა და კომპაქტური ყდერადობით ხასიათდება. ასეთი ფაქტურა გამოკვეთილი ვერტიკალური თანაყდერადობების – აკორდული კომპლექსების მოძრაობით გამოირჩევა.

მრავალხმიანობის აღნიშნული ფორმა დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა მუსიკალური დიალექტისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ რიგი მიზეზების გამო



ალან ლომაქსი

ბარის რაიონებში (იმერეთი, სამეგრელო, აჭარა, გურია) მან გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა – თითოეულმა ხმამ მეტი დამოუკიდებლობა შეიძინა და საკუთარი მელოდიური ნახაზი შექმნა. ხმების კონტრასტულმა ურთიერთდაპირისპირებამ კოლორიტული თანაყდერადობები წარმოქმნა, რომელთა უდიდესი ნაწილიც, კლასიკური მუსიკის თეორიის თვალსაზრისით, დისონანსებს წარმოადგენს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას გურული მუსიკალური დიალექტი იმსახურებს, რომელიც მრავალი სპეციალისტის მიერ ხალხური პოლიფონიის მწვერვალადაა მიჩნეული. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ზოგიერთი გურული სიმღერის საოცრად ორიგინალური მაღალი ხმა, რომელიც «კრიმანჭულის» სახელწოდებითაა ცნობილი. იგი

ფალცეტით სრულდება და ალპურ Iodeli-ს გვაგონებს. კრიმანჭულთ ალფრთოვანებული ი. სტრავინსკი აღნიშნავდა: iodeli – რომელსაც საქართველოში კრიმანჭულს ეძახიან, საუკეთესოა მათ შორის, რაც კი ოდესმე მომისმენია.

ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში ხშირია შემთხვევა, როდესაც მრავალხმიანობის სხვადასხვა ფორმათა ნიშანთვისებები ორგანულადაა ერთმანეთთან შერწყმული. მრავალხმიანობის ასეთ ფორმას სინთეზურს უწოდებენ.

ისტორიულ, გეოგრაფიულ, სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა გარემოებათა გამო, საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარეობდა ზოგადქართული მუსიკალური ფუძე-ენის დიფერენციაცია, რამაც განსხვავებული მუსიკალური დიალექტების წარმოქმნასთან მივიყვანა. ქართული მუსიკალური ფოლკლორისტიკა აღმოსავლეთ საქართველოში შემდეგ დიალექტებს გამოჰყოფს: ხევსურულს, ფშაურს, თუშურს, მთიულურ-გუდამაყურულს, მოხურს, ქართლურს, კახურსა და ინგილოურს; დასავლეთ საქართველოში – რაჭულს, სვანურს, ლეჩხუმურს, იმერულს, გურულს, მეგრულსა და აჭარულს, ხოლო სამხრეთ საქართველოში – მესხურ-ჯავახურს, შავშურსა და ლაზურს. ყოველ მათგანს საკუთარი ინტონაციური სამყარო, სტილური თავისებურებები, სამემსრულებლო მანერა და მრავალხმიანობის ესა თუ ის ტიპი ახასიათებს. ლოკალური თავისებურებების შემუშავებით თითოეულმა მუსიკალურმა დიალექტმა გაამდიდრა

და გაამრავალფეროვნა ეროვნული მუსიკალური საგანძურის. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ დიალექტებს შორის, როგორც მუსიკალურ-ენობრივი, ისე სტილისტიკის თვალსაზრისით, საკმაოდ მკვეთრი განსხვავებაა, დაკვირვებული მსმენელი ადვილად შეამჩნევს მათი კილო-ჰარმონიული ნყოფისა და ინტონაციური საქცევების ერთი ფუძიდან წარმომავლობას.

დიალექტურმა თავისებურებებმა და ჟანრულმა სიმდიდრემ ქართული სიმღერის კილო-მელოდიური მრავალფეროვნება განაპირობა. სიმღერის იდეურ და შინაარსობრივ მხარისათვის, ემოციურ სამყაროსათვის სრულიად უცხოა სენტიმენტალიზმი და პესიმიზმი. ქართულ ხალხურ სიმღერაში ვაჟკაცური, რაინდული სანყისი ბატონობს. ზემოთაღნიშნულს ეხმიანება ის ფაქტიც, რომ ქართული ვოკალური კულტურისათვის უაღრესად ტიპურია ერთგვაროვანი-ძირითადად მამაკაცთა-შესრულება.

მდიდარია ქართული ხალხური მუსიკის ჰარმონიული ენაც. ხმათა მელოდიური მოძრაობის შედეგად წარმოქმნილი ჰარმონიული კონსტრუქციები ინტერვალური აგებულების პრინციპით მკვეთრად ემიჯნებიან კლასიკურ მაჟორ-მინორულ სისტემას. თანაჟღერადობების ინტერვალური აგებულების მრავალფეროვანი, კომპაქტური და კოლორიტული ჟღერადობა ჰარმონიულ ენას სრულიად ორიგინალური ნაციონალური ელფერი შესძინა.

მრავალფეროვან და მაღალგანვითარებულ მოდულაციურ სისტემებს ქართულ ხალხურ მუსიკაში, ფორმაქმნადობის თვალსაზრისით, გამორჩეული ადგილი უჭირავს.

მათი სრულქმნილი და დახვეწილი ფორმები ქართული ხალხური მუსიკალური აზროვნების განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებენ. მოდულაციური სისტემები და მამოდულირებელი კადანსები ქართულ სიმღერას მკაფიოდ გამოარჩევს ხალხური შემოქმედების ზოგადი პრინციპებისგან, რის გამოც ფენომენოლოგიურ თავისებურებად წარმოჩნდება.

აგრეთვე არაორდინარულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ სხვადასხვა ფაქტორების გამო ჩამოყალიბებული ისეთი სასიმღერო ფორმები, რომლებიც მაღალგანვითარებულ ნიმუშებში, განსაკუთრებით კი სუფრულ და სამ და ოთხხმიან ნაღურ (შრომის) სიმღერებში ვხვდებით. ეს ფორმები ინტენსიური დინამიურობით, თემატური ბირთვის ვარიანტულ-ვარიაციული სახეცვლით, ციკლურობითა და ნაწილთა კონტრასტულობით გამოირჩევა და მასშტაბურ მუსიკალურ ნაგებობებად წარმოგვიდგება.

ქართველთა მუსიკალური სააზროვნო სისტემა ოდითგან მრავალხმიანი იყო. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ წარმართობის ჟამს ჩასახულმა საერო მრავალხმიანმა მუსიკამ ქართულ ქრისტიანულ საგალობელში მრავალხმიანი ფორმების ჩასახვა-განვითარებაზე უდიდესი გავლენა იქონია. სრულიად მართებელია მეცნიერთა ვარაუდი, რომ საქართველო არა მარტო მართლმადიდებლურ, არამედ მთელ ქრისტიანულ სამყაროში ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც საეკლესიო მუსიკაში მრავალხმიან გალობას დაუდო საფუძველი.

ალან ლომაქი

## გურული მელოდია უნიკალურია

პერფორმანსული პროექტისთვის გურული ხალხური სიმღერების ჩასანერად და შესასწავლად ჩოხატაურში ფრანგი ხელოვანები ჩამოვიდნენ. ესენი არიან: ფრანცუა შინიო, სელია სტრომი, ტომა გონსალეზი და ვიქტორ რუბანი. მათ გურული სიმღერის შესწავლაში ეხმარება ლოტბარი ჯემალ ნაკაშიძე. რომელიც აღფრთოვანებულია ამ ნიჭიერი ადამანების შრომისმოყვარეობითა და უდიდესი

სიყვარულით გურული სიმღერებისადმი. მათ რეპერტუარში 20-მდე ქართული ხალხური სიმღერაა, ისინი დიდი მონდომებით სწავლობენ კახურ, სვანურ და სხვა კუთხის სიმღერებს. ეამაყებათ, რომ შეუძლიათ, შეასრულონ ისეთი უნიკალური სიმღერები როგორიცაა: „მასპინძელსა მხიარულსა,“ „ალილო,“ „შავი შაშვი ჩიოდა,“ „ხასამბეგურა“ „ნინ წყარო“ „ცხენოსნური“ „ლაშქრული,“ „ადგომასა შენ-

სა,“ „ლილე,“ „ორიდელა,“ „დიდება და ღმერთს დიდება,“ „შენ ხარ ვენახი“ და სხვ.

– ვიქტორ რუბანი: ჩვენ ვამზადებთ ქორეოგრაფიულ პროექტს, სადაც ცეკვები შესრულდება ქართული ხალხური მელოდიის თანხლებით. აქ ჩამოვედით იმიტომ, რომ ზუსტად შევიგრძნოთ უნიკალური გურული მელოდია და შემდეგ ის მოქმედებაში მოვიყვანოთ. ჩვენს პერფორმანსს განსაკუთრებით უხდება სვანური და გურული მელოდიები. იმედია, რომ სალამო, რომელიც პარიზში ჩატარდება მაყურებლის დიდ მონონებას დაიმსახურებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის უნიკალური საზნარეულო, რომელიც გურულებს გაქვთ. ჩოხატაური ძალიან მოგვწონს, აქ კიდევ გენწევით. ჩვენ ასევე მადლობას მოვასხენებ ბატონ გიორგი უმიკიშვილს, რომლის რეკომენდაციით ჩამოვედით საქართველოს ამ ლამაზ პატარა კუთხეში. თქვენ ყურნალს კი მადლობა ყურადღებისთვის.

ქეთევან კუკულავა



# ნითელ ნიბნში უსული პონტოს მუხის ხის კორომები



ლაშა მოისწრაფიშვილი

საქართველოს მცენარეთა სამყარო მდიდარი და მრავალფეროვანია. იგი დაახლოებით 13 300 სახეობას ითვლის. გურიის მაღალი ქედები, მათი კალთები და განშტოებები ტერიტორიას იცავენ სამი მხრიდან კონტინენტური კლიმატის ჰაერის მასების შემოჭრისაგან, ხოლო მეორე მხრივ ხელს უწყობს თბილი შავი ზღვის კლიმატური გავლენის გავრცელებას. კურორტ ბახმაროს შესასვლელთან არსებული 2225 ჰა მიწის ფართობზე გადაჭიმულია პონტოს მუხის ხის კორომები. პონტოს მუხა ნითელ ნიბნში შეტანილი, გადაშენების პირას მყოფი მცენარეა და მათ დაცვა სჭირდება.

გურია უნიკალური ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევა, თუმცა საზოგადოებაში დაცული ტერიტორია აკრძალვასთან ასოცირდება.

ყურნალ გურია REGION-მა მედიასივრცეში პირველად გაავახიზინა არსებული ტერიტორიის საერთაშორისო აღიარების საკითხი. ლაშა მოისწრაფიშვილმა დეტალურად ახსნა, სხვადასხვა კატეგორიებად დაყოფილ დაცულ ტერიტორიას ადგილობრივებისთვის რა დადებითი ფაქტორების მოტანა შეუძლია, ასევე რომელია ყველაზე ხელსაყრელი.

– მკითხველებს აუხსნათ რა არის დაცული ტერიტორია?

– მთავარი დანიშნულებაა არსებული ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა იყოს დაცული. გვაქვს სხვადასხვა სახის კატეგორია – ნაკრძალი, ეროვნული პარკი, აღკვეთილი, ბუნების ძეგლი, დაცული ლანდშაფტი. ISN-ის გარემოს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების დაცვით, ვქმნით დაცულ ტერიტორიას. პირველად 103 წლის წინ შეიქმნა ლაგოდეხის ნაკრძალი. 1966 წელს ამოქმედდა ახალი კანონი – „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“. მართვის სისტემა უფრო მრავალფეროვანი გახდა. 2007 წელს მიღებულ კანონთან შესაბამისობაში დავინყეთ დაცული ტერიტორიის რეკლასიფიკაცია. ეროვნული პარკი ერთ-ერთი მოქნილი სამართავი კატეგორიაა.

– რა განსხვავებაა ეროვნულ პარკსა და აღკვეთილ შორის?

– ყველა დაცული ტერიტორია იმართება მენეჯმენტის გეგმით, სადაც განისაზღვრება ზონირებები. მეცნიერული შესწავლის შემდეგ მენეჯმენტის გეგმა ადგილობრივებთან შეთანხმებით იწერება. კანონში არის ჩანერილი დაცული ტერიტორიის შექმნაში ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. ისინი ფიქრობენ, რომ დაცული ტერიტორია მარტო ნაკრძალია და იქ შესვლა შეზღუდულია, რაც მცდარი ინფორმაციაა. დღესდღეობით, აქტიურად ვართ ჩართული ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობაში. ეროვნული პარკი ვცდილობთ იმ ტერიტორიაზე შევქმნათ, რომელიც

აკმაყოფილებს დაცული ტერიტორიის მოთხოვნებს. დაცული ტერიტორია არის კანონის აღმასრულებელი უწყება, რომელიც იცავს ტერიტორიას, რომ მდგრადი სარგებლობა მოხდეს, არ გადაშენდეს ის სახეობები, რომლებიც ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეა. ტყეებში მეჯოგობას ეწევიან, ჰყავთ კამეჩები, ამოჰყავთ ყველი, ის გარემო საუკუნეების მანძილზე ადაპტირებულია. დაცული ტერიტორია ტრადიციების დაცვას უწყობს ხელს.

– ჩვენი მიზანია ამ პროცესში ყურნალი ჩაერთოს.

– ძალიან კარგი, პონტოს მუხით დავინყოთ, ვნახოთ, ხალხი როგორ გამოეხმაურება. როცა ბუნების ძეგლი იქმნება, ეს საერთაშორისო აღიარებაა. ბევრი ტურისტი ჩამოვა და იმ ადგილებს დაათვალიერებს. ბახმაროს ახლოს პონტოს მუხის კორომები მეცნიერების მიერ მრავალჯერ იქნა შესწავლილი. შერჩეულია ადგილი და სავარაუდო საზღვრები დაცული ტერიტორიის შესაქმნელად. ჯგუფის გასვლა აგვისტოს დასაწყისში არის დაგეგმილი. ადგილზე უნდა მოხდეს შესწავლა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებთან მოენწყობა შეხვედრები. კომისია იმსჯელებს რომელ კატეგორიას მივაკუთვნოთ. გადამწყდება ეს ბუნების ძეგლი იყოს, თუ აღკვეთილი. შემდეგ დაიწყება კანონპროექტის შემუშავება. ზოგადად გურია ეკოკორიდორში ჯერ კარგად არ არის შესწავლილი.

– რა დადებითი ფაქტორია ჩოხატაურისთვის იმ მონაკვეთის დაცულ ტერიტორიად გამოცხადება?

– მისი შექმნის ერთ-ერთი მიზანია ტურისტული აქტივობების ფართო სპექტრის შექმნა – სალაშქრო, საცხენოსნო ბილიკების მოწყობა, საკემპინგე, საპიკნიკე და ლამის სათევი ადგილები. სპეციალური ბილიკების შექმნის შემდგომ ვიზიტორებს ბუნებისა და ლანდშაფტების დათვალიერების საშუალება ექნებათ. გაჩნდება დამატებითი სამუშაო ადგილები, შეიქმნება ახალი საოჯახო სასტუმროები, განვითარდება კვების ობიექტები, ადგილობრივი პროდუქციის წარმოება და გაყიდვა, რაც ადგილობრივების შემოსავლების ზრდას შეუწყობს ხელს. ვინც გურიაში დაცული ტერიტორიის დამხმარე ზონაში ცხოვრობს, მათი საყოფაცხოვრებო პირობები გაუმჯობესდება. შემცირდება მაღალი მთის მცხოვრებლების მიგრაცია. მეც გურული ვარ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ არჩეულიდან. გული მწყდება, გურიაში არცერთი დაცული ტერიტორია რომ არ გვაქვს. ყველა პროცესში ადგილობრივები უნდა ჩაერთონ, ასე უფრო გაუადვილებათ დაცული ტერიტორიის სიკეთე დაინახონ.

ლელა სურმავა



# ერისთავება პირველად შექმნეს ჩის პირველად



ლონდონის უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის სკოლის ბრიტანელი პროფესორი, ფიტოქიმიის სპეციალისტი სიმონ გიბსონი აღნიშნავს, რომ დღეში სამი ფინჯანი ახალდაყენებული ჩაი, ადამიანს უამრავი დაავადებისაგან იცავს და ჯანმრთელობას უნარჩუნებს. ხარისხიანი ჩაის ბუჩქები ინდოეთსა და ჩინეთში ციკაბო მთებზე ტერასებადაა გაშენებული. ჩაის მხოლოდ ქალი კრეფს, ტრადიციულად ხელით და აუცილებლად განთიადზე. დღემდე ჩაის ჭურჭლად ჩინური თიხისაგან დამზადებულ ფაიფურის ჩაიდანს მიიჩნევენ. ჩინეთში ამბობენ: – ახალი ჩაი სიცოცხლის ბალზამია, ღამენათევი კი – გველის შხამი.

ჩაის წარმოშობაზე მრავალი ლეგენდა არსებობს და ყველა ამტკიცებს, რომ ამ კულტურის სამშობლო ჩინეთია. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თქმულების თანახმად, ძველ ჩინეთში ცხოვრობდა ბრძენი ბერი დარამა. იგი დღეებს მარხვასა და ლოცვაში ატარებდა. ერთხელ მედიტაციისას, ბერს თვით ბუდა გამოეცხადა. ასეთი სასწაულის ხილვით გაოცებულმა დარამამ გადანყვიტა, იმ დღიდან თვალმოუხუჭავად ელოცა. ასეც მოიქცა, მაგრამ ერთ დღეს ველარ გაძლო, ქუთუთოები დაუმძიმდა და ჩაეძინა. ყველაფერში ჩემი ქუთუთოებია დამნაშავე, – თქვა ბრძენმა, ყველა წამნამი ამოიძრო და მიწაზე დაყარა. იმ ადგილას ჩაის ბუჩქი ამოიზიდა. მას შემდეგ ბუდისტ ბერებს ურჩევდნენ, მედიტაციისას ჩაი ესვათ, რათა არ ჩასძინებოდათ.

ჩინელები მიხვდნენ პირველად, რომ ყველაზე კარგი ჩაი ამ მცენარის ნორჩი, ქორფა ფოთლებისგან მზადდებოდა. ამიტომ ეწოდა სასმელს „ჩა“, რაც ჩრდილო-ჩინურ დიალექტზე „ნორჩ ფოთოლს“ ნიშნავდა. სიტყვა

„ჩაი“ სახმელეთო, კონტინენტური გზით გავრცელდა, როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც – ჩვენ ხომ ჩინეთთან უძველესი სახმელეთო-სავაჭრო აბრეშუმის გზა გვაკავშირებდა.

ევროპაში გავრცელებული ჩაის აღმნიშვნელი სიტყვა „თი“ კი ჩინეთის სამხრეთ დიალექტზე ნიშნავდა ჩაის და რადგან ევროპელები ძირითადად ჩინეთის სამხრეთში სვდებოდნენ ზღვით, ამიტომ ჩაის სახელი „თი“-ც სამხრეთული დიალექტიდან აიღეს.

მწვანე ჩაის სამშობლო ჩინეთია და იგი პირველად ძვ.წ. აღ. III ათასწლეულის ჩინურ ქრონიკებშია მოხსენიებული ჩაის ბუჩქების წარმოშობის შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს. როგორც წესი, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ იგი ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთ რაიონში იზრდებოდა, იუნანას, გუინ-



ჯოუსა და სეჩუანის პროვინციებში; სხვები ტიბეტის ზეგნის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონს და, საზოგადოდ, ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთს ასახელებდნენ, თუმცა ზოგი ინდოეთსაც მიიჩნევს ჩაის სამშობლოდ.

თავიდან ჩაის მხოლოდ მმართველები და სასულიერო პირები მოიხმარდნენ, ჩაის აქტიურად სმა კი ჩინეთში V საუკუნეში დაიწყო. X საუკუნისთვის ჩაის უკვე ნაციონალური სტატუსი ჰქონდა, დაიწყო მისი საზღვარგარეთ გატანაც და ჩაით ვაჭრობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ჩინეთიდან შევიდა იაპონიაში ჩაის ცერემონიალიც, ტრადიცია, რომელიც დღეს, როგორც წესი, ამომავალი მზის ქვეყანასთან ასოცირდება.

დიდი ხნის მანძილზე ჩაი მხოლოდ აზიის მცხოვრებლების სასმელად ითვლებოდა. ევროპაში იგი მხოლოდ

XVI-XVIII საუკუნეებში დამკვიდრდა, პირველ რიგში, ჰოლანდიელებისა და პორტუგალიელების მიერ. ნიდერლანდებში საკმაოდ მალე ჩვეულებრივ ამბად იქცა სადილის შემდგომ ჩაის სმა, რაც მალე ატლანტიკის მიღმაც გავრცელდა.

1664 წელს, ლონდონის დიდ ხანძრამდე 2 წლით ადრე, ინგლისელმა ვაჭრებმა მეფეს 2 ფუნტი ჩაი ჩაუტანეს საჩუქრად. მეფის კარმა ღირსეულად შეაფასა ძღვენი, ჩაი ჯერ ფუფუნების საგნად, შემდეგ კი ფართო წრეების საყვარელ სასმელად იქცა. რიგითი მოქალაქეებისთვის ჩაი XVIII საუკუნისთვის გახდა ხელმისაწვდომი ჩაიზე გადასახადის შემცირების შემდეგ და სულ მალე პირველი ჩაის სახლები და კაფეებიც გაჩნდა ლონდონში.

საქართველოში, როგორც ამბობენ, ჩაი პირველად 1770 წელს გამოჩნდა, როცა რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II-მ ერეკლე II-ს სამოვარი და ჩაის სერვიზი აჩუქა. ამის შემდეგ რამდენიმე ათწლეული გავიდა, ვიდრე ვორონცოვი რუსეთის იმპერიაში გასაშენებლად ჩაის ბუჩქს ჩინეთიდან გამოიწერდა. ეს 1833 წელს მოხდა.

პირველი ბუჩქი ყირიმში დაურგავთ, მაგრამ ვერ იხარა და მალე 1840 წელს სოხუმის ბოტანიკურ ბაღში გადმორგეს. სოხუმში ჩაი იხარა და ეს პირველი ნერგი, როგორც ამბობენ, XX საუკუნის 30-იან წლებშიც იყო ბოტანიკურ ბაღში. სოხუმიდან ნერგი ზუგდიდშიც წაუღიათ, დადიანების მამულში, ასევე ოზურგეთის საცდელ სანერგეში, რომელსაც იაკობ მარი მზრუნველობდა, ვორონცოვის ბრძანებით. მარის რჩევით ჩაის ბუჩქი ოზურგეთიდან გორაბერეულოში გადაუტანიათ, ერისთავის მამულში. ერისთავმა საქართველოში პირველმა



შექმნა ჩაის პროდუქტი, პრიმიტიული წესით დაამუშავა იგი და ტფილისში გამართულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზეც გაიტანა 1864 წელს.

ამ დროს უკვე დასმული იყო საკითხი რუსეთის იმპერიაში, კერძოდ კი შავი ზღვის სანაპიროზე, ჩაის გაშენების თაობაზე. 1872 წელს გამოიწერეს სპეციალისტი და მასთან ერთად – ჩაის ნერგებიც. 1872 წელს ნერგები ხელმეორედ გამოიწერეს, ამჯერად ხანკოუდან, მაგრამ ყინვების გამო ჩაის გზაში დაზიანება და საქართველოში ჩაის კულტურის გავრცელებაზე ზრუნვა დროებით შეჩერდა.

1885 წელს ინჟინერ-პოლკოვნიკმა სოლოვცევმა ჩაის თესლი და ნერგები ჩინეთიდან გამოიწერა და ეს მცენარე ჩაქვის სადგურის ახლოს 1,5 ჰექტარზე გააშენა.

1900 წელს საქართველოში უკვე 23 საცდელი ნაკვეთი იყო. 1925 წელს კი საქართველოში ჩაის პლანტაციები უკვე 1292 ჰექტარს მოიცავდა.

ჩაის უნიკალური ქიმიური შემადგენლობა აქვს, ახალმონყვეტილ

ფოთოლში 75%-ი წყალია, მისი გამოშრობის შემდეგ წყლის რაოდენობა მხოლოდ 3-4%-ი რჩება. ფოთოლი შეიცავს წყალში ხსნად და არახსნად ნივთიერებებს. არახსნადია მცენარის უხეში ქსოვილები, ცელულოზა, პროტეინი, ცხიმები, ქლოროფილი, პიგმენტები, პექტინები და სახამებელი. ხსნადი ნივთიერებების სიაში პოლიფენოლი, შაქარი, ამინომჟავები, მინერალები და კოფეინი შედის.

ჩაის დამუშავება ხელოვნებაა, ამ პროცესში ყალიბდება მისი გემო და მახასიათებლები. გადამუშავებისას უნდა გადაწყდეს, რა სახის ფერმენტაცია (დაჟანგვის) პროცესი უნდა გაიაროს ჩაის ახალმოკრეფილმა ფოთოლმა.

დამუშავების მიხედვით ჩაი სამ კატეგორიად იყოფა:

არაფერმენტული ჩაის მისაღებად ხდება ფოთლის ნაწილობრივი გაცხელება, ანუ მისი ფერმენტაციისას ჩაი ინარჩუნებს ყველა იმ დადებით და სასარგებლო თვისებას, რომლებიც ახალმონყვეტილ ფოთოლს აქვს.

ნახევრადფერმენტულ ჩაის ჩინეთის საზღვრებს გარეთ ვერ ნახავთ. მას შუალედური ადგილი უკავია მწვანე და შავ ჩაის შორის.

ფერმენტული ჩაის ფოთლების ფერმენტაცია ძლიერი გაცხელებით ხდება, ამის გამო მასში შემავალი ცხიმები წყალში იხსნება და ნაყენს მუქ შეფერილობას აძლევს. ფოთოლი კარგავს C ვიტამინის დიდ ნაწილს, ფოსფორს და კალიუმს, სამაგიეროდ იძენს დიდი რაოდენობის გამამხნევებელ ნივთიერებას – ტეინს, რომელიც ტეინის ჟანგბადით მომარაგებას უზრუნველყოფს.

დამუშავების წესისა და ფოთლის ჯიშის მიხედვით, ვიღებთ ჩაის ძირითად სახეობებს – მწვანე ჩაი, წითელი ჩაი, პუერი, ანუ შავი ჩაი და ყვითელი ჩაი.

ეს საკვირველი სასმელი სხეულს მხნეობასა და ენერგიას მატებს, სულს კი სიმშვიდესა და აღმაფრენას უნარჩუნებს.

ნატალია შარაშიძე

## ონკოლოგიის მიერ უმჯობესებული უნიკალური ჩაი

უნიკალური რეცეპტი სასარგებლოა მთელი ორგანიზმისთვის. გთავაზობთ ონკოლოგების მიერ შემუშავებულ რეცეპტს კიბოს და სხვა მრავალი დაავადების თავიდან ასაცილებლად.

### ინგრედიენტები:

1. 15 ც. მწიფე ლიმონი
2. 12 თავი ნიორი
3. 1კგ. ნატურალური თაფლი
4. 400 გრ. ხორბლის მარცვალი
5. 400 გრ. ნიგოზი

### მომზადების წესი:

დავფქვათ ხორბლის მარცვლები; შემდეგ დავფქვათ ნიორი და ნიგოზი ერთად; დავაქუცმაცოთ (ბლენდერის მეშვეობით) 5ც. ლიმონი კანიანად; შევურიოთ ყველაფერი ერთმანეთში და დავამატოთ დარჩენილი 10 ც. ლიმონის, მხოლოდ წვენი; ბოლოს ვამატებთ თაფლს და ხელახლა კარგად ვურევთ. მიღებული მასა გადავიტანოთ მინის ქილაში, კარგად მოვარგოთ ხუფი და შევდგათ მაცივარში, 3 დღის შემდეგ მზადაა გამოსაყენებლად.

### გამოყენების წესი:

I ვარიანტი – 1-2 ს/კ ჭამამდე 30 წუთით ადრე, დღეში 4 ჯერ; II ვარიანტი (ონკოლოგიური დაავადებების დროს) – 1-2 ს/კ ყოველ 2 საათში.

ეს უნიკალური რეცეპტი სასარგებლოა მთელი ორგანიზმისთვის:

- გულსისხლძარღვთა დაავადებების დროს;



- იმუნური სისტემის გასაძლიერებლად;
- ღვიძლის, თირკმლისა და სასუნთქი გზების გასანმენდად;
- გონებრივი შესაძლებლობების და მეხსიერების გასაუმჯობესებლად;
- ამცირებს გულის იშემიური დაავადებების განვითარების რისკს, არსებობის შემთხვევაში გამოიყენება მათ სამკურნალოდ;
- აღადგენს ორგანიზმის სასიცოცხლო რესურსებს პოსტოპერაციულ პერიოდში;
- უნარჩუნებს სხეულს სიჯანსაღეს, ენერგიას, ახალგზრდულ იერს, ვინაიდან შეიცავს ყველა საჭირო ვიტამინს, მინერალურ მარილებს, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, კარბოჰიდრატებს და ცხიმს.

# უცნობი იარუსების აღმოჩენა ვარძიასში



ვარძია კიდევ უფრო ღირებული და საინტერესო ხდება. არქეოლოგებმა ისტორიული ძეგლის აქამდე უცნობ იარუსებს კომპლექსის დასავლეთ ფერდზე მიაკვლიეს.

ახლად აღმოჩენილი იარუსები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილებისგან სართულების რაოდენობის გარდა სხვა კრიტერიუმებითაც განსხვავდება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ უკვე გამოკვლეული ქვაბულებისგან განსხვავებით, რომელთაც კელიების დანიშნულება ჰქონდა, ახლად აღმოჩენილი დიდი დარბაზები საცხოვრებელ-სამეურნეო ფუნქციას ატარებდა.

განსხვავებულია არქიტექტურაც.

სართულების დამაკავშირებელი შიდა გვირაბები მხოლოდ ახლად გამოკვლეულ ნაწილში აღმოჩნდა. ვარძიის დანარჩენ მხარეში კი იარუსებს შორის ფასადური, დერეფნული კავშირი იყო. კომპლექსის ეს დარბაზიც უნიკალურია. მოზრდილ გამოქვაბულში გვერდიგვერდ 2 თონეა მოწყობილი.

გამონმენდილ ყველა დარბაზს დამატებითი ნაგებობა აქვს, რომელიც პროდუქტის შესანახად გამოიყენებოდა.

ქვაბულების არქეოლოგიური კვლევისას ნაპოვნი მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკის ჭურჭელი, მთლიანად ნამსხვრევებად არის ქცეული, თუმცა შენებებული ისტორია შუა საუკუნეების ყოფაზე გვიამბობს. ფილებისა და ქოთანის ფორმები მარტივია. მარტივი ორნამენტია დატანილი ერთ-ერთ სარქველზე. ფერადი მხოლოდ ფილებია. ცისფერი, შავი და მწვანე, შეიძლება ითქვას, შუა საუკუნის აქაური ქართველების საყვარელი ფერებია. ფილებს XIII საუკუნის ბოლოს სამარხებისა და სახურავების მოსაპირკეთებლად იყენებდნენ.

ძღვევამოსლი თამარის პერიოდის საქართველოს სიმბოლოს ტურისტული მარშრუტი მალე განახლებული ისტორიით შეიცვება.

თაკო მესხი

# ნარკაბეული თოჯინების თეატრი

ამაღლების საჯარო სკოლის პედაგოგმა თამარ დოლიძემ თავისი კლასის მოსწავლეებთან ერთად გამოთქვა მოსაზრება თოჯინების თეატრის დაარსების შესახებ. ამ იდეამ დაინტერესა სკოლის დირექტორი ლალი ყაჭიშვილი. დაიწყო პროექტზე მუშაობა, რომელიც წარადგინეს საფრანგეთის ერთ-ერთ ფონდში „სანსე“, სადაც მოინონეს და პროექტმა გაიმარჯვა.

ასე ჩაეყარა საფუძველი 2011 წელს ამაღლების საჯარო სკოლაში თოჯინების თეატრს. თეატრის რეპერტუარშია სპექტაკლები; „მეგობრობის ძალა“, „ახალი წელი ტყეში“, „ბატის ჭუჭი“, „წითელქუდა“ და სხვ.

ყველა სპექტაკლი დიდი მონდომებით მზადდება. პროექტის ფარგლებში შეიძინეს თოჯინები, ქსოვილები და სხვადასხვა მასალა დეკორაციებისათვის. მოხდა თოჯინების შერჩევა სპექტაკლებისთვის, შეიკერა მათთვის ახალი სამოსი. ამ საქმიანობაში პედაგოგებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართული მოსწავლეები და მშობლები.

სპექტაკლები ძირითადად ხელოვნების პედაგოგის ნანა წიფნივაძის სცენარების მიხედვით მზადდება და პედაგოგ თამარ დოლიძესთან ერთად დგამს. დეკორაციები მზადდება ედიშერ თავაძისა და მოსწავლეების მიერ. სპექტაკლების. მუსიკალური გამფორმებლები არიან: თინა კუკულავა და ჯულიეტა დოლიძე.

ამაღლების საჯარო სკოლის თოჯინების თეატრის მუშაობა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ იქ ხშირად ტარდება სპექტაკლები შშმ პირებისთვის. ახლახან კი სპექტაკლზე „წითელქუდა“ მინვეული იყვნენ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლება. წარმოდგენამ

მაყურებლის ოვაციები დაიმსახურა. ამაღლების საჯარო სკოლის თოჯინების თეატრში წარმატებით მონაწილეობენ მოსწავლეები: ნინო დოლიძე, გიგა გვენეტაძე, დათა ახვლედიანი, თეა დოლიძე, ქეთი დოლიძე, ნათია რამიშვილი, ნინო დოლიძე, ელენე ჩიჩუა, თამთა დოლიძე, მარი თავაძე, მარი ჩაბოშვილი, ამირან ხიმშიაშვილი, თეონა აბულაძე, თამაზ ჯიმშერაძე, მაია რამიშვილი, მარიამ დოლიძე, მარი ცინცაძე, თორნიკე ცინცაძე, თამუნა რამიშვილი, თეონა დოლიძე, მზია გოგელია, ქრისტინე პერტია, ნინო რამიშვილი, მარი გოგუაძე, მაგდა რამიშვილი.

თეატრს სამომავლოდ ბევრი საინტერესო გეგმა აქვს. იმედია, წარმატებით განახორციელებენ.

ქეთევან კუკულავა



# ეკა კალანდაძის პოეზია

\*\*\*

ოდესმე ფიქრებს ექნებათ დარდი,  
 შემოიხვევენ ირგვლივ იმედებს,  
 გაეფურჩქნებათ გულს შავი ვარდი,  
 რომელიც ცოცხლად გწვავს და გიმეტებს...  
 განვავრდობ იხევე ფიქრების რეწვას,  
 პარტნიორს მიქმნის წინ მდგომი სარკე,  
 თუგინდ სიკვდილი ქურთუკად გეცვას,  
 მე და შენ მაინც ვკერქმევ ცაღკე...  
 ოცნებებს აღარ ვეტრფი შორეულს,  
 აღარ გიწოდებ სივარულს, მუსას,  
 აღარ დავკებ სხვას, შენს ორეულს,  
 ზღვისთვის ვიმეტებ გრძნობების ღუსას...  
 შემომიტოვე სიცოცხლე ჰეპლის,  
 მიუვარხარ, ნეტავ, არასდროს გეთქვა,  
 თვალები მწვანე შეიქმნა ფერფლის,  
 და შეეახერე მე გულის ფეთქვა...

\*\*\*

## ივლიტას

ვებლაუჭები შენს თბილ, ნახ ხელებს,  
 გულში კი შიში უფრო მატულობს,  
 შენი სიმშვიდე ჩემს სულს ახელებს  
 და მომავალზე ჩემად ნატრულობს...  
 ის ერთი წამი, წამი გაყრისა,  
 დაღს, რომ ასვამდა ჩვენს დიდ სიუვარულს,  
 ტკივილი გახდა სულის საფარისა,  
 რომელიც კარგავს ტრფობის სინარულს...  
 და ბოლო მზეგრამ, შენმა თვალებმა,  
 აღმართეს ჩემში უძილო ღამე,  
 მოგონებებმა შენით მთვრალეებმა,  
 ვერ მანუგემეს, ვერ მითხრეს რამე...  
 მაგრამ მე ვიცი, რომ ცოცხლობ კვლავაც,  
 და ჩვენს სიუვარულის მდგრად მანდ უვლი,  
 შემომანათებ შენს თვალებს ხვალაც,  
 რომლებსაც მარად, მარად მოვუვლი...  
 მიუვარხარს გეტყვი, ვიუვირო ის სჯობს  
 და სიუვარულის ზარიც დარეკავს,  
 ახლა ჩუმი „მეც“ ვეველაფერს მიჯობს,  
 შენს სიცოცხლეს, რომ ჩემში არეკლავს....

\*\*\*

დრომ ქალანები ჩაიცვა...  
 თავქუდმოვლევლი მიაწობს  
 სივრცეს... მე კი ჩამოვრჩი  
 რეალობას და გზავრედინზე  
 პარტნიორად შევეხისნე  
 მარტობას .. ირგვლივ მხოლოდ  
 ერთმანეთში გამომერწილი  
 ფერები  
 დაეხეტებიან... ცდილობენ  
 თავიანთ ფერად სოციალში  
 გამთქვიფონ...  
 ტორნადოსავით ჩამითრია  
 გაურკვევლობამ... რთულია  
 საკუთარ თავთან  
 ჭიდილი... ცდილობ, დათრგუნო  
 ეოველივე  
 უარყოფითი, ადეკვატურ  
 ქმედებებს  
 მიმართო, მაგრამ შენი ოხერი  
 “მე” გულის ბნელი ჯურღმულის  
 უკანასკნელი რიგიდან  
 წამოხტება, გიუვირის, რომ შენი  
 შეცვლა შეუძლებელია... როგორ  
 მინდა, ხელში  
 ჩავიგდო ეს ხმა და კოსმოსში  
 სიცარიელეს ვუსახსოვრო...  
 საკუთარ სულში თითების  
 ფათურს შევეჩვიე... სხვების  
 შევაჩვიე... სინდისის  
 შეწუხების გარეშე ისე  
 მაფურთხებენ, მხად ვარ, ეკალ-  
 ბარდებს შეუვარდე, თავი  
 მიუშვინა, რათა შემდგომ  
 თავიანთი სიმართლით... ეოველი  
 ნაკუთი შეუსისხლს ორცონ  
 ბასრ ეკლებს...  
 მინდება... მინდება, ტკივილი  
 მოგონებების ეუთს მივცე  
 საჯიჯუნად...



\*\*\*

მე აღარ ვიცი, საით წავიდე,  
 ვერავის ვუმხელ კვლავაც გულისთქმას,  
 გრძნობით ვეღარ ვწერ, როგორც წარსულში,  
 ფურცლებზე ვაწვენ ლექსებს ურითმავს...  
 ვისი იმედით განვავრდობ წინ სვლას,  
 რომელი ელფის, ჯინის თუ მისინის,  
 ეს ოხერი გზა უკვე მთავრდება,  
 გულის კარებს კი დანაც ვერ მიხსნის...  
 შორს გავიხედავ, ისამანი  
 კვლავაც ამ ღამის სიმღერას აქსოვს,  
 გალაქტიონის ფანჯრის ელფერი,  
 მიღმიც, ბურანშიც სულ მუდამ მახსოვს...  
 მელანქოლია ჩემს სულში სუფევს,  
 და სინარული შორს დარჩა მარტო,  
 დავეხეტები მთვარესთან ერთად,  
 გამონათებას აღარც კი ვნატრობ...

\*\*\*

რა უმანკოა ეს გასაფხული დღეს, ვით  
 ქალწული,  
 ნაზი სურნელი თბილი წვიმის, სევდის  
 აურა,  
 მწვანე ფიქრებით სათითაოდ არის ჩაწნული,  
 ვეღარ გამოხსნი და ისიც ვიცი,  
 გეუცნაურა...  
 დღეს ვეველაფერი შენი ბრალია აპრილო,  
 გულქვა,  
 ამდენი ცრემლი ვის უსახსოვრე კვლავ  
 წვიმის სახით,  
 აღამიანად გადაქცევა, ფიქრებად სრულქმნა,  
 მინდოდა, მაგრამ ვერას გავხდი კეთილი  
 ზრახვით...  
 გამონათებას, გამონათებას და გულშიც  
 ელავს,  
 ვერას გვიშველის სიუვარული ასე ნაფერი,  
 ეს უნიათო ბავშვები თრთოლავს და დეღავს,  
 რა დარჩენია მათ სათქმელი - აღარაფერი...

# დომენტი და გაბენოლი – ხანბრძლივი და ჯანბრძლივი სისხლისთვის

ბალახეული პარასამკურნალო პრეპარატებით – დომენტი და გაგენოლი ასეულობით ადამიანი გამოჯანმრთელდა, გაუხანგრძლივდა სიცოცხლე და მდგომარე გაუუმჯობესდა. მკურნალი წლების მანძილზე იმედდაკარგულ, დასნეულებულ პაციენტებს შვებას გვრის. მოგესვენებათ, პრეპარატებს არ აქვთ გვერდითი მოვლენები, უსაფრთხოა და მისი გამოყენება სამედიცინო პრაქტიკაში სასარგებლოა. მართალია, დომენტი გაგენიდის არქივში ასობით და ათასობით სამადლობელი წერილი ინახება, ბოლო წლებია ტკივილებით გატანგულ პაციენტებს ინტენსიური მკურნალობის საშუალება არ აქვთ.

**- რა არის ამის მიზეზი?** - ქალაქ თბილისში ანყურის ქუჩა № 70-ში (ისნის მეტროს უკან) მდებარე აფთიაქში მკურნალი მუდმივად იმყოფება და ავადმყოფების მოლოდინშია, თუმცა მის მიმართ განხორციელებულმა ფრონტალურმა შეტევამ შედეგი გამოიღო. შავი ფიარის საშუალებით დომენტი გაგენიდის ავტორიტეტის დისკრედიტაცია მოხდა.

უჩვეულოა, მაგრამ ფაქტია, 80 წლის კაცი დიდი მორალური, სულიერი და ეკონომიკური დარცმების მიუხედავად, რწმენას არ კარგავს და დღემდე სამართლიანობისთვის იბრძვის. უკანონოდ გაუქმებული წამლის რეგისტრაციის აღდგენაზე, წარდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, სასამართლოში სარჩელი აქვს შეტანილი. დომენტი გაგენიძე ითხოვს ადრე დაწყებულ და დღემდე დაუსრულებელ სისხლის სამართლებრივი დევნის საბოლოოდ დასრულებას საქმეში არსებული დღემდე შეგროვილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, რომ საბოლოოდ პროკურატურამ და გამოძიებან გადაწყვიტონ, თუ ის დამნაშავეა, მისცენ პასუხისგებაში, ხოლო თუ უდანაშაულოა, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დასრულდეს. დაუბრუნონ ბიუჯეტში უკანონოდ ჩარიცხული თანხა. ასევე ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა უძრავ-მძრავ ქონებაზე ყადაღა მოუხსნას.

ჟურნალ გურია REGION-ის მკიხველებს შევასხენებთ 2012 წლის 8 თებერვალს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ შალაურში მის საცხოვრებელ სახლში ჩხრეკა ჩაატარა, პირადი სეიფედან წამოიღეს წლების განმავლობაში დანაზოგი 1. 241. 978. 78 ლარი, რომელიც დომენტი გაგენიდის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეს ნივთმტკიცებად დაურთეს. ერთ კვირაში, 2012 წლის 14 თებერვალს სოლიდური თანხა ნივთმტკიცებათა სიიდან ამოიღეს და სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხეს.

სამართლიანობის აღდგენის მიზნით მკურნალმა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს განცხადებით მიმართა. მისი განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია მთავარ პროკურორს, გიორგი ბადაშვილს გადაუგზავნეს, ერთი თვის ვადაში კომიტეტისთვის და განმცხადებლისთვის გატარებული ღონისძიებების შესახებ უნდა ეუწყა. მიუხედავად ამისა, დომენტი გაგენიდის მდგომარეობა არ შეცვლილა. მისი დავა დროში გაიწელა, ასაკოვან კაცს უკვე მოთმინების ფიალა აევსო, თუმცა სხვა გზა არ აქვს, ისევ სამართლებრივი მეთოდით ცდილობს შელახული ავტორიტეტის აღდგენას. 2015 წლის 15 მარტს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ნინო გვენეტაძის სახელზე შეიტანა განცხადება, რომელიც დავების განხილვის საბჭოს გადასცეს, გამომძიებელს მისი საქმის შესწავლა დაევა.

სიცოცხლის გახანგრძლივება ბუნების ნიალიდან მოდის მკურნალმა მიაგნო ბალახეულ წამალს, რომელსაც 40-მდე დაავადებისგან განკურნების უნარი აღმოაჩნდა. დომენტის ირგვლივ არაკეთილმოსურნე ადამიანები გაჩნდნენ, მათ მარტო მატერიალური სარგებელის მიღება სურდათ. პარასამკურნალო პრეპარატებით – დომენტი და გაგენოლი, გამონვეულმა უეცარმა ეფექტმა და ანყურის ქუჩაზე პაციენტების დიდმა ნაკადმა აჟიოტაჟი შექმნა. ასეთი წინააღმდეგობების მიუხედავად, ის დარწმუნებულია, ქართული ხალხურ მედიცინაში ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს. ხოლო მადლიერი პაციენტების რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. დომენტი გაგენიძეს ყოველთვის გვერდით უდგას და ყურადღებას არ აკლებს თავისი ქალიშვილი, დოდო. მას პარასამკურნალო პრეპარატების დამზადება შეასწავლა და მემკვიდრეობით გადასცემს.

პაციენტი დაავადებული იყო C ჰეპატიტით. გართულებული ფორმა (მე-4 ფიბროზით). მაღალი აქტივობის მაჩვენებლები ქონდა. ერთი კურსის შემდეგ (36 ნემსი) მიღებული შედეგით ექიმი გაკვირვებული დარჩა. თავს კარგად გრძნობს.

### დ. ქონხაიძე

მაქვს მკერდის ავთვისებიანი სიმსივნე, ოპერაციაზე უარი განვაცხადე, ორი წელი დომენტის პრეპარატებით ვმკურნალობ, ძალიან კმაყოფილი ვარ, თავს ენერგიულად ვგრძნობ, ანალიზები მონესრიგებული მაქვს. დარბილებულია ჯირკვალი, კარგი ჭამის მადა მაქვს.

### დაკაჯან ნიკოლიაშვილი

ნოდარ დოლიძეს ქონდა კუჭის სიმსივნე. ექიმებმა ოპერაციაზე უარი თქვეს. არა თუ საქმელი, წყალსაც ვერ ყლაპავდა. დაიწყეთ დომენტის წამლებით მკურნალობა, მოლონიერდა, საქმელს მიერთმევს. მართალია, ექიმებმა ერთი თვის სიცოცხლის ვადა მისცა, მას შემდეგ 4 თვე გავიდა და მდგომარეობა სტაბილურია.

### ლალი დოლიძე

ჰიპერტონიით დაავადებულმა მივიღე პარასამკურნალო პრეპარატები, წნევა მომიწესრიგდა, თავს კარგად ვგრძნობ.

სსნარი ინტერაქტიული ინფორმაციის

## გაგენოლი

იანურომატიკულიკაბალი და ანთეზის საწინააღმდეგო საშუალება

# სსსკ-ის ინტერაქტიული ინჟინერინგის დომენტი

ინჟინერინგული რეაქტიული და ანთიბიოტიკული საფინანსოვანი საშუალება

## ბიორეაქტიული ბიოგენი

პაციენტს თირკმელზე და სასუნთქ გზებზე ქონდა სიმსივნე, მე-4 სტადია, სუნთქვის უკმარისობით. სამი კურსის მიღების შემდეგ სუნთქვა გაუმჯობესდა, საწოლიდან წამოდგა და დაინყო სიარული. თავს კარგად გრძნობს.

## ჯანსუღი დარბაზი

2010 წელს პაციენტს დაუდგინეს ფილტვის IV სტადია. მკურნალის წამლების მიღების შემდეგ თავს უკეთესად გრძნობს. შეუწყდა ხველა, სისხლდენა, აღარ აქვს უპაირობა. მოემატა ენერგია.

## ლიპანი პრეპარატი

პაციენტს ხერხემლის ავთვისებიანი დიაგნოზი დაუდგინეს – 1-დან მე-6 მალის ჩათვლით. მუდმივ დიალექტა (ყოველ მეორე დღეს). ერთი კურსის ჩატარების შემდეგ მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა, მეორე კურსის მიღების შედეგად პაციენტმა 1 ლიტრამდე მოშარდა, შარდი სავესე იყო ჩირქოვანი გამოხადებით.

## ლალი ბაზი

ვარ დიალექტაზე მყოფი ავადმყოფი. ჰორმონალური დარღვევა (ნორმა 68 ფაქ. 2300). დომენტის წამლების მიღების შემდეგ ნორმაში ჩადგა.

## ლიპანი საზარატი

ჩემი ავადმყოფობის დიაგნოზია – ქრონიკული ბრონქიტი, ფილტვის ბულობური ემზიბემა, ობოტრუქციით, სუნთქვის უკმარისობით. ასევე მანუხებდა პროსტატის, მშრალი ბუასილი. 10 ინექციის შემდეგ სუნთქვის თვალსაზრისით ჩემი მდგომარეობა გაუმჯობესდა. ბუასილზე უფრო უკეთესი შედეგი მივიღე.

## ლიონი სიჭინავა

დაავადებული ვარ ჰიპერტონიით და პარკინსონიით, სამი თვეა პარასამკურნალო პრეპარატებით ვმკურნალობ. სახსრებში ენერგია მომემატა, შემინყდა პრემორი. წნევა მონესრიგდა.

## დოდო კვარნატი

30 წელი დიაბეტით ვიყავი დაავადებული, თქვენი წამლების საშუალებით წნევა მომიწესრიგდა, გულის კუნთები გამკვრივდა. ყველა წამალი მივატოვე, მარტო თქვენი პრეპარატებით ვმკურნალობ.

## გოგი მჟაღლიშვილი

პაციენტს ავთვისებიანი სიმსივნის II სტადია ქონდა. გაიკეთა ოპერაცია, მკერდი მოიკვეთა, შემდეგ დაუნიშნეს ქიმიკა, თუმცა არ ჩაიტარა. პარასამკურნალო პრეპარატებით მკურნალობა დაინყო. კარგი შედეგი აქვს, სიმსივნე და მეტასტაზები გაუქრა.

## მარი მაისურატი

გაფანტული სკლეროზით დაავადდი. გრიპმა ვირუ-

სი დამიტოვა, მარჯვენა მტევანზე დაბუყება დამენყო, ვიმკურნალე, თუმცა ცოტა ვკოჭლობდი. დომენტიმ თავისი პრეპარატებით უსასყიდლოდ მომცა. ტერფში გამიარა დაბუყებამ, ახლა თავისუფლად ვმოდრობ, გამიუმჯობესდა შარდვა.

## მარინა სალუქვაძე

მტკიოდა ფეხის ქუსლები, ვერ დავდიოდი, მქონდა მაღალი მუავიანობა და ორგანიზმის საერთო სისუსტე. მკურნალობის შემდეგ მომეხსნა ფეხების ტკივილი, შემცირდა მაღალი მუავიანობა.

## სიური მთისიშვილი

სიკვდილ-სიციცხლის გზაგასაყარზე ვიდექი, მქონდა ყბაყურა, ჯირკვლის შერეული სიმსივნე. ექიმები მალიგნიზაციასაც არ გამორიცხავდნენ, რასაც შეიძლება სავალლო შედეგი მოჰყოლოდა. პრეპარატების პირველი მიღების შემდეგ მდგომარეობა გამიუმჯობესდა.

## იამაჟი კახაია

პაციენტი 15 წელი ორი ჯოხით დადიოდა. ქონდა გაფანტული სკლეროზი. ერთი კურსის ჩატარების შემდეგ თითები აამოდრავა, ჯოხის გარეშე გადაადგილდება.

## ტასო მამისაშვილი

გიორგი მებალიშვილი დაავადებული იყო ლეიკემიის მსუბუქი ფორმით, აღენიშნებოდა სისუსტე, გემოგლობინის მკვეთრი ვარდნა. დომენტისთან მკურნალობის შემდეგ მდგომარეობა გაუმჯობესდა, ექიმმა დომენტის მკურნალობის ნება დაგვრთო, მას კიდევ ჰყოლია პრეპარატებით მორჩენილი პაციენტები.


## ხათუნა ბალაშვილი

დაავადებული ვარ ავთვისებიანი სიმსივნით, ამ პრეპარატებით მკურნალობის შემდეგ ნაწილობრივ მომეხსნა ტკივილები, აღარ მაქვს სიცხე, ოფლიანობა, არ მანუხებს მაღალი წნევა.

## ომარ პაიკიძე

ნატალია შარაშიძე

სახალხო მკურნალ



დომენტი გაგნიძის

აფთიაქი

ტელ: 227 35 50  
227 35 61

აფთიაქი მუშაობს ყოველდღე – 10 სთ-დან 18-დღე. (შესაძლებელია წინასწარ ჩაწერა)

თბილისი, ანჟურის ქ. №70 (იხნის მუხრან უბანი)



## ლიხაურის ეკლესიის კედლის მხატვრობა

ნანიკო ხუსკივაძე პროფესიით მხატვარ რესტავრატორია. თბილისის სამხატვრო აკადემიის ბაკალავრი, საფრანგეთში ეროვნული მემკვიდრეობის ინსტიტუტში მაგისტრანტი სტუდენტი. სექტემბერში დიპლომის დაცვა აქვს.

ლიხაურის ეკლესიაში მხატვრობა 1995-1996 წლებში ჩამოსწეს. დატოვეს მხოლოდ ორი სცენა – გარდამოხსნა და საფლავის გახსნა, რომლებიც ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზეა. ნანიკომ ლიხაურის მხატვრობის რესტავრაციაზე დიპლომის მომზადება გადაწყვიტა.

90-იან წლებში ჩამოსხნილი ნაწილები ეკლესიის მახლობლად მიტოვებულ შენობაში გადაიტანეს, რესტავრირებული ფრაგმენტების ნაწილი ოზურგეთის ეპარქიაში ცელოფანში შეფუთული ფანჯრებზე დევს. აუცილებელია კედლის მხატვრობა ერთ სივრცეში განთავსდეს, რადგან ჩამოსხნის შედეგად უფრო დაზიანდა. 2005 წელს რესტავრატორმა გურამ ჭეიშვილმა ნაწილები თბილისის სამხატვრო აკადემიის სახელოსნოში გადმოიტანა. ფრაგმენტები დეტალურად აღწერა. ამჟამად რესტავრაციის პროცესი შეჩერებულია, მათი შესწავლის შემდეგ უნდა მომზადდეს გეგმა და პროექტი, საჭირო თანხის ოდენობა უცნობია. თბილისის სამხატვრო აკადემია რესტავრაციას მარტო ვერ შეასრულებს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო უნდა ჩაერთოს, ან ფონდში მოიპოვონ გრანტი. სპეციალურ დარბაზში ყუთებში მოთავსებული ნაწილები სტუდენტებმა გაშალეს და ააწყვეს, გურამ ჭეიშვილი მათ პრაქტიკულ საქმიანობას უვითარებს.

ლიხაურის ეკლესიის მხატვრობის აღდგენის შემდეგ რესტავრირებული კედელი ისევ თავის ადგილს დაუბრუნდება.

ნატალია შარაშიძე

## ბურული სუბრობები

### შემთხვევა ბახმაროში

ეს ამბავი გასული საუკუნის 90-იან წლებში მოხდა ბახმაროში. მოგეხსენებათ, მაშინ ქვეყანაში ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო, თუმცა ბახმაროს დამსვენებელი მაინც არ აკლდა. იმ წელსაც ბევრი სტუმარი ჩამოვიდა თბილისიდან. ერთ-ერთი იყო ქალბატონი მადონა, რომელიც ყოველთვის აკურატულად გამოიყურებოდა. გარეთ ისე არ გამოვიდოდა, რაც რამ ძვირფასეულობა ჰქონდა, არ გაეკეთებინა. ასე იყო იმ დღესაც. სასეირნოდ გამოსული ქალბატონი მადონა ბუნებრივმა მოთხოვნილებამ შეაწუხა და მინდორში, მოშორებით მდგარ ფიცრულ ტუალეტს მიაშურა. მოგეხსენებათ, ხშირად ასეთი ტუალეტების კარი შიგნიდან არ იკეტება, ამიტომ იქ შესული ადამიანი იძულებულია, კარი ხელით დაიჭიროს. ასე მოიქცა მადონაც – ბეჭდებით დახუნძლული ხელით კარი დაიჭირა, თან ისე, რომ ყველა სამკაული გარეთ მოყვა. ჰოდა, მიადგა ვილაც, ორი ბრილიანტის და სამი ბაჯაღლო ოქროს ბეჭედი მოხსნა და სანამ მადონა მოწესრიგებოდა და გარეთ გამოვიდოდა, ბანდიტს ჩოხატაურის



მთები გადავლილი ჰქონდა. გაგიჟდა ქალი, შეეყარა მთელი ბახმარო. თან ჰყვებოდა, ასე და ასე იყო. ამ ამბავს შეესწრო ბახმაროში სახელგანთქმული ენაკვიმატი ჟორა. უსმინა ჟორამ, უსმინა და ძალიან სერიოზული სახით უთხრა:

– შე ქალო, მაგდენი ბეჭდები თუ გეკეთა, ეგ ხელი გქონოდა შიგნით და საჯდომი გამოგეყო გარეთ, არ გერჩია?

# შენაწი შენოფიას თვალის კლინიკა

გთავაზობთ უახლესი ტექნოლოგიებითა და მეთოდებით ბავშვთა და მოზრდილთა თვალის ისეთი დაავადებების კომპლექსურ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას, როგორებიცაა: სიელმე, ამბლიოპია, რეფრაქციის ანომალიები (მიოპიური, ჰიპერმეტროპიული და შერეული ასტიგმატიზმები), კატარაქტა, გლაუკომის სანყისი სტადიები, ბადურის დისტროფიები, უცხო სხეულები, ტრავმები, მინისებრი სხეულის შემღვრევა, ბლუფარიტები, დაკრიოციტები, კერატიტები, ინფექციური და არაინფექციური გენეზის კონიუნქტივიტები და სხვა უცხო გენეზის დაავადებები.



მისამართი: თბილისი, ზურაბ შავჭავჭავაძის ქუჩა №3  
(ყოფილი შაროჭიას ქუჩა) მეტრო მარჯანიშვილთან  
ტელ: 2 95-98-98 მობ: 593 31-00-30; 593 94-86-26  
E-mail: [eyeclinicsherozia@gmail.com](mailto:eyeclinicsherozia@gmail.com)

უჩვეულოდ დიდი ხანის  
ბათუმი და ბათუმი  
მთელია და ბათუმი  
ბათუმი მთელია  
ბათუმი და ბათუმი  
ბათუმი და ბათუმი



ISSN 2346-7606



9 772346 760009